



ციბეხანი

№ 40 / 19 - 25 ივლისი / 2010

ბერნარ კუმნერი: ესაუბრა მას **გვ. 5**

„პირველი კავკასიურის“ ახალი გეგმები **გვ. 6**

უკრაინა: მიგობრობა პირველი პირების გარეშე **გვ. 22**

სააკაშვილი – ლუკაშენკოს პასუხი კრემლს **გვ. 24**

დემოკრატიული გადასახადები თუ იძულების მექანიზმი? **გვ. 30**

უმიწოდ დარჩენილი ხელთუბნელები **გვ. 32**

თეთრი აგარაკები, შავი ვოლგები, იისფერი ჩუსტები **გვ. 40**

მანდატურის მანდატი **გვ. 34**

განდუქიძის სემიოლოგია **გვ. 43**

ISSN 1987-7528



ფანი 2 ლარი



გვ. 12

ვის ეხებება ბუზსადენი?

არგუმენტები. თვა სიტყვასთან



მავისტრო 

მარცხდები-მარცხდები

20:00



ციხახილი

№ 40 / 19 - 25 ივლისი / 2010



ფოტო: აპოლონი პაპიაშვილი

წიგნის შესახებ:

- 02 მოკლედ
- 04 ფოტო
- 05 ვრცლად
- 10 **ორი აზრი**
არის თუ არა ქალებისთვის ბურჟუაზიის ტარების აკრძალვა მათი უფლებების დარღვევა?
დავით გაბუნია vs ბეს მინდიაშვილი
- 12 **მთავარი თემა**
გაცოცხლებული ძველი ფსონი
- 16 **გაზსადენი**
ერევანს გაზსადენის გაყიდვის არ ეშინია
- 17 **თვალსაზრისი**
საქართველოს ბერკეტი რუსეთთან
მარკ მალენი
- მეზობლები**
- 18 ერთი წელი ესტემიროვას გარეშე

კონფლიქტები

- 20 სამხრეთი ოსეთი – დენთის კასრი თუ ოქროს საბადო?
პოლიტიკა
- 22 მეგობრობა პირველი პირების გარეშე
- 24 **საქართველო-ბელორუსი**
სააკაშვილი-ლუკაშენკოს პასუხი კრემლს
- 26 **თვალსაზრისი**
ახალი საგარეო პოლიტიკა
საუბრები ლიბერალიზმზე
- 28 რუსული მოდერნიზაცია
ეკონომიკა
- 30 დემოკრატიული გადასახადები თუ იძულების მექანიზმი?
- 32 უმიზოდ დარჩენილი ხელთუბნელები
საზოგადოება
- 34 მანდატურის მანდატი
მედიაკრიტიკა
- 38 „შენ ხარ ვენახი“ პროფილში

კულტურა

- 40 თეთრი აგარაკები, შავი ვოლგები, იისფერი ჩუსტები
თვალსაზრისი
- 43 ბენდუქიძის სემიოლოგია
რავი ამბლოგები
- თვალსაზრისი**
- 44 სტალინის ღამე
ღამა ბულაძე



სპორტი

- 46 რა არის ფეხბურთი გიო ახვლედიანი
- 47 ბრაზილიაში შევხვდებით სანდრო ნავერიანი
ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები
- 48 ჩვეულებრივი ქალაქური ამბავი
კახა თოლორდავა

ბარეკანზე:

ვის ერგება გაზსადენი?



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდის საზოგადოება საქართველო

ფურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდის „საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი შორენა შავერდაშვილი / აღმასრულებელი რედაქტორი ნინო ჯაფარიძე / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები სოფო ქვაბა / კავკასია და კონფლიქტები სოფო ბუკია / ფურნალისტური გამოცემა ბესო კურტიანიძე / საზოგადოება თამარ ბაბუაძე / ადამიანის უფლებები და სამართალი ნინო ბეჭიძე / ახალი ამბები ნათია ახალაშვილი
 შპს-ის მენეჯერი: მათა ნიკოლაური, ნინო გოგუა, მარიკა ქოჩიაშვილი, ეკა ჭითანავა, რუსუდან ფანოზიშვილი, ანიტა თვალაძე, თამარ ფარადაშვილი, ნინო ჩიმაკაძე, რუსუდან რუხაძე,
 ნინო რობაქიძე, იაკო ყურაშვილი, ნათია გულიაშვილი, დავით ბუხრიკიძე
 კონსტრუქტორები: მარკ მალენი, გიორგი ცხადაია, კახა თოლორდავა, გიო ახვლედიანი, ლაშა ბულაძე, სანდრო ნავერიანი
 რედაქციის მენეჯერი: ფოტო-რედაქტორი ლევან ხერხეულიძე / გრაფიკული დიზაინი თორნიკე ლორთქიფანიძე / რედაქტორ-სტილისტი ნინო სვანიძე / კორექტორი ნინო საითიძე
 გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი ქეთი ბაბუნაშვილი / პროექტის მენეჯერის ასისტენტი ლელა შუბითიძე / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი შალვა ჩუბინიძე / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა ნათია რუსაძე / დისტრიბუტორი ზვიად შენგელია
 გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
 სხვა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“. „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
 ფურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
 ბაჭყალი: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
 გამოცემის კერაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
 www.liberali.ge

ISSN 1987-7528



ჯაშუშების მე-12 მებოზაი

აშშ-ში რუსეთის ჯაშუშობის ბრალდებით მეთორმეტე ადამიანი დააკავეს – ალექსეი კარეტნიკოვი. 23 წლის კარეტნიკოვს, საემიგრაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, უკვე დაატოვებინეს აშშ-ს ტერიტორია. დეპორტირებული კარეტნიკოვი ამერიკულმა კონტრდაზვერვამ შარშან შემოდგომაზე შეამჩნია, როცა ის აშშ-ში ჩავიდა. თუმცა, რა გახდა მასზე ეჭვის ალების საფუძველი, უცნობია. პარალელურად, რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური აშშ-დან დეპორტირებულ 11 ბრალ-

დებულს შორის ორმაგ აგენტს ეძებს. ამის გამო, რუსეთისთვის ჯაშუშობაში ეჭვმიტანილები მკაცრ კონტროლს გაივლიან. „ჯაშუშების გაცვლის“ შემდეგ მედვედევის შეწყალებული იგორ სუტიაგინი გაერთიანებულ სამეფოში იმყოფება, საბუთებს აფორმებს და ლეგალური სტატუსის მოპოვებას ელოდება. ის ლონდონში ვიზის გარეშე ჩავიდა. სუტიაგინი დანაშაულს მთელი სასამართლო პროცესის მანძილზე არ აღიარებდა. ახლა კი აღიარა და შეწყალების თხოვნით მიმართა რუსეთის პრეზიდენტს.

პოლონეთის პოლიტიკა უცვლელია

„ჩვენ ყოველთვის დავეხმარებით საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. მოხარულები ვართ, რომ ამ კუთხით უკვე ასოციირების შესახებ ხელშეკრულებაზე მოლაპარაკებები იწყება“, – განაცხადა პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა როდისლავ სიკორსკიმ თბილისში ორდღიანი ვიზიტისას. პოლონეთის საგარეო უწყების პირველი პირი თბილისში პოლონური საპრეზიდენტო არჩევნებიდან ათ დღეში ჩამოვიდა. მისი განცხადებებით დადასტურდა, რომ ახალი პრეზიდენტის, ბრონისლავ კომოროვსკის არჩევის შემდეგ პოლონეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ უცვლელია. „დარწმუნებული ვართ, რომ პრეზიდენტი კომოროვსკი საქართველოსთან მეგობრულ ურთიერთობებს გააგრძელებს. საგარეო პოლიტიკას პოლონეთში მთავრობა განსაზღვრავს და არა – მხოლოდ პრეზიდენტი. პრეზიდენტი



ამ პოლიტიკის აღმსრულებელია და მსურს გითხრათ, რომ საქართველოს მიმართ პოლონეთის სამთავრობო პოლიტიკა არ შეიცვლება“, – განაცხადა სიკორსკიმ. სიკორსკი თბილისში ვიზიტისას შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრსა და საგარეო საქმეთა მინისტრს და ესაუბრა ოპოზიციის წარმომადგენლებსაც. ის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მოსაგვარებლად პოლონეთის დიპლომატიურ დახმარებას დაჰპირდა.

ეპი სხინვალში

გორისა და კასპის რაიონის სოფლებს ცხინვალმა სარწყავი და სასმელი წყლის მიწოდება კიდევ ერთხელ შეუწყვიტა. კოკოთის სანაცვლო მოთხოვნა – ახალგორისთვის ბუნებრივი აირის მიწოდების განახლება.

უწყლოდ დარჩენილ მოსახლეობას მოსავალი უზმება და ხელისუფლებას დახმარებას სთხოვს. ზოგიერთ სოფელში მათ საკუთარი ძალებით მოაწყვეს ალტერნატიული სარწყავი სისტემა, თუმცა პრობლემა სრულად ამითაც ვერ მოგვარდა.

ცენტრალურ ხელისუფლებაში ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილდნენ, რომ ვიდრე ამ რეგიონში რუსული საოკუპაციო ძალები დარჩებიან, სხვადასხვა სახის საფრთხე მუდმივად იარსებებს.

ადგილობრივი ხელისუფლება კი გამოსავლის პოვნას საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ცდილობს. თუმცა, მოსახლეობა მიიჩნევს, რომ ხელისუფლება მარტო საერთაშორისო ორგანიზაციების იმედად არ უნდა იყოს.

ჩისხვეები **1,3** მლრდ აშშ დოლარის პროექტები განხორციელდება საქართველოს რეგიონებში, – აცხადებს პრეზიდენტი. **7,3** მილიონ აშშ დოლარად გაიყიდა „ვაკის ლეჩკომბინატი“.

BP-ს ნახმატება 85-ე ღუს

მექსიკის ყურეში ნავთობის საბადოზე მომხდარი ავარიის 85-ე დღეს BP-მ პირველად მოახერხა ნავთობის ჩაღვრის სრულად შეჩერება. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი აცხადებს, რომ ეს მხოლოდ ახალი, 75-ტონიანი სარქველის ჩადგმის შემდეგ გახდა შესაძლებელი.

სპეციალისტები ყურადღებით აკვირდებიან მანომეტრის პარამეტრებს, რომელიც „სარქველზე“ წნევას ზომავს. თუ წნევა ძალიან მაღალი იქნება, შესაძლოა, „სარქველმა“ ვერ გაუძლოს, მაგრამ თუ – დაბალი, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ნავთობი და გაზი ჭაბურღილიდან საიდანაც კიდევ იპარება. სპეციალისტები ჭაბურღილზე ნავთობის დაღვრის შეჩერებაზე დაკვირვებას სეისმური, ხმოვანი და ტემპერატურის საზომი გადამცემებით ახორციელებენ. როგორც კი კომპანიაში ამ წარმატების შესახებ განაცხადეს, კონცერნის აქციების ფასმა საფონდო ბირჟაზე 9 პროცენტით მოიმატა. ავარიის შედეგებთან ბრძოლა BP-ს უკვე 3,5 მილიარდი დოლარი დაუჯდა.

სახიჯელოს მინუს ხითი



ახლად არჩეულმა საკრებულომ მესამე სხდომაზე „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ დავით გელაშვილს უფლებამოსილება შეუნყვიტა. საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ეს გადანყვეტილება გელაშვილის პირადი განცხადების საფუძველზე მიიღეს. „როგორც ჩვენთვის ცნობილია, მან საკრებულო ოჯახური სიტუაციის გამო

დატოვა“, – აცხადებენ საკრებულოს პრესსამსახურში. საკრებულოში ოპოზიციის წარმომადგენლებმა ამ გადანყვეტილებასთან დაკავშირებით განმარტებები მოითხოვეს. თინა ხიდაშელმა და კახა კუკავამ სხდომაზე აღნიშნეს, რომ გელაშვილს პრობლემები აქვს სამართალდამცავ ორგანოებთან და, შესაძლოა, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღიძრას. გელაშვილი სხდომას არ დასწრებია, მაგრამ მოგვიანებით ამ ბრალდებას საინფორმაციო სააგენტოს მეშვეობით უპასუხა და აღნიშნა, რომ საკრებულოდან წასვლის მიზეზი ბიზნესში დაბრუნებას უკავშირდება. „არ შეიძლება, საკუთარი საქმე გქონდეს და საკანონმდებლო ორგანოში იყო“, – აცხადებს ის. დავით გელაშვილი საკრებულოს დეპუტატობამდე ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგებელი იყო.

23 მილიარდ აშშ დოლარს ითხოვს რუსეთის ხელისუფლებისაგან ბიზნესმენი ანატოლი სემენი, კომპანიის აქციების წართმევის სანაცვლოდ.

სიტატები



„ცივი ომის ნარჩენები წარსულში დარჩა, ჩვენ ურთიერთგაგების გზაზე შეჩერების უფლება არ გვაქვს, მით უმეტეს ისეთი ძლიერი ძალაუფლების მქონე ქვეყნებს, როგორებიც რუსეთი და ამერიკა არიან. ეს სერიოზული, გრძელვადიანი ნაბიჯია“.

დმიტრი მედვედევი
12 ივლისი, მოსკოვი

„გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“. კასტრიოტ ისლამი – ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის

მომხსენებელი
15 ივლისი, თბილისი

„ჩემმა მთავრობამ გაყიდა „ჭიათურ-მანგანუმი“, რომელიც ჩემს დიდ ბაბუას, ჯიბო აბაშიძეს ეკუთვნოდა. მე ჩემს წილზე უარი ვთქვი“.

მიხეილ სააკაშვილი
14 ივლისი, თბილისი

„მიხეილ სააკაშვილი მოკვეთილია“. ბორის გრიზლოვი – რუსეთის სახელმწიფო

სათათბიროს სპიკერი
17 ივლისი, მოსკოვი

18 -მა დეპუტატმა მოისმინა პარლამენტში სახალხო დამცველის ანგარიში.



ბენიამინ ნეტანოვიჩის ვიზიტი საქართველოში

ფოტო: ნუნა ძეგელიძე

ესაუბრა მას

თამარ ბაბუაძე

„რუსეთთან დიალოგის როგორ ფორ-
მატს აირჩევთ, ეს თქვენი გადასაწყვე-
ტია, თუმცა, ჩემი აზრი ასეთია – რუ-
სეთს პირდაპირ უნდა ესაუბროთ. ის
არის თქვენი მეზობელი და ჩვენი პარ-
ტნიორი“, – განაცხადა 15 ივლისს სა-
ფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა
ბერნარ კუშნერმა თბილისში, ევროპის
სახლში ჟურნალისტებთან, ოპოზიციის
წარმომადგენლებთან და არასამთავრო-
ბო ორგანიზაციებთან შეხვედრისას.

ეს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელო-
ვანი გზავნილი იყო, რაც საფრანგეთის
საგარეო უწყების პირველმა პირმა სა-
ქართველოში ჩამოიტანა. რუსეთთან
პირდაპირი დიალოგის აუცილებლობა-
ზე საუბრისას კუშნერმა უკრაინისა და
პოლონეთის მაგალითებიც გაიხსენა.
აღნიშნა, რომ რუსეთის მიმართ გახს-
ნილობა უკვე უკრაინისა და ეტყობა, პო-
ლონეთისა და რუსეთს შორისაც სულ
ბოლო კვირების განმავლობაში ბევრი
რამ შეიცვალა, რაც მათ შორის არსე-
ბული უდიდესი სიძულვილისა და კატი-
ნის ტრაგედიის ფონზე განსაკუთრებით
თვალშისაცემია:

„ეს პოლიტიკური ალქიმიია, არაფე-
რი არ მთავრდება, მაგრამ ყველაფერი
იცვლება. ვფიქრობ, რომ რუსეთიც გა-
ნიცდის ცვლილებას, ის იძულებულია,
შეიცვალოს, რადგან არ შეიძლება მუ-
დამ თავისი გაზით იცხოვროს“, – დასძი-
ნა კუშნერმა.

საქართველოს დიალოგი რუსეთთან –
კითხვებიც ევროპის სახლში გამართულ
შეხვედრაზე ყველაზე მეტად ამ თემაზე
ჭარბობდა. კუშნერის პასუხები შეხვე-
დრის თითქმის ყველა კონტექსტში ცალ-
სახა და პირდაპირი იყო. მისი თქმით,
დიალოგის წარმართვა რთულია, მაგრამ
სწორედ ეს იმუშავებს. „ბევრ ილუზიას
რუსეთის გამო ვერ შევიქმნით, რადგან
ვიცი, რა მდგომარეობაა ჩვენთვის და

რა მდგომარეობაა რუსეთში ადამიანის
უფლებების თვალსაზრისით. ისიც გასა-
გებია, რომ საუბრის დაწყება 2008 წლის
მოვლენების შემდეგ თქვენთვისაც რთუ-
ლია, მაგრამ ჩვენ დაგეხმარებით. თვით
ამერიკელები, გერმანელები – ყველანი
ავითარებენ ურთიერთობებს რუსეთთან,
ეს ურთიერთობები უფრო ღია ხდება და
ეს იქნება გასაღები თქვენთვისაც“, –
აღნიშნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა
მინისტრმა.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ სა-
ქართველოში პირველად ჩამოსულმა
ბერნარ კუშნერმა ვრცლად ისაუბრა
ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გაფორ-
მებულ ხელშეკრულებაზეც. „არ იფი-
ქროთ, რომ დაგვაინყდით, ჩვენ არ
შეიძლება დაგვაინყდეს საქართველო.
ბედნიერები ვართ, რომ თქვენ გვერ-
დით ვართ და არ გადავდებთ გვერდზე
იმ დოკუმენტს, რომელსაც 2008 წლის
აგვისტოში მოვანერეთ ხელი, ვიდრე
მისი პუნქტები არ შესრულდება“, –
განაცხადა კუშნერმა, მაგრამ დარბაზ-
ში გაჩენილი რამდენიმე კითხვის მიუ-
ხედავად, რამდენჯერმე აარიდა თავი
სიტყვა „ოკუპაციის“ საუბარში გა-
მოყენებას. „წარამარა ვლაპარაკობთ,
მაგალითად, იმაზე, რომ პალესტინამ
მოახდინა ტერიტორიის ოკუპირება,
მაგრამ რა იცვლება ამით? ის მაინც
ოკუპირებულია. საკითხები სიტყვებით
არ რეგულირდება. საჭიროა ზუსტი
ქმედება მოიძებნოს იმისთვის, რომ
რუსების სამხედრო ნაწილები სანყის
პოზიციას დაუბრუნდნენ. ჩვენ მუდმი-
ვად ვახსენებთ რუსეთს ამის აუცილე-
ბლობის შესახებ“.

კუშნერის თქმით, საფრანგეთი დღე-
საც ყველა დიპლომატიური ხერხით
ცდილობს, რუსეთს ხელშეკრულების პი-
რობები შეასრულებინოს, მაგრამ, მისი
თქმით, ეს რთული გზაა და პრობლემის



ფოტო: ზურა რეხვიაშვილი

მოგვარება ბევრ წელსა და მოთმინებას
მოითხოვს. „ვიცი, რომ თქვენ მოუთ-
მენლები ხართ და მართალიც ბრძანდე-
ბით, მაგრამ ორი წელი ძალიან ცოტაა.
გახსოვდეთ, რომ ინგლისთან ომი 650
წელს გვქონდა და, ბუნებრივია, თქვენი
კონფლიქტის მოგვარებასაც მეტი დრო
დასჭირდება“.

შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა
საქართველოს ევროინტეგრაცია და
ევროკავშირის გაფართოებაც იყო.
„ევროკავშირი თქვენი ოჯახია და ძა-
ლიან კარგია, რომ ევროპისკენ მტკიცედ
მისწრაფვით. საქართველოში ბევრი
რამ გაკეთდა, ასოციაციური პარტნიო-
რობაც ევროკავშირთან ძალიან დადები-
თი ნაბიჯია, მაგრამ თქვენ კიდევ ბევრი
რამ გაქვთ გასაკეთებელი“, – აღნიშნა
მინისტრმა და ამ კონტექსტში დემოკრა-
ტიის ხარისხის გაზრდაზე, მართლმსა-
ჯულებასა და ადამიანის უფლებების
დაცვაზე გაამახვილა ყურადღება. „ადა-
მიანის უფლებების დაცვა ჩვენი საერ-
თო ღირებულებაა, რომელიც ყველგან
დაცული და პატივცემული უნდა იყოს“.

კუშნერის თქმით, დემოკრატიის გან-
ვითარება ქართველების საქმეა, „ქარ-
თველებს თავს ვერ მოგახვევთ დე-
მოკრატიას. ოპოზიციის უფლებები,
პრესის თავისუფლება – დაცული უნდა
იყოს. ეს საქმე თქვენ უნდა გააკეთოთ“, –
განაცხადა ბერნარ კუშნერმა. □



7 მილიონი შპს "ქეი 1"-ს "პირველი კავკასიურის"

„პირველ კავკასიურს“ ახალი მმართველი ჰყავს, მალე კი ახალი მაუწყებლობა და ახალი ბიუჯეტი ექნება.

ეკატერინა

„ეს არხი არ უნდა იქცეს პროპაგანდის იარაღად. ჩვენმა ტელეკომპანიამ, სადაც მხოლოდ პროფესიონალი ჟურნალისტები იმუშავენ, უნდა შექმნას ჟურნალისტიკის მაღალი სტანდარტები. იგი გააკრიტიკებს, როგორც ამ ქვეყნის ხელისუფლებას, ასევე სხვა ქვეყნების მთავრობებს ამ რეგიონში“, – განაცხადა ბრიტანელმა ჟურნალისტმა და მედია-ტრენერმა რობერტ პარსონსმა, რომელიც შპს „ქეი ერთის“ თანადამფუძნებელი გახდა და მართვის უფლებით ჩაიბარა საზოგადოებრივი მაუწყებლის ახლად შექმნილი მესამე არხი.

არხის გასხვისების შესახებ განწყვეტილება მაუწყებლის სამეურვეო საბჭომ 14 ივლისის სხდომაზე მიიღო. მანამდე პარსონსმა საბჭოს წევრებს არხთან დაკავშირებული ამბიციური გეგმები გააცნო. მისი თქმით, მომავალში ტელეკომპანიის პროფილს ძლიერი საინფორმაციო მაუწყებლობა

განსაზღვრავს. „თავიდან პირველი საინფორმაციო გამოშვება გავა 18 საათზე, შემდეგ 23 საათზე, ასევე, ყოველ ნახევარ საათში იქნება მოკლე, ათწუთიანი საინფორმაციო გამოშვებები“, – განაცხადა პარსონსმა.


ახალ ხელმძღვანელს არხის არც ძველი, არასაინფორმაციო გადაცემები მოსწონს. მისი თქმით, პროგრამირების კუთხით სერიოზული ცვლილებები გასატარებელია. „ამ არხზე ისეთი გადაცემები უნდა გადიოდეს, რომლებიც კავკასიელებს შორის განსხვავებას კი არ გაუსვამს ხაზს, არამედ აქცენტს გააკეთებს იმაზე, თუ რა გვეერთიანებს ამ რეგიონში, მაგალითად, ერთი ასეთი გადაცემა ხანჯალს შეიძლება მიეძღვნას – ავსნათ, რას ნიშნავს ხანჯალი კავკასიის სხვადასხვა ხალხისთვის“.

პარსონსი „პირველი კავკასიურისთვის“ ტელეკომპანიების „სქაი ნიუსის“, „ალ ჯაზირასა“ და „ბიბისის“

ჟურნალისტების მონეველსაც აპირებს.

მიუხედავად იმისა, რომ პარსონსის წინადადებას სამეურვეო საბჭოს უმრავლესობა დადებითად შეხვდა, წევრების ნაწილი აცხადებს, რომ მათ სხდომაზე ინფორმირებული არჩევანის გაკეთების საშუალება არ მისცეს. დოკუმენტების შესწავლის მიზნით, სამმა წევრმა დამატებითი ორი დღე მოითხოვა, თუმცა საბჭოს თავმჯდომარე ლევან გახელაძემ მათი თხოვნა არ გაითვალისწინა, და საკითხს კენჭი მაინც უყარეს. „მე მომწონს, რომ არხი ქართული სივრციდან გადის, თუმცა არ შეიძლება, საბჭომ ნახევარ საათში მიიღოს ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, და არ გაიაზროს ყველა შესაძლო უარყოფითი და დადებითი შედეგი, ამიტომ კენჭისყრაში მონაწილეობა ვერ მივიღე“, – განაცხადა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა ნინო დანელიამ.

„ეფექტური მართვისა და მაუწყებლობის გაუმჯობესების მიზნით, შპს



■ „ეფექტური მართვისა და მაუნეებლობის გაუმჯობესების მიზნით, შპს „ქეი ერთს“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გადაეცემა მაუნეებლისთვის გამოყოფილი 7 მილიონის დიდი ნაწილი – 4 700 000 ლარი.

„ქეი ერთს“ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გადაეცემა მაუნეებლისთვის გამოყოფილი 7 მილიონის დიდი ნაწილი – 4 700 000 ლარი.

ჯერჯერობით „პირველი კავკასიური“ გათიშულია. არხმა ფრანგულ კომპანია „ეუტელსატთან“ პარიზის სასამართლო პროცესი წააგო, თუმცა ჯერ ვერ გადაუწყვეტია, ერთი თვის განმავლობაში გაასაჩივრებს თუ არა იგი სასამართლო ვერდიქტს. მაუნეებლობის განსახლებლად, იგი მოლაპარაკებებს ახალ სატელეკომპანიასთან აწარმოებს.

სასამართლო დასკვნის გამოქვეყნებამდე კი ბუნდოვანია საქმის ზოგიერთი დეტალი. მაგალითად, რის საფუძველზე გაამართლა სასამართლომ კომპანია „ეუტელსატი“, რომელმაც არხი თანამგზავრიდან გათიშა. საზოგადოებრივი მაუნეებლის დირექტორის, გია ჭანტურიას თქმით, სასამართლოს დასკვნაში „არეულია თარიღები“ და იმგვარ დეტალებზე ყურადღება გამახვილებული, რომლებსაც თავად სატელეკომპანია მანამდე არ ასახელებდა. ჭანტურიას თქმით, საზოგადოებრივი მაუნეებელი კომპანიასთან რამდენიმე თვე აწარმოებდა მოლაპარაკებას, საბოლოოდ მხარეები შეთანხმდნენ, რომ არხი სატელეკომპანია „W7“-ზე განთავსდებოდა. 15 იანვრიდან „პირველი კავკასიური“

საცდელი მაუნეებლობა დაიწყო. ხელმოწერილი კონტრაქტი მაუნეებლის ხელმძღვანელობამ კომპანიას 21 იანვარს ფოსტით გაუგზავნა მაშინ, როცა ხელმოსაწერად დრო 31 იანვრამდე ჰქონდათ. 27-ში წერილი საფრანგეთში ჩავიდა. ოთხი დღით ადრე, „ეუტელსატის“ ერთ-ერთმა მენეჯერმა ქართულ მხარესთან ტექსტური შეტყობინება გამოაგზავნა, სადაც განმარტავდა, რომ არხის შინაარსობრივი ნაწილის გამო კომპანიას პრობლემები ექმნებოდა. ჭანტურიას თქმით, 26 იანვარს საკითხის გასარკვევად საფრანგეთში ჩასულ „პირველი კავკასიურის“ წარმომადგენლებს პირადად აუხსენეს, რომ „გაზპრომის“ მედიაჯგუფისგან ზენოლას განიცდიდნენ.

„ტექსტური შეტყობინება სასამართლოზე ნივთმტკიცებად წარვადგინეთ, თუმცა სასამართლომ საერთოდ არ გაითვალისწინა. საბოლოოდ, მათი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ თითქოს მათ კონტრაქტის გაფორმებამდე დაგვირეკეს და აგვისხნეს, რომ ჩვენთან თანამშრომლობა აღარ სურდათ, რადგან ეს ადგილი უკვე „გაზპრომ მედია ჯგუფს“ თავისი ტელეკომპანია NTV Plus-ისთვის ჰქონდა ნაყიდი“, – აცხადებს გია ჭანტურია.

საერთაშორისო მედიისთვის გაკეთებულ განცხადებებში „ეუტელსატი“ ამტკიცებს, რომ „გაზპრომ მედია

ჯგუფისგან“ ფინანსურად უფრო ხელსაყრელი წინადადება მიიღო, „პირველი კავკასიურთან“ დადებული კონტრაქტი კი ძალაში არ შესულა, ამიტომ ქართველებს მათ თანამგზავრის შეცვლა და სხვა სიხშირეზე გადასვლა შესთავაზეს. თუმცა, შემოთავაზებულ სატელეკომპანია „W2“-ს შეზღუდული დაფარვის ზონა აქვს, „W7“-ის სიგნალი კი მთელ კავკასიაში, რუსეთის ევროპულ ნაწილსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა რეგიონებშიც ვრცელდება.

„პირველი კავკასიურის“ მიმართ რუსეთის მთავრობის უარყოფითი განწყობა არხის ეთერში გასვლისთანავე გაჩნდა. მისი საკითხი დეპუტატებმა რუსეთის დუმამაც კი განიხილეს. თავად რუსი ექსპერტებიც აღნიშნავენ, რომ კრემლს „პირველი კავკასიურის“ მხრიდან ყველაზე მეტად სწორედ ამ რეგიონის მიმართ განსაკუთრებული ინტერესი აღიზიანებდა. საქართველოში კი არხს ძირითადად იმიტომ აკრიტიკებდნენ, რომ ის, შესაძლოა, ხელისუფლების ანტირუსული რიტორიკის გამავრცელებელ საშუალებად ქცეულიყო.

ახალ სატელეკომპანიაზე გადასვლის შემდეგ „კავკასიელ ხალხთა რეინტეგრაციის“ მიზნით შექმნილი არხი ეთერში უკვე შეცვლილი ფორმით გავა.

ის, რომ ამჯერად არხს გამოცდილი მედიაპროფესიონალი, რობერტ პარსონსი უხელმძღვანელებს, აჩენს ვარაუდს, რომ „პირველი კავკასიური“ მაღალი ჟურნალისტური სტანდარტების დამკვიდრებას შეეცდება.

პარსონსი დიდი ხნის განმავლობაში სწავლობდა ქართული ნაციონალიზმის საკითხებს, სხვადასხვა დროს იყო „ბიბისის“ მოსკოვის ბიუროს კორესპონდენტი, რადიო „თავისუფლების“ ქართული სამსახურის ხელმძღვანელი, საფრანგეთში კი ტელეკომპანია France 24 TV-ს საერთაშორისო ამბების პროდიუსერი.

ის „პირველი კავკასიურის“ პროპაგანდის საშუალებად გამოყენებას გამორიცხავს და კავკასიის მასშტაბით ამბიციური პროექტის განხორციელებას აპირებს. ■

ეკონომიკური ბაზრი ეკონომიკის საფუძველი

დინა ჩაჩუა



ბელგია, რომელიც თვეზე მეტია, სამი-ნაო პოლიტიკურ კრიზისშია და მთავრობის ფორმირებას ვერ ახერხებს, 6 თვის განმავლობაში ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება. იგი ევროკავშირის შიდა პრობლემებზე გააკეთებს აქცენტს. მთავარი ეკონომიკურ კრიზისთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა იქნება.

თავმჯდომარე ქვეყნის დღის წესრიგში საბერძნეთის მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად ახალი წესების შემუშავება; ფინანსური ბაზრების ზედამხედველობა; ეროვნული ბიუჯეტებისა და ვალების დონის მკაცრი კონტროლი და წესების დამრღვევთათვის სანქციების დაწესება; ასევე ინოვაციებისა და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა.

შედარებით ნეიტრალური, უამბიციო და თავშეკავებულია ახალი თავმჯდომარე ქვეყნის პოზიცია გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკისადმი. ამ მიმართულებით წელს ძირეულ სვლებს არავინ ელის არც ბრიუსელში და არც კანდიდატ ქვეყნებში; მით უმეტეს – საქართველოში, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს ევროკავშირთან ასოცირებული წევრობის შესახებ შეთანხმებაზე მუშაობას.

საგარეო ურთიერთობების გრაფაში ბელგიის დღის წესრიგში აქცენტი აფრიკის ქვეყნებთან ურთიერთობებზე კეთდება. გაფართოების კუთხით კი ევროკავშირი ხორ-

ასოცირებულ წევრობას

ევროკავშირში არანაირი სამართლებრივი სტატუსი არ აქვს. ვიდრე ქვეყანა წევრობაზე განაცხადს გააკეთებს, როგორც წესი, ის აფორმებს შეთანხმებას ასოცირებულ წევრობასთან დაკავშირებით. ეს სტატუსი ეზმარება ქვეყანას, მოემზადოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსისთვის. ამასთან, ასოცირებული წევრობა კავშირის სრულფუნქციანი წევრობის არც გარანტიას და არც წინაპირობას არ იძლევა. ასოცირებული წევრობის შესახებ შეთანხმება, რომლის ხელმოწერაზე მუშაობაც უახლოეს მომავალში უნდა დაიწყოს, საქართველო-ევროკავშირის შორის არსებული „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას“ ჩაანაცვლებს.

ვატიასთან განვერიანების შესახებ მოლაპარაკებების დასრულებას და ამავე პროცესის ისლანდიასთან წამოწყებას გეგმავს. დაგეგმილია ასევე ესტონეთის ევროზონაში გასაწევრიანებლად მომზადება.

გარკვეული ცვლილებები იქნება თურქეთთან მიმართებაშიც, რაც ანკარასთან მოლაპარაკებების განახლებით შეიძლება გამოიხატოს.

თურქეთმა ევროკავშირის სრულ წევრობაზე განაცხადი ჯერ კიდევ 1987 წელს შეიტანა. 1999 წელს მან კანდიდატის სტატუსი მიიღო, 2005 წლიდან კი ევროკავშირთან მოლაპარაკებებს აწარმოებს.

წევრობის ბოლო წინაპირობა ანკარამ 2005 წლის ივლისში შეასრულა, როცა ევროკავშირის ქვეყნებთან, მათ შორის კვიპროსთანაც, საბაჟო კავშირის დამყარების მზადყოფნა გამოთქვა. თუმცა, რეალურად თურქეთის პორტები და აეროპორტები კვიპროსისთვის დღესაც დაკეტილია.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი სათანადოდ არ ასრულებს ევროკავშირის რეკომენდაციებს, ევროკომისარი გაფართოების საკითხებში შტეფან ფულე ამ ქვეყანასთან თანამშრომლობის შეზღუდვის წინააღმდეგია. ფულე ყურადღებას ამახვილებს რეგიონში ანკარას მზარდ როლზე და აღნიშნავს, რომ დღეს თურქეთის საგარეო პოლიტიკა „თურქეთის ავიანახების საერთაშორისო ქსელზე უფრო სწრაფად ფართოვდება“.

ბელგიის თავმჯდომარეობამდე, 6 თვის მანძილზე ეს პოსტი ესპანეთს ეკავა.

სწორედ ესპანეთის პრეზიდენტობის პერიოდში მიღწეის შეთანხმებას საქართველოსა და ევროკავშირის შორის ვიზების გაცემის პროცედურის გამარტივებასთან დაკავშირებით. ეს შეთანხმება, საგარეოდ, მხოლოდ მომავალ წელს ამოქმედდება, მას შემდეგ, რაც საქართველოსა და ევროკავშირის შორის ხელი მოეწერება შეთანხმებას უნებართვოდ მყოფ პირთა რეადმისიის შესახებ და საქართველო სხვა სავალდებულო ტექნიკურ პროცედურებს გაივლის.

არსებობს ეჭვი, რომ შიდა პრობლემებში ჩაფლული ბელგია, რომელსაც დღეს დროებითი მთავრობა მართავს, საერთო ევროპული პრობლემებისთვის ვერ მოიცლის და აღებულ ვალდებულებებს სათანადოდ ვერ შეასრულებს.

თუმცა, ევროპელი ექსპერტები ასევე დასძენენ, რომ ევროფილი ბელგიისგან ნაკლებადაა მოსალოდნელი ეროვნული ინტერესების ევროპულზე მაღლა დაყენება, რაშიც ესპანეთს ადანაშაულებდნენ.

ახალი სვლიცები ახალ საბადასახადო ხოდასში

ნინო გოგუა

უმალესი განათლება, სამედიცინო მომსახურება და ბინები დამატებით აღარ დაიბეგრება. სასწავლებლები და საქართველოში შემოტანილი სამედიცინო ტექნიკა დამატებითი ღირებულების გადასახადისგან 2011 წლიდანაც თავისუფალი იქნება. აღარ დაიბეგრება არც ბინის გაყიდვით მიღებული 30 ათას ლარზე მეტი შემოსავალი.

„თუ სასწავლებელს საგადასახადო ხარჯები გაეზრდებოდა, შეიძლება ადმინისტრაციას ან სწავლის საფასური გაეძვირებინა, ან ხარისხი დაეკლო. განათლება კი სახელმწიფოს პრიორიტეტია“, – განმარტავს პრემიერ-მინისტრის პირველი მრჩეველი გიორგი პერტაია, რომელიც ახალი კოდექსის დამტკიცების შემდეგ ბიზნეს ომბუდსმენის თანამდებობას დაიკავებს.

საგადასახადო შეღავათებით ძველებურად ისარგებლებს ბეჭდური მედიაც და დამატებითი ღირებულების გადასახადს არ გადაიხდის.

„კერძო სექტორისგან მიღებული 100-მდე რეკომენდაციიდან ყველაზე პრინციპული საკითხები დაკმაყოფილდა“, – განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირაკლი სირაძემ. ეს შედეგი კერძო ბიზნესის და ექსპერტების საჯარო აქტიურობამ გამოიღო.

ცვლილებები 16 მაისს პარლამენტის სესიაზე კანონის მეორე მოსმენის შემდეგ ოფიციალურად უნდა დამტკიცებულიყო, მაგრამ საკითხის განხილვა გადაიდო – „გადანყვეტილება წუხელ პრემიერ-მინისტრიკა გილაურთან გამართული კონსულტაციის შედეგად მივიღეთ, რადგან კოდექსის პროექტში რამდენიმე საკითხი ჯერ კიდევ დასაზუსტებელია“, – განმარტავს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ.

განხილვის გადადება უფრო მეტ დროს და შესაძლებლობას აძლევს კერძო და სამოქალაქო სექტორს, რათა მთავრობასთან მოლაპარაკებების ფორმატით სხვა მნიშვნელოვანი ინტერესებიც დაიცვას.

ჯერ კიდევ გაურკვეველია, ძალაში დარჩება თუ არა, ლინის გარდა, სხვა სპირტიანი

სასმელების აქციზის გაზრდილი განაკვეთი. გიორგი პერტაიას განმარტებით, მართალია, ლუდის, არყის და სხვა სპირტიანი სასმელების მწარმოებლებმა ამ საკითხზეც გამოთქვეს პროტესტი, მაგრამ იმის გამო, რომ აქციზის გაძვირება სასმელის ფასის 50 თეთრზე მეტით გაზრდას არ გამოიწვევს, სავარაუდოდ, ამ რეკომენდაციას არ გაითვალისწინებენ.

დებატების გაგრძელება პრინციპულად მნიშვნელოვანია იმ ორგანიზაციებისთვისაც, ვინც გრანტით იხდის თანამშრომლების ხელფასს. იმის გამო, რომ არასამთავრობო სექტორი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია, არასამთავრობო ორგანიზაციები, ყველა სხვა ფორმატის ორგანიზაციებთან შედარებით, დასაქმებულებისთვის 12%-ის ოდენობის საშემოსავლო გადასახადს იხდიან. ამ შეღავათს მთავრობის სპეციალური დოკუმენტი – მორატორიუმი არეგულირებს.

ახალი კოდექსის მიხედვით, ეს საგადასახადო განაკვეთი 2011 წელს 20 პროცენტი გახდება. მორატორიუმის მიხედვით კი, 2011 წლისთვის 12 პროცენტის ოდენობის ბეგარის მხოლოდ 18 პროცენტამდე გაზრდა იყო დაგეგმილი.

ამ ფონზე, 20 პროცენტის გადახდის ვალდებულება არასამთავრობო სექტორში სტრუქტურულ და ფინანსურ პრობლემებს შექმნის, იმის გამო, რომ გრძელვადიანი პროექტების ბიუჯეტები უკვე განერილი და დონორების მიერ დამტკიცებულია. ხარჯების გაზრდის შემთხვევაში, მათ ან თანამშრომლებისთვის ანაზღაურების შემცირება მოუწევთ, ან კადრების გათავისუფლება.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა 15 ივნისს საქართველოს პარლამენტს ერთობლივი განცხადებით მიმართეს და მოქმედი 12-პროცენტიანი განაკვეთის ვადის კიდევ სამი წლით გახანგრძლივება მოითხოვეს. საპარლამენტო განხილვის 16 ივლისიდან 21 ივლისამდე გადმავდა ზრდის იმის აღბათობას, რომ სამოქალაქო სექტორი საკუთარი ინტერესის ეფექტურად დაცვას შეძლებს. □



გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

ბაჭდური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსანერად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვანოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია ელ-ფოსტით: info@liberali.ge



მომხრე

დავით გაბუნია

დრამატურგი, მთარგმნელი

მარჯან სატრაპი ირანელი ფრანგია, ნიჭიერი მწერალი და ილუსტრატორი. კომიქსის სტილში შესრულებულმა წიგნების სერიამ „პერსეპოლისი“ მას საერთაშორისო აღიარება მოუტანა. წიგნების ანიმაციური ვერსია კი სუპერჰიტი გახდა. ეს ავტობიოგრაფიული ნაწარმოები სულ სხვაგვარად დაგანახებთ ირანელი გოგონას ცხოვრებას, რომელმაც დახშული წრის გარღვევა მოახერხა, არ დამორჩილდა არავის და არაფერს და დღეს წარმატებული ადამიანია, ფრანგულ კულტურასთან ასიმილირდა, თუმცა, ამით თავისი ირანელობა სულაც არ დაუკარგავს.

სატრაპის ბიოგრაფია საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, თუ რატომ მიმჩნია საფრანგეთში ბურქის, სახის/სხეულის ნანილობრივ/მთლიანად დამფარავი სამოსის საჯარო ადგილებში ტარების საწინააღმდეგოდ მიღებული კანონი პოზიტიურ მოვლენად. მოწინააღმდეგეები ათასგვარ სარჩულს უძებნიან პრეზიდენტ სარკოზის ინიციატივას, – არიქა, ყურადღება ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებზე გადააქვს, საზოგადოებას ხლექსო და ა.შ. ყველაზე მეტად კი იმას უკიჟინებენ, – ეს უფლებების შეზღუდვაა, როგორ შეიძლება, ნებისმიერ ადამიანს რაიმე სამოსის ტარება აუკრძალო. ერთი შეხედვით, მყარი არგუმენტია – თავისუფლება. თუმცა, მოდით, ასე შევხედოთ – როდესაც მცირე ასაკიდან ქალებს გაუთავებლად უჩიჩინებენ, რომ სახის ან სხეულის საჯაროდ გამოჩენა სირცხვილია და ამისთვის ისინი აუცილებლად დაისჯებიან, რომელ თავისუფლებაზე ვლაპარაკობთ? სად არის აქ არჩევანი? ვინმე ითვალისწინებს მათ ნებას, არჩევანს უტოვებენ, თუ მოდით, პირდაპირ ვთქვათ – სოციალური კონსტრუქტის მარწმუნებში აქცევენ? მით უმეტეს, იმგვარ სეკულარულ ქვეყანაში, როგორც საფრანგეთია, წარმოდგენაც კი ძნელია, ჩადრით შემოსილი ახალგაზრდა ქალი რას შეიძლება გრძნობდეს. თავისთავად ცხადია, რომ ნებაყოფლობით ნაბიჯად გასაღებული იძულება მათ იზოლაციასა და მარგინალიზაციას კიდევ უფრო ამძაფრებს.

როდესაც ინტერნეტში ირანელი საკინე მოჰამადი აშტიანის ქვებით ჩაქოლვისგან გადარჩენის კამპანიას ვადავებთ თვალს, გულს მალამოდ ედება საფრანგეთის მთავრობის ეს გადაწყვეტილება. ვინ იცის, საკინეს რომ მარჯანივით მოეხერხებინა დახშული წრის გარღვევა, დღეს მის და ათასობით სხვა უბედური ქალის ბედზე ასე არ ვიდარდებდით. მე მიხარია, რომ მარჯან სატრაპი გადარჩა (ამ სიტყვის ყველა გაგებით) და მან ეს სწორედ ევროპაში მოახერხა. კიდევ უფრო გამიხარდება, თუ საფრანგეთი მაინც იქნება ის გამონაკლისი ქვეყანა, სადაც მუსლიმ ქალებს, ბურქის საჯაროდ ტარების გარდა, არაფერს აუკრძალავენ. ■



ახის თუ ახა ქანების ახიძანცა მათი უფ

■ მიხარია, რომ მარჯან სატრაპი გადარჩა და მან ეს სწორედ ევროპაში მოახერხა. კიდევ უფრო გამიხარდება, თუ საფრანგეთი მაინც იქნება ის გამონაკლისი ქვეყანა, სადაც მუსლიმ ქალებს, ბურქის საჯაროდ ტარების გარდა, არაფერს აუკრძალავენ.



მონინალმდევე

ბექა მინდიაშვილი

სახალხო დამცველის ოფისთან არსებული
ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი

თქვის ბუჩქის ტახების ღებების დახლვევა?

■ როგორ უნდა აიძულოს პოლიციელმა ქუჩაში ფარანჯით მოსიარულე ქალს, გაიხადოს იგი? ან რა უნდა უყონ დაუმორჩილებელ ქალს, რომელიც, პროტესტის ნიშნად, კვლავ სახედაფარული გამოცხადდება ქუჩაში, რეციდივისტად გამოაცხადონ?

თუ ქალს აიძულებენ ამგვარი სამოსით სიარულს, ეს მისი დისკრიმინაციაა, მაგრამ თუკი იგი საკუთარი ნებით იცვამს ასე? ამ შემთხვევაში, სახელმწიფო თავად გვევლინება ქალთა უფლებების დამრღვევად.

საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმი ფარანჯიანი ქალი ამბობს: „ჩვენი თავისუფლება ისაა, რომ ჩავიცვათ, როგორც ჩვენ გვსურს. სხვაგვარად ვერ ვხედავ განსხვავებას მუსლიმი ექსტრემისტებისგან. ისინი გვაიძულებენ, ვატაროთ ფარანჯა, საფრანგეთში კი გვაიძულებენ, გავიხადოთ იგი. მომეცით თავისუფალი არჩევანის უფლება. მე პატივს ვცემ საკუთარ სხეულს და არ მსიამოვნებს, როცა მიმითითებენ, როგორ ჩავიცვა (რადიო France International (RFI) 19 მაისი, 2010).


სახელმწიფოს მხრიდან მუსლიმი ქალების თავისუფლებაში ამგვარი ჩარევა ორ ლიბერალურ პრინციპს არღვევს: ინდივიდუალურ თავისუფლებებში ჩაურევლობისა და სახელმწიფოს ნეიტრალურობის პრინციპს ნებისმიერი რელიგიისადმი.

კიდევ ერთი კითხვა – რამდენად პრაგმატულია აკრძალვის პრინციპი? ბელგიაში დაახლოებით 400 ათასი მუსლიმიდან ფარანჯით ან ნიქებით მხოლოდ 25-35 ქალი დადის. საფრანგეთში 5 მილიონი მუსლიმი ცხოვრობს. ამგვარ სამოსს კი მხოლოდ 1800-მდე ქალი ატარებს. აქედან გამომდინარე, მუსლიმების უმრავლესობა საფრანგეთის პრეზიდენტისა და პარლამენტის ქვედა პალატის გადაწყვეტილებებს ისლამოფობიის სიმბოლურ აქტად მიიჩნევს. ეს ბუნებრივად აჩენს მუსლიმების განწყობათა რადიკალიზაციის საფრთხეს. დასაფიქრებელია ისიც, რომ მოძალადე ქმრებმა, შესაძლოა, ფარანჯიან ქალებს საერთოდ აღარ დართონ შინიდან გამოსვლის ნება.

ჩემი აზრით, აგრესიული სეკულარიზმი სახელმწიფოს ტრაგიკომიკური იერსახით წარმოაჩენს. ამ გადაწყვეტილების აღსრულება კანონდამცველებს უხერხულ ვითარებაში ჩააგდებს. როგორ უნდა აიძულოს პოლიციელმა ქუჩაში ფარანჯით მოსიარულე ქალს, გაიხადოს იგი? ან, ვთქვათ, კანონით გათვალისწინებული პირველი ორი დაჯარიმების შემდეგ რა უნდა უყონ დაუმორჩილებელ ქალს, რომელიც, პროტესტის ნიშნად, კვლავ სახედაფარული გამოცხადდება ქუჩაში, დააკავონ იგი და რეციდივისტად გამოაცხადონ?

რამდენიმე ხნის წინ თურქეთის პრემიერმა რეჯეფ ერდოღანმა, მას შემდეგ, რაც მის ორ ქალიშვილს თურქულ უნივერსიტეტში სწავლის უფლება ხიჯაბის ტარების გამო არ მისცეს, ისინი სასწავლებლად აშშ-ში გააგზავნა.

როგორც ჩანს, ფარანჯიანი ქალების „შეზღუდვის“ რიგში დგას ესპანეთი, დანია, გერმანია, ჰოლანდია, იტალია. ისმის კითხვა – ევროპული ფასეულობებისა და ქალთა თანასწორუფლებიანობის დაცვის სახელით, ისლამოფობიის ახალ ტალღასთან გვაქვს საქმე? ■



გაზსადენის გასწვრივ

გაზსადენი ქვედა ფონი

მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო
გაზსადენთან დაკავშირებით მიმდინარე
აუცილებელი ფონზე, ალბათ, უპირველესად
საინტერესოა შეფასება, რა აქტივის შესაძლო
გაზსადენებზე მიდის დავა-კამათი?

რევაზ საყვარიშვილი

მაგისტრალური გაზსადენი საქართველო-რუსეთის საზღვრიდან იწყება, საქართველო-სომხეთის საზღვრამდე გრძელდება და 221 კმ-ს მოიცავს. მილსადენი უზრუნველყოფს ბუნებრივი აირის მიწოდებას საქართველოსა და სომხეთისათვის. შესაბამისად, ქვეყნისთვის როგორც სტრატეგიული, ისე ეკონომიკური მნიშვნელობა გააჩნია.

სწორედ ამ სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, 2004-2005 წლებში, როცა საქართველოს ხელისუფლებამ პირველად ნამოჭრა გაზსადენის პრივატიზაციის საკითხი მისი რეაბილიტაციისთვის აუცილებელი თანხების არარსებობის მოტივით, ამას საქართველოს უმსხვილესი სტრატეგიული პარტნიორის – აშშ-ს ადმინისტრაციის მკაფიო გაფრთხილება მოჰყვა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებასთან დაკავშირებით. მეტიც, სწორედ სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, აშშ-ს მთავრობამ გადაწყვიტა, საჭირო თანხები გამოეძებნა საქართველოს გაზსადენის რეაბილიტაციისთვის.

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის“ (MCC) ფარგლებში გაფორმდა შეთანხმება, რომელიც სხვა პროექტებთან ერთად (რომელთა საერთო ღირებულება 295 მილიონი დოლარის დახმარებას მოიცავდა, შემდეგ კი კიდევ 100 მილიონი დოლარით გაიზარდა) ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციას იმ პირობით ითვალისწინებდა, რომ საქართველო არ გაასხვისებდა ამ ობიექტს.

„საქართველოს მთავრობამ არ უნდა გაყიდოს ან გადასცეს, ან ნებართვა გასცეს გაყიდვაზე ან გადაცემაზე, გაზსადენის და/ან საქართველოს გა-


ზის საერთაშორისო კორპორაციის (ან მისი შვილობილი კომპანიების) აქციების საკონტროლო პაკეტი და ასევე არ უნდა გასცეს გირაოს უფლება გაზსადენზე ამ შეთანხმების ვადის ამოწურვამდე, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, თუ „ათასწლეულის განვითარების ფონდი“ წერილობითი ფორმით არ განაცხადებს თანხმობას“, – ნათქვამია შეთანხმებაში. შეთანხმების თანახმად, ამ მუხლის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს მთავრობამ უნდა აუნაზღაუროს MCC-ის ის თანხა, რაც გაზსადენის რეაბილიტაციაზე დაიხარჯა, რის შემდეგაც MCC შეწყვეტს გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტს და ასევე დაიტოვებს უფლებას შეაჩეროს შეთანხმებით გათვალისწინებული სხვა პროექტებიც. შევასხენებთ, კონტრაქტის ვადა 2011 წლის 7 აპრილისთვის დასრულდება.

დღეს გაზსადენის რეაბილიტაცია უკვე დასრულებულია. ფონდ „ათასწ-

ლეულის გამოწვევა – საქართველოს“ ინფორმაციით, 2010 წლის თებერვალში დასრულდა გაზსადენის რეაბილიტაციის პროექტი, რომლის ფარგლებშიც 221 კმ-იანი მილსადენის 22 უბნის რეაბილიტაციაზე 35 მილიონი დოლარი დაიხარჯა. „ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციის შედეგად, გაიზრდება საქართველოსა და რეგიონის ენერგოუსაფრთხოება, ენერგომომარაგების საიმედოობა და შემცირდება გაზსადენიდან არსებული ტექნიკური დანაკარგები“, – ნათქვამია სამუშაოების დასრულების აღსანიშნავად გავრცელებულ განცხადებაში. საგულისხმოა, რომ შეთანხმებით ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის პროექტისთვის გათვალისწინებული იყო 49 მილიონი დოლარის დახარჯვა, თუმცა თანხების დაზოგვის შედეგად, სწორედ ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების გაზრდის მიზნით, MCC-ს თანხმო-

საქართველოსთვის ჩხუპის ბაზი ყველაზე ძვირი ღირს

ჩხუპის ბაზის ფასი ქვეყნისთვის (აშშ დოლარი ათას ჯამზე მაჩვენებელი)



ბით, პროექტის ფარგლებში დაფინანსდა საჭირო წინასამშენებლო კვლევების ჩატარება მინისტრებმა გაზსაცავის ასაშენებლად.

მოკლედ, „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციიდან“ მიღებული პროექტი დასრულდა და გაზსადენის გაყიდვის თემაც კვლავ გაცოცხლდა – ოლონდ ამჯერად უკვე რეაბილიტირებული და, შესაბამისად, პოტენციურად უფრო მაღალ ფასად გასაყიდი გაზსადენის.

მართლაც, რა საფრთხეს მოიცავს გაზსადენის გაყიდვა? მით უფრო, როცა მართლაც ცხადია, რომ სახელმწიფო ყოველთვის არაეფექტიანი მესაკუთრეა და კერძო ოპერატორი ნამდვილად ყოველთვის უკეთესად ართმევს თავს ნებისმიერი სამეურნეო ფუნქციის შესრულებას?

უპირველესად, ტრადიციულად, რუსული ფაქტორი. საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციით დაინტერესებულთა პირველ რიგში კვლავ რუსული „გაზპრომი“ დგას – რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმძლავრესი ინსტრუმენტი. „გაზპრომი“ არც მალავენ ამ აქტივით დაინტერესებას და პირდაპირ მიუთითებენ, რომ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის მათთვის მიყიდვა პირდაპირ აისახება საქართველოსთვის მონოდებული ბუნებრივი აირის საფასურზე.

ცნობისათვის: რუსულმა ენერგოგაგანტმა უკვე ოფიციალურად გამოაქვეყნა 2010 წლის საფასო პოლიტიკის განაცხადი ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან მიმართებაში, საიდანაც ნათელი ხდება, რომ საქართველოსთვის რუსული გაზი ყველაზე ძვირი ღირს – ათას კუბურ მეტრზე 270 დოლარი, რაც უფრო მეტია, ვიდრე რუსული გაზის ფასი ბელორუსისთვის (170 დოლარი), სომხეთისთვის (182 დოლარი), უკრაინისთვის (230 დოლარი) და მოლდოვისთვის (240 დოლარი).

სწორედ ამ 270 დოლარის შემცირების საკითხს განიხილავს „გაზპრომი“ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი მის კუთვნილებაში გადაინაცვლებს. მაგრამ

რამდენად მნიშვნელოვანია ეს რესურსი და მისი ფასი საქართველოსთვის? ქართული მხარე ყველა შესაძლო სიტუაციაში განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ რუსულ გაზს ქვეყანა არ ყიდულობს და აირით უზრუნველყოფა აზერბაიჯანიდან ხდება. თავად „გაზპრომი“ გათვლებითაც, 2010 წელს საქართველომ შეიძლება მაქსიმუმ 400 მილიონი კუბური მეტრი მოიხმაროს, როცა ქვეყნის მთლიანი მოხმარება 2 მილიარდ კუბურ მეტრს აჭარბებს. ანუ რუსული გაზის წილი ქართულ მოხმარებაში რუსული მხარისთვის ყველაზე ოპტიმისტურ სცენარშიც კი ერთ მეტრზე ბევრად ნაკლები იქნება. შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკური ინტერესი გაზსადენის რუსებზე მიყიდვასა და რუსული გაზის ფასის დაკლებაში ნაკლებად თვალსაჩინოა.

კიდევ უფრო ნაკლებად თვალსაჩინოა პოლიტიკური სარგებელი, რომელიც საქართველომ მაგისტრალური გაზსადენის ოკუპანტი ქვეყნის სტატუსით მოსილი სახელმწიფოსთვის გადაცემით შეიძლება მიიღოს.

ფაქტია, რომ დღეს ნაკლებად ჩანს საკითხი, რომელზეც რუსულ მხარესთან გაზსადენის გაყიდვა შეიძლება „გადახურდავდეს“. მით უფრო, როდესაც პოტენციური მყიდველი არა რომელიმე რუსული კერძო, პოლიტიკური დინებებისგან გვერდზე მდგომი კომპანიაა, არამედ სახელმწიფო ენერგოგაგანტი „გაზპრომი“, რომლის დირექტორთა საბჭოც ასე გამოიყურება: თავმჯდომარე – რუსეთის ფედერაციის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი ვიქტორ ზუბკოვი, წევრები – რუსეთის ეკონომიკური განვითარების მინისტრი ელვირა ნაბიულინა, რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი სერგეი შმატკო, რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებში იგორ იუსუფოვი. მოკლედ ის გუნდი, რომელიც წლების განმავლობაში „მოსდევდა“ პრეზიდენტ პუტინს და მის ადმინისტრაციას. ცნობისათვის: პირველი ვიცე-პრემიერის სავარძლიდან პრეზიდენტის პოსტზე

გადანაცვლებამდე „გაზპრომის“ დირექტორთა საბჭოს თვით დმიტრი მედვედევი თავმჯდომარეობდა.

მოკლედ, რუსული კომპანიისთვის მაგისტრალური გაზსადენის მიყიდვა არც პოლიტიკურად და არც ეკონომიკურად გამართლებულად არ ჩანს. არადა, სწორედ ის იკვებება ყველაზე რეალურ მყიდველად იმის მიუხედავად, რომ გაზსადენით დაინტერესება არ გამოირიცხეს არც აზერბაიჯანულმა „სოკარმა“, არც ყაზახურმა „ყაზმუნაიგაზმა“ და არც სომხურმა „არმგაზპრომმა“. მათი შესაძლო ინტერესი მაინც ყოველთვის რუსულზე იქნება „ჩამოკიდებული“, მით უფრო, იმის გათვალისწინებით, რომ ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენი რუსულ გაზს ატარებს.

მაშინ, რას ემსახურება მაგისტრალური გაზსადენის საპრივატიზებო ობიექტების ნუსხაში გადანაცვლება?

ვერსია რამდენიმე შეიძლება იყოს. თუმცა, მათი დამაჯერებლობის ხარისხზე მსჯელობა რთულია. უპირველესად, თუ ისტორიის გამეორების ლოგიკიდან ამოვალთ, შესაძლოა საქართველო მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო გაყიდვის თემაზე აპელირებით დასავლელი პარტნიორებისგან მორიგი ფინანსური ინექციების მიღებას იმედოვნებს. ანუ გვიჭირს და იძულებულნი ვართ, გაზსადენი გაყვიდოთ და თუ არ გინდათ, რომ მას რუსები დაეპატრონონ, თქვენ მოგვეცით ფული.

პრაქტიკულად, სწორედ ეს მოხდა 2004-2005 წლებში. დღეს საგულისხმოა, რომ მაგისტრალური გაზსადენის შესაძლო გაყიდვის იდეა თბილისში ჰილარი კლინტონის ჩამოსვლის კვირადალს მოხდა, რამაც სტრატეგიულ პარტნიორს ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმისკენ უნდა უბიძგოს.

მეორე ვერსია რეგიონში ენერგოგაგანლის შესაძლო ცვლილებას და მასზე რეაგირების აუცილებლობას ეხება. როგორც ცნობილია, მექსიკის ყურეში ჩაღვრილი ნავთობის ისტორიის გამო ბუნდოვანი გახდა კომპანია „ბი-პი“-ს და მისი სამომავლო საქმიანობის პერსპექტივები. პროგნოზები უდიდეს დიაპაზონს მოიცავს – დაწყებული

"გაზპრომის" დიჩაჟსოხთა საბჭოს ის ბუნდი, ხომაიოს წაბის ბანძა-
ლობაში "მოსლავა" ჰიხილენბ ჰახინს და მის ადმინისტრაციას



ვიქტორ ჯუკოვი
საბჭოს თავმჯდომარე - რუსეთის
ფედერაციის მთავრობის პირველი ვიცე-
პრემიერი



ელვირა ნაბუშინა
საბჭოს წევრი -
რუსეთის ეკონომიკური
განვითარების მინისტრი



სერგეი შმატკო
საბჭოს წევრი -
რუსეთის ენერჯეტიკის
მინისტრი



იგორ იუსუჟოვი
საბჭოს წევრი - რუსეთის
პრეზიდენტის სპეციალური
წარმომადგენელი
საერთაშორისო ეკონომიკური
თანამშრომლობის საკითხებში

მესამე ვერსია სახელმწიფოს საკუ-
თრებაში არსებული აქტივების არა-
საკონტროლო გასხვისების ახალი
მოდელების შემოტანას უკავშირდება.
7-8 ივლისს საქართველოს პრემიერ-
მინისტრმა ლონდონში ე.წ. „როუდ
შოუ“ გამართა, რომლის ფარგლებ-
შიც ინვესტორების „საქართველოს
რკინიგზით“ დაინტერესებას შეეცადა.
„საქართველოს რკინიგზის“ ფასიანი
ქაღალდების პირველადი განთავსება
ლონდონის საფონდო ბირჟაზე იგეგმე-
ბა, რაც წარმატების შემთხვევაში სხვა
სახელმწიფო აქტივებზეც (მათ შორის,
მაგისტრალურ გაზსადენზეც) შეიძლე-
ბა გავრცელდეს.

საგულისხმოა კიდევ ერთი მოსაზრე-
ბა, რომელიც საკითხის პარლამენტში
განხილვის დროს გაჟღერდა. კერძოდ
იტყვა, რომ მაგისტრალური მილსა-
დენის პრივატიზებას არავინ გეგმავს,
ვინაიდან გაზის მაგისტრალური მილ-
სადენი ეკუთვნის ნავთობისა და გაზის
კორპორაციას და თუ რამის გასხვისე-
ბა შეიძლება მოხდეს, ეს სწორედ ნა-
ვთობისა და გაზის კორპორაციის აქ-
ციებია.

მაგისტრალური გაზსადენი შედის
ნავთობისა და გაზის კორპორაციაში,
რომლის აქციების ნაწილის გაყიდვა
დაშვებულია, მასში შემავალი ნავთობ-
სადენის აქციების გაყიდვა კი კანონით
აქამდე აკრძალული იყო, ახლა კი ესეც
დაშვებული გახდება.

სწორედ ამიტომ ჩნდება ეჭვები, რომ
რეალურად არა მარტო მაგისტრალუ-
რი გაზსადენის, არამედ მთლიანად
სისტემის გაყიდვა შეიძლება იგეგმე-
ბოდეს. ასეთ შემთხვევაში მისი შე-
მსყიდველი მთელი ქვეყნის გაზით მო-
მარაგებას დაეპატრონება. მოკლედ,
ვერსიები ბევრია და საბოლოოდ ყვე-
ლაფერი ისევ ბანალურ გამჭვირვალო-
ბამდე მიდის. თუ მაგისტრალურ გაზ-
სადენთან დაკავშირებული პროცესები
გამჭვირვალედ წარიმართა, მაშინ
ეჭვებისთვის, ცხადია, გაცილებით ნაკ-
ლები საფუძველი დარჩება. თუმცა,
წლობით ნასაზრდოები სკეპტიკური
გამოცდილება ასეთი იდეის ნაკლებ
იმედს ტოვებს.

**■ საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზაციით
დაინტერესებულთა პირველ რიგში კვლავ რუსული „გაზპრომი“
დგას – რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმძლავრესი
ინსტრუმენტი. „გაზპრომში“ არც მალავენ, რომ საქართველოს
მაგისტრალური გაზსადენის მათთვის მიყიდვა პირდაპირ აისახება
საქართველოსთვის მონოდებული ბუნებრივი აირის საფასურზე.**

კომპანიის შესაძლო გაკოტრებით და
დამთავრებული მისი მნიშვნელოვანი
პოზიციური და გავლენითი სახეცვლი-
ლებით. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველა
მალალი ალბათობით ვარაუდობს, რომ
„ბი-პი“-ს თავის გადასარჩენად თავი-
სი გარკვეული პროექტების დათმობა
შეიძლება მოუხდეს, მათ შორის, კა-

ვკასია-ცენტრალური აზიის რეგიონში,
რაც ამ ბაზრებზე ახალი მოთამაშეების
შემოსვლას და ძალთა ახლებურ გადა-
ნაწილებას შეიძლება ნიშნავდეს. გამო-
რიცხული არ არის, სწორედ ამ ფართო
კონტექსტში იჯდეს საქართველოს მა-
გისტრალური გაზსადენის ახალი პა-
ტრონის ძიების იდეაც.

გაზსადენი

ეჩევენს გაზსადენის გაყიდვის ახ ეშიონია

ეკატერინა პოლსიანი, ერევანი

ფოტო: ბასტ ბულაშვილი



სომეხი ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემა, განსაკუთრებით ირანი-სომხეთის გაზსადენის არსებობის გათვალისწინებით, მთლიანად დივერსიფიცირებულია.

სომხეთის ენერგეტიკის მინისტრმა არმენ მოვსესიანმა ამ თემაზე მსჯელობისას განაცხადა, რომ „სომხეთის ხელისუფლებას არ აღეგულებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გაზსადენის თუნდაც აზერბაიჯანისთვის შესაძლო მიყიდვა. სომხეთს არავითარი შოკის მომგვრელი სიტუაცია არ ელის“.

პოლიტოლოგ სერგეი მინასიანის აზრით, ამ აქციების ნაწილი თურქულმა კომპანიამაც რომ შეიძინოს, სომხურ მხარეს შეშფოთების საფუძველი არ აქვს, რადგან „საქართველო, მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვის შემთხვე-

ვაშიც, აქციების 51%-ს თავისთვის იტოვებს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს სხვა კომპანიების მხრიდან გაზსადენზე სრულ მონოპოლიას გამოირიცხავს“, – ამბობს სომეხი პოლიტოლოგი.

ექსპერტი ერევანდ ბოზოიანი არ გამოირიცხავს, რომ გაზსადენის მომავალი თანამფლობელი რუსული „გაზპრომი“ გახდეს. „აშშ-სა და რუსეთს შორის გადატვირთვის პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდა ურთიერთობებში არსებული დაძაბულობის შერბილება. აქედან გამომდინარე, საქართველომ შეიძლება კეთილი ნება გამოავლინოს და რუსული კომპანიის წინადადებას დათანხმდეს. ეს სომხეთისთვის ცუდი არ იქნება“, – აღნიშნა ერევანდ ბოზოიანმა და არასერიოზული უნოდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მაგისტრალური გაზსადე-

ნის აქციები შეიძლება აზერბაიჯანულმა კომპანიამ შეიძინოს.

სომხეთის ნაციონალური კრების დეპუტატი, რესპუბლიკური ფრაქციის წევრი გაგიკ მინასიანი ამბობს, რომ სომხეთისთვის, რომლის მიმართ მისი მეზობლები – თურქეთი და აზერბაიჯანი – უკვე ოცი წელია ეკონომიკურ ბლოკადას ახორციელებენ, მნიშვნელოვანია, რომ გაზსადენთან დაკავშირებულმა ამ გარიგებამ აზერბაიჯანულ და თურქულ კომპანიებს, რომლებიც მის შექმნას მოინდომებენ, „აბსურდული ნაბიჯების“ გადადგმის საშუალება არ მისცეს. მინასიანმა აღნიშნა, რომ საქართველო სერიოზულად უნდა დაფიქრდეს მაგისტრალური გაზსადენის მყიდველთან დაკავშირებით და პირველ რიგში – ეკონომიკური, და არა პოლიტიკური გადანყევით და მიიღოს. □

საქართველოს ბეჩხეხი ხუსეთთან



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში ჩაკეტილი წრის გარღვევა იმ ერთადერთი ბერკეტის მეშვეობით იქნება შესაძლებელი, რომელსაც საქართველო ფლობს. ეს ბერკეტი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაა.

მარკ მალენი

კრემლის ამჟამინდელ ადმინისტრაციას საქართველოს მთავრობა არ მოსწონს და ამას არც მალავს. ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოს საქმეები გაურთულონ მის ტერიტორიაზე შემოჭრამდეც და შემოჭრის ჩათვლითაც. სიმართლე რომ ითქვას, საქართველოს ბევრი არაფრის გაკეთება შეუძლია. რუსეთს კი ძალიან ბევრი ბერკეტი აქვს. საქართველოს ბერკეტი თითქმის არ გააჩნია, ერთადერთის გარდა – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის წევრობას ვეტო დაადოს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინაპარი ორგანიზაცია GATT იყო, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დადებული ხელშეკრულებით დაფუძნდა. WTO (მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია) 1995 წელს შეიქმნა, იმ იდეის ინსტიტუციონალიზაციის მიზნით, რომ მსოფლიო უკეთესი გახდება იმპორტზე დაწესებული ბაჟისა და მთავრობის მიერ გარკვეული ეკონომიკური სუბსიდიების გარეშე. ბევრი მთავრობა და ადამიანი ამას არ ეთანხმება, მაგრამ ეკონომისტები ეთანხმებიან და მათ საამისოდ საკმარის არგუმენტები აქვთ. WTO გლობალიზაციისა და თავისუფალი მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი ბიუროკრატიული გამოხატულებაა.

ბოლო ხანებში მედვედევმა გადახედა რუსეთისა და მისი ეკონომიკის ტრაექტორიას და გააცნობიერა, რომ ის არც ისე სახარბიელოა. კორუმპირებული სასამართლოს გამო, დაბალია უცხოური ინვესტიციები, დაბალია კონტრაქტების მდგრადობის ხარისხი, გამეფებულია

კორუფცია, დაბალია ინდუსტრიული წარმოების დონე, დაბალია შობადობა. მოკლედ, თითქმის ყველაფრის დონე დაბალია. ერთადერთი, რაც მათ აქვთ, არის ნავთობი და გაზი. რა თქმა უნდა, ყოველთვის კარგია, როდესაც მინიდან ნაღდ ფულს იღებ, მაგრამ შემდეგ მთელი ეს ფული სწრაფად უჩინარდება და მისი მინიდან ამოღების მაჩვენებელიც თანდათანობით მცირდება.

იქიდან გამომდინარე, რომ დუეტი ძალაუფლების შენარჩუნებას აპირებს, არ

■ საქართველოს მთავრობამ იცის, რომ ეს ერთადერთი ნამდვილი ბერკეტია, რასაც ის ფლობს, და მას ისე არ დაკარგავს, რომ რუსეთისგან სერიოზული დათმობები არ მიიღოს.

უნდათ, რომ ხელისუფლებაში მათი ყოფნა ხანგრძლივ და სამსუხარო რეგრესის პერიოდს დაემთხვეს. ამიტომ, მათ სჭირდებათ, რამე გააკეთონ. ობამა-მედვედევის გეგმები ჯერ ნათელი არ არის, მაგრამ ის გულისხმობს მოდერნიზაციას, რისი ერთ-ერთი ნაწილია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება და იმ სარგებელის მიღება, რაც ამას მოჰყვება. რუსეთი ყველაზე დიდი ეკონომიკაა მსოფლიოში, რომელიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი არ არის, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ახალი წევრის მიღებაზე ყველა სხვა წევრი უნდა თანხმდებოდეს. საქართველო კი 2000 წლიდან ამ ორგანიზაციის წევრია და რუსეთის გაწევრიანების წინააღმდეგია.

რა თქმა უნდა, რუსეთს სძულს თა-

ვისუფალი ვაჭრობა. ისინი ვერ წვდებიან მის ლოგიკას და ხშირად არღვევენ თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მაგალითები უამრავია. ერთ-ერთი ასეთი მაგალითი კი 2006 წელს რუსეთის მიერ ქართულ ღვინოზე ემბარგოს დაწესება იყო, ღვინოში ჯანმრთელობისთვის საშიში დანამატების არსებობის საბაბით. ამან ნათლად დაანახა მსოფლიოს ის ზიზღი, რაც რუსეთს თავისუფალი ვაჭრობის მიმართ აქვს, კერძოდ – შეუძლიათ თავისუფალი ვაჭრობის წინააღმდეგ სასაცილო და არარეალური უსაფრთხოების საბაბი გამოიყენონ.

საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თავისუფალი სავაჭრო ქვეყანაა. საქართველოს მთავრობა, თავისუფალი ვაჭრობის პრინციპების მიხედვით, სავაჭრო ტარიფების

დაწვევას გეგმავს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ინტერესთა ჯგუფები ამას ეწინააღმდეგებიან. ეკონომისტები მსგავს ნაბიჯებს დიდად აფასებენ.

სცენის მიღმა რუსეთი ინდივიდუალური პრობლემების მოგვარებაზე მუშაობს WTO-ს დანარჩენ 153 წევრთან. უმრავლესობას რუსეთის მიღების საკითხი არ ანაღვლებს, ზოგიერთს კი რუსეთთან ძალიან მცირე პრობლემა აქვს, რომლის გადაჭრასაც ადვილად შეძლებენ. რუსეთის კოლუმბი მიღებას ყველა მიესალმება. რალაც მომენტში შეიძლება საქართველო გახდეს უკანასკნელი ქვეყანა, რომელიც რუსეთის ორგანიზაციაში მიღებას წინ აღუდგება. რა მოხდება მაშინ?

მოვლენები, შესაძლოა, რამდენიმე სცენარით განვითარდეს. პირველ რიგ-

ში, შეიძლება საქართველოს მთავრობამ უბრალოდ თქვას „არა“, და ეს იქნება უბრალოდ „არა“. საქართველოს მთავრობამ იცის, რომ ეს ერთადერთი ნამდვილი ბერკეტი, რასაც ის ფლობს, და მას ისე არ დაკარგავს, რომ რუსეთისგან სერიოზული დათმობები არ მიიღოს – დათმობები, რომლებზეც რუსეთი არასდროს წავა. რაღაც მომენტში ზენოლა შეიძლება იმდენად დიდი იყოს, რომ საქართველო დანებდეს, თითქოს გარკვეული დათმობების სანაცვლოდ.

უკეთესი იქნება, თუ საერთაშორისო ჩარევით, საქართველო დაიწყებს რუსეთთან სერიოზულ, მაგრამ უხმაურო მოლაპარაკებებს სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებით. საქართველოს რაც უნდა, იმას ვერ მიიღებს, მაგრამ თუ საუბრები საკმარისად სერიოზული იქნება და საერთაშორისო ჩართულობაც გაანტირებული, საქართველომ შეიძლება მიიღოს ისეთი დათმობები, რაც მას სიტუაციის სწორი მიმართულებით წარმართვაში დაეხმარება.

ამ ორი რეგიონის ისტორია, საქართველოსთან მათი დამოკიდებულებისა და სტატუსის მიხედვით, შემდეგია: ორი წლის განმავლობაში არაფერი ხდება, შემდეგ რაღაც ძალიან ცუდი ხდება და ასე გრძელდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში; შემდეგ ისევ რაღაც ძალიან ცუდი ხდება და ისევ გრძელდება შემდეგი რამდენიმე წლის განმავლობაში... ერთი სიტყვით, წრეზე ვტრიალებთ.

თუ მომდევნო თვეების განმავლობაში კრემლთან დისკუსიები გაიმართება იმაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება, საქართველოს მხრიდან რეალისტური მოლოდინებითა და საზოგადოების მზაობით, რომ ის მიიღოს, რაც რეალურია (რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მცირეა იმასთან შედარებით, რაც საქართველოს რეალურად სურს), შესაძლებელი იქნება წრის გარღვევა სწორედ იმ ერთადერთი ბერკეტის მეშვეობით, რომელსაც საქართველო ფლობს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აფხაზეთთან და ოსეთთან კომუნიკაცია, რადგან მათ გარეშე ყველა ინიციატივა კრაზისთვის იქნება განწირული. **■**

ინგლისურიდან თარგმნა გიორგი ცხადაიამ

ჩრდილოეთი კავკასია

ერთი წელი ესტემიროვას ბაჩეშა

ნატალია ესტემიროვას მკვლელობიდან ერთი წელი გავიდა. მკვლელობა გახსნილია, მკვლელი კი არ არის.

ლაურა ჰასანოვა



ნატალია ესტემიროვა

15 ივლისს, მოსკოვში ნატალია ესტემიროვას მკვლელობის წლისთავისადმი მიძღვნილ პიკეტს 50 ადამიანი დაესწრო.

უფლებადამცველი ცენტრის „ემორიალის“ გროზნოს განყოფილების თანამშრომელი 51 წლის ნატალია ესტემიროვა 2009 წლის 15 ივლისს დილით უცნობებმა გროზნოდან, საკუთარი სახლის ეზოდან გაიტაცეს. იმავე საღამოს მისი ცხედარი მეზობელ ინგუშეთში, ტყეში დაგდებული იპოვეს.

აქციამ უხმაუროდ, შეუმჩნეველად ჩაიარა. რომ არა ნატალიას პორტრეტი, ყვავილების თაიგულები და რამდენიმე დანთებული სანთელი, ვერავინ იტყოდა, რომ აქ ვინმე რამეს აპროტესტებს. მოსკოვის პიკეტის მონაწილეებს ჰქონდათ დროშები წა-

რწერით „STOP კავკასიურ ომს“, „ომი კავკასიაში – დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ“, „სიმაართლეს ვერ მოკლავთ“.

იქვე ასფალტზე ცარცით დაანერეს იმ ჟურნალისტებისა და უფლებადამცველთა სახელები, რომლებიც ბოლო წლებში რუსეთში მოკლეს: მაგომედ ევლოევი, მარკუშარიბ აუშევი, ფარიდ ბაბაევი, ანა პოლიტოვსკაია.

ყველა ამ ადამიანს ერთი რამ აკავშირებდათ – თითოეული მათგანი ცხოვრობდა ან მუშაობდა ჩრდილო კავკასიაში – რეგიონში, სადაც კრემლის თქმით, დღეს სტაბილური მშვიდობა სუფევს, რეალურად კი, სიკვდილისა და უსამართლობის აჩრდილი ყველა ქუჩაზე დაძრწის.

იმ ადამიანთა ხმა, რომლებიც რუსეთში განუკითხავობის წინააღმდეგ

გამოსვლას ბედავს, იმდენად სუსტია, რომ არათუ მთელი ქვეყნის მასშტაბით, მეზობელ ქუჩაზეც არ ისმის.

შესაძლოა, ფედერალურ არხებს არც კი გაეშუქებინათ ესტემიროვას მკვლევლობის თარიღი, რომ არა ეკატერინბურგში დმიტრი მედვედევისა და ანგელა მერკელის ერთობლივი ბრიფინგი, რომელიც რუსულ-გერმანული ორმხრივი ფორუმის „პეტერბურგული დიალოგის“ შემდეგ გაიმართა.

ბრიფინგზე გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი პირადად დაინტერესდა რა ფაზაშია ნატალია ესტემიროვას მკვლევლობის გამოძიება.

მედვედევმა უპასუხა, რომ მკვლელობა გასხნილია. რუსული გამოძიება მიიჩნევს, რომ ესტემიროვა ჩეჩენმა ბოვეიკმა სოფელ შალაჟიდან – ალხაზურ ბაშაევმა მოკლა. გამოძიე-

აქცევს.

ეჭვი თითქმის არავის ეპარება, რომ ესტემიროვა მართლაც თავისი უფლებადამცველი საქმიანობისა და იმ ანგარიშების გამო მოკლეს, რომლებსაც იგი რეგულარულად ამზადებდა ჩეჩნეთზე. თუმცა, ამ ანგარიშებში ბოვეიკების მიერ ჩადენილ დანაშაულებებზე ხშირად სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან განუკითხაობა იყო მხილებული.

ერთ-ერთ ბოლო ანგარიშში ის აღწერდა როგორ დახვრიტეს საჯაროდ სამართალდამცავებმა უიარალო რიზვან ალბეკოვი, რადგან მხოლოდ ეჭვი გაუჩნდათ, რომ ბოვეიკებს ეხმარებოდა.

არც ერთი სამართალდამცავი, რომელიც ესტემიროვას ანგარიშებში ფიგურირებს, დაკითხული არ არის.

ასეა თუ ისე ცდილობს ახალი დარტყმა არ მიაყენოს რუსეთის იმიჯს დასავლეთში, კადროვმა სასამართლოში „მემორიალის“ წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი გამოიტანა. „დედაჩემმა მოხოვა შენზე უფროსების წინააღმდეგ ნუ ნახვალ მართალიც რომ იყო“, – ასე ახსნა თავისი გადანყევტილება ჩეჩნეთის ლიდერმა.

დედის დარიგება რამზანს მალე დააიწყდა. რამდენიმე დღის წინ ის ისევ დაესხა თავს „მემორიალის“ თანამშრომლებს და მათ „ხალხის მტრები“ უწოდა. „ისინი დასავლეთისგან ბევრ ფულს იღებენ და სისულელეებს ავრცელებენ. ისინი აღარ არიან უკვე ოპონენტები. ისინი არიან ხალხისა და სახელმწიფოს მტრები“.

რესპუბლიკაში, სადაც კადროვის ნებართვის გარეშე ჩიტი ვერ დაფრინავს და ყველა და ყველაფერი მას

■ დღეს „მემორიალი“ ძალიან ახლოა იმ ზღვართან, როდესაც მას ჩეჩნეთში მოღვაწეობას აუკრძალავენ. ნატალია ესტემიროვას წლისთავისადმი მიძღვნილმა 50-კაციანმა პიკეტმა მოსკოვში და 70-კაციანმა გამოსვლამ გროზნოში ცხადყო, რომ ადამიანის უფლებების დასაცავად 140-მილიონიან ქვეყანაში მხოლოდ ერთეულები თუ აიმაღლებენ ხმას.

ბა ამბობს, რომ ესტემიროვა თავის ანგარიშებში აპირებდა ამ ბოვეიკისა და მისი შვიარაღებული ფორმირების მოხსენიებას.

ეს თეორია ეფუძნება იმ გარემოებას, რომ მიმდინარე წელს სოფელ შალაჟიში იარაღის სამალავი აღმოაჩინეს, სადაც იპოვეს პისტოლეტი, რომლიდანაც ესტემიროვა მოკლეს. ნაპოვნია ასევე მანქანა, რომელიც აღწერილობით ემთხვევა იმას, რომლითაც ნატალია გაიტაცეს. მანქანის მეპატრონე ირწმუნება, რომ მანქანა ბაშაევს მიჰყიდა.

რას ფიქრობს ამ ყველაფრის შესახებ თავად ბაშაევი, ვერასოდეს გავიგებთ. მისი დაკითხვა შეუძლებელია, რადგან გასულ ზაფხულს ფედერალურმა ორმხრივი სროლისას მოკლეს. ეს გარემოება მას ესტემიროვას საქმეში ყველაზე „იდეალურ დამნაშავედ“

კრიტიკოსები გამოძიების სხვა შეცდომებზეც საუბრობენ: ნატალიას მეგობრები ირწმუნებიან, რომ იგი არასოდეს ყოფილა სოფელ შალაჟიში და არაფერი დაუწერია ბაშაევზე.

ესტემიროვას მკვლევლობის შემდეგ ორგანიზაცია „მემორიალისა“ და ჩეჩნეთის ადგილობრივი ხელისუფლების დაძაბული ურთიერთობები კიდევ უფრო გაართულდა. „მემორიალი“ ერთადერთი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციაა, რომელსაც ჰყოფნის მამაცობა ჩეჩნეთში იმუშაოს.

კადროვმა სასამართლოშიც კი უჩილა „მემორიალს“ იმის გამო, რომ მისი თავმჯდომარე ოლეგ ორლოვი ესტემიროვას მკვლევლობაში პირადად ჩეჩნეთის პრეზიდენტს ადანაშაულებდა. თუმცა შემდეგ, როგორც ჩანს, მედვედევის ზენოლით, რომელიც

ემორჩილება, მხოლოდ „მემორიალი“ იმაღლებს ხმას ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების გამო. ეს ორგანიზაცია კავკასიაში თავისი მოღვაწეობისთვის ყველაზე მაღალ საერთაშორისო ჯილდოებს იმსახურებს. „მემორიალის“ თანამშრომელი სვეტლანა განუშკინა 2010 წელს ნობელის მშვიდობის პრემიაზეა ნომინირებული.

დღეს „მემორიალი“ ძალიან ახლოა იმ ზღვართან, როდესაც მას ჩეჩნეთში მოღვაწეობას აუკრძალავენ. ნატალია ესტემიროვას წლისთავისადმი მიძღვნილმა 50-კაციანმა პიკეტმა მოსკოვში და 70-კაციანმა გამოსვლამ გროზნოში ცხადყო, რომ ადამიანის უფლებების დასაცავად 140-მილიონიან ქვეყანაში მხოლოდ ერთეულები თუ აიმაღლებენ ხმას. **■**

სამხრეთი ოსეთი

სამხრეთი ოსეთი - დათვის ხასი თუ ოჩოხოს საბადო?

ფული ის თემაა, რომლის გამოც კოკოითი მზადაა მოსკოვი აკრიტიკოს.

მურატ გუკემუხოვი



ედუარდ კოკოითი

გასულ ოთხშაბათს სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ რუსეთის რეგიონული განვითარების სამინისტრო გააკრიტიკა და სამხრეთ ოსეთში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების საბოტაჟში დაადანაშაულა.

რიგმა რუსულმა მასობრივმა საინფორმაციო საშუალებებმა სასწრაფოდ დასკვნები გააკეთეს – სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტი რუსეთის კონტროლს აღარ ექვემდებარება. სამხრეთ ოსეთში დარწმუნებულები

არიან, რომ პრეზიდენტი იძულებული გახდა, მოსახლეობის აღშფოთება რუსული უწყებებისკენ მიემართა. ხალხის უკმაყოფილება ცხინვალში უკვე სახიფათო ზღვარს უახლოვდება.

ცხინვალელი გრიგორი ცოლთან და ორ ქალიშვილთან ერთად, უკვე მეორე წელია, სამხედრო კარავში ცხოვრობს, რომელიც მან საკუთარი ვენახის მახლობლად, თავის დანგრეულ სახლთან გაშალა. ბრეზენცის ქვეშ გატარებული მეორე ზამთრის შემდეგ

გრიგორი ოპოზიციონერი გახდა. ყოფილი მღვსავი დღეს პოლიტიკოსია.

მას, ადგილობრივი საზომებით, სოლიდური ელექტორატი ჰყავს – ოთხასი ოჯახი, რომელიც მასავით კარგების ამარა დარჩა.

თბილისი-ცხინვალის ყოფილ რკინიგზის სადგურთან, მწვანე შამბნარიდან თეთრი შენობა მოჩანს. ლიანდაგები აქ სულ აყრილია. არავის ახსოვს, როდის გაიტანეს აქედან ბოლო ლიანდაგი და ჯვართში ჩააბარეს. თეთრი გარემონ-

ტეზული შენობა რკინიგზის სადგურია, რომელიც რუსმა მშენებლებმა გაარემონტეს. რა ფუნქცია ექნება რკინიგზის სადგურს სარკინიგზო მაგისტრალის გარეშე, არავენ ამბობს.

ასეთ უაზრო პროექტებს სამხრეთ ოსეთში ყველა ნაბიჯზე შეხვდებით.

როკის გვირაბის გასასვლელთან (სამხრეთი ოსეთის მხრიდან) მთის ქვეშ დგას 3 მეტრის სიმაღლის ბეტონის კედელი, დაახლოებით 50 მეტრის სიგრძის და მეტრზე ნაკლები სისქის. სპეციალისტების აზრით, მას არანაირი პრაქტიკული დანიშნულება არ აქვს – ის არც ზვავისგან იცავს, არც ნიაღვრისგან. რისთვისაა ეს კედელი საჭირო, ამას მხოლოდ მაშინ ხვდები, როდესაც იგებ, თუ რამდენი ფული გამოყვეს მის ასაგებად – 50 მილიონი რუბლი (1,6 მილიონი ამერიკული დოლარი), ანუ 11 ათასი აშშ დოლარი ბეტონის კედლის თითო კვადრატული მეტრისთვის. ადგილობრივი ოპოზიცია ამბობს, რომ „ასეთი უაზრო პროექტები კოკოითის ხელისუფლების კლონდაიკი, ოქროს საბადაოა“.

„ოქროს მაძიებელთა“ მთავარი პრინციპია – ზედმეტი ხალხი ჰორიზონტს მიღმა. სამხრეთ ოსეთში მსხვილი ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობას ორი სტრუქტურა აწარმოებს – სამხრეთი დირექცია და უწყებათშორისი კომისია. ორივე სტრუქტურა რეგიონული განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ამ უწყებებს თანხები პირდაპირ კრემლიდან მიეწოდება.

რესპუბლიკის ბიუჯეტს რუსეთის მიერ დანიშნული პრემიერ-მინისტრი ვადიმ ბროვცევი აკონტროლებს. აღდგენით სამუშაოებსაც სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო უნიტარული საწარმოები – რუსული ორგანიზაციები, ასრულებენ. მათი ხელმძღვანელები ძირითადად ბროვცევის თანამემამულეები არიან, ქალაქ ოზერსკიდან.

ოზერსკელი ხელმძღვანელები თავის მხრივ მართო არ ჩამოსულან. თან ჩამოიყვანეს ინჟინრები, ბუღალტრები და მუშახელი. ადგილობრივი მოსახლეობა რესპუბლიკის აღდგენით სა-

მუშაოებზე ვერ დაკავდა.

სახელმწიფო უნიტარულ საწარმოებში ხელფასები ადგილობრივ ჯამაგირებს არც შეედრება. აქ მთავარი ბუღალტრის ხელფასი ორჯერ მეტია ვიდრე პრეზიდენტ კოკოითის ოფიციალური ხელფასი.

ბაზარზე უმაღლე აისახა შეძლებული რუსების გამოჩენა – რესპუბლიკაში ფასები ავარდა. ყველაზე მტკივნეული საკითხი მათთვის, ვინც უსახლკაროდ დარჩა – ბინის იჯარაა. ფასები თვეში 500-დან 700 (100 რუბლი – 6 ლარი) რუბლამდე მერყეობს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობა უფრო ღარიბია დღეს, ვიდრე 2 წლის წინ იყო, ეს მათთვის სოლიდური თანხაა.

„რუსული დახმარების მოპარვის მარტივი სქემა ასეთია – ზრდიან სამუშაოების მოცულობას და მასალების ფასს... – ამბობს სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის ეკონომიკური უსაფრთხოებისა და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ბატრაზ ტაკაზოვი.

ბროვცევის დანიშნვიდან ცოცა ხანში, ვლადიკავკაზში იქმნება საშუამავლო ფირმა „კავკასტროიკომპლექტი“, რომელიც რუსეთში სამშენებლო მასალებს იძენს და მათ სამხრეთ ოსეთს სთავაზობს ორმაგ ფასად. ამ საშუამავლო ფირმის წარმატებით ამუშავების შემდეგ იქმნება კიდევ ერთი ფირმა – „გლავსტროისნაბი“, რომელიც მასალებს „კავკასტროიკომპლექტისგან“ იძენს და სახელმწიფო უნიტარულ საწარმოებზე ჰყიდის.

რესპუბლიკას, სადაც ადგილობრივი მონაცემებით 35 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რუსეთის მიერ გამოყოფილი ერთი მილიარდი დოლარი საერთოდ არ დატყობია. ამ თანხის ამგვარმა ათვისებამ შედეგად ის მოიტანა, რომ რესპუბლიკა ჯერ ისევ შორსაა აღდგენისგან (გაზაფხულზე უამინდობის მიზეზით საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საერთოდ შეჩერდა).

სამხრეთი ოსეთის პარლამენტის დეპუტატი ამირან დიაკონოვი აღიარებს, რომ „რესპუბლიკაში სოციალუ-


რი დაძაბულობა კრიტიკულ ნიშნულს უახლოვდება“.

„ხალხის რისხვის“ თავიდან ასაცილებლად და ამავდროულად რუსულ რესურსებზე მეტი კონტროლის მოსაპოვებლად კოკოითიმ რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მთავრობის წინააღმდეგ კამპანია დაიწყო.

თავიდან კოკოითი ჩრდილში იდგა – კონფლიქტი დაიწყო პარლამენტმა, შემდეგ გენერალური პროკურატურა ჩაერთო. კონფლიქტის კულმინაცია 10 ივლისს მოხდა, როდესაც რუს სენატორებთან შეხვედრისას კოკოითიმ აღდგენითი სამუშაოების სამინისტრო საბოტაჟში დაადანაშაულა.

ამ განცხადებამ დიდი ხმაური გამოიწვია. რუსეთში არ მოელოდნენ სატელიტისგან ბრალდებებს – იმპერიული რანგობრივი თვალსაზრისით ეს წარმოუდგენელია. ზუსტად სამ დღეში, 13 ივლისს რესპუბლიკაში ურთიერთობის გარკვევის მიზნით რეგიონული განვითარების მინისტრი ვიქტორ ბასარგინი და მისი მოადგილე რომან პანოვი ჩავიდნენ.

ვიზიტი დაჩქარებული პროგრამით ჩატარდა – ობიექტებზე გასვლა და თათბირი – ყველაფერი დახურულ კარს მიღმა. ბასარგინის მოთხოვნით, პრესა მოლაპარაკებათა პროცესს არ დაასწრეს.

ვიზიტის წინ მოსალოდნელი იყო, რომ ბასარგინი თავგასულ კოკოითის თავის ადგილს მიუჩინდა. თუმცა, როგორც ამბობენ, პრეზიდენტს მოზომილი გამონათქვამებით თავი დიდად არ შეუწუხებია. როგორც ჩანს, ბასარგინსა და მის პატრონებს კრემლში კოკოითი ჯერ კიდევ სჭირდებათ. სამხრეთი ოსეთის აღდგენა გაგრძელდება. 

HEINRICH BÖLL STIFTUNG
სამხრეთი ოსეთის

სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი. გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

საქართველო-უკრაინა

მებოხოზა ჰიხვიდი ჰიხიზის ბაიეშე

მიხეილ სააკაშვილის „ბლიცკრიგი“ კიევიში იმის დასტურია, რომ უკრაინა საქართველოსთან დიალოგისთვის მზად არის, მაგრამ არა ყველაფერზე და არა ყველა ფორმით.

ალიონა გეტმანჩუკი, მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი, კიევი



მიხეილ სააკაშვილი

ვიქტორ იანუკოვიჩი

საქართველოს პრეზიდენტი ყველაზე მოულოდნელი უცხოელი სტუმარი აღმოჩნდა მათ შორის, ვინც ერთი კვირის წინ პირადად მიულოცა ვიქტორ იანუკოვიჩის სამოცი წლის იუბილე.

უკრაინის დედაქალაქში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტმა ლამის დეტექტიური ელფერი შეიძინა. სხვა უცხოელი სტუმრებისგან განსხვავებით, წინასწარ არ იყო ცნობილი, რომ იუბილეზე საქართველოს პრეზიდენტს ელოდნენ. ორი პრეზიდენტის პირველი შეხვედრის შედეგებზე მეტად აქტიუალური კი დიპლომატიური პრაქტიკისთვის საკმაოდ უცნაური კითხვა გახდა: „იყო თუ არა საქართველოს პრეზიდენტი კიევიში მიწვეული?“

ამ კითხვის პროვოცირება უკრაინის მხრიდან მოხდა. კერძოდ – პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ანა გერმანის მიერ.

„მიხეილ სააკაშვილი რომ ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა, თითქმის შემთხვევით გავიგეთ“, – აცნობა ჟურნალისტებს გერმანმა. მისი თქმით, პრეზიდენტი იანუკოვიჩის თავის იუბილეზე ქართველი კოლეგა არ მიუწვევია. თუმცა, მან დასძინა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ქვეყნიდან გაძევებას არავინ აპირებს: პირიქით, კიევიში ეს ვიზიტი მხოლოდ ახარებთ.

გერმანის სიტყვების დასტურად, უკრაინულმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქართველ სტუმარს

აეროპორტშიც კი არავინ დახვედრია.

რა ხდებოდა სინამდვილეში? მაღალი რანგის დიპლომატიური წყაროები ამტკიცებენ, რომ უკრაინული მხარე მიხეილ სააკაშვილის ვიზიტის თაობაზე ინფორმირებული იყო და საქართველოს პრეზიდენტს აეროპორტში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დახვდა.

საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში შესაძლო ჩამოსვლა ჯერ კიდევ ივნისის დასაწყისში, საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის კიევიში ვიზიტის დროს განიხილებოდა. დიპლომატიული წყაროების ინფორმაციით, სწორედ მაშინ დამუშავდა სტუმრობის ასეთი ფორმატი: მოკლე სამუშაო ვიზიტი, რომელიც

მხოლოდ ერთ შეხვედრას მოიცავდა – უკრაინის პრეზიდენტთან. მამინვე იმსჯელეს თარიღზეც. ზოგიერთი წყაროს ცნობით, საქართველოს პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკოსთან შეხვედრასაც გეგმავდა, მაგრამ სწორედ იმ დღეს ყოფილი პრეზიდენტი კიევში არ იმყოფებოდა.

იმ ფაქტს, რომ იანუკოვიჩის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე სააკაშვილის ვიზიტმა გულწრფელად გააოცა, გათვითცნობიერებული ადამიანები იმით ხსნიან, რომ უკრაინაში დელიკატური საერთაშორისო საკითხების შესახებ საქმის კურსში მხოლოდ პრეზიდენტთან დაახლოებულ ადამიანთა ძალიან ვიწრო წრეს აყენებენ.

საქართველოს პრეზიდენტის უკრაინაში ვიზიტი კი, თუ გავითვალისწინებთ იანუკოვიჩისა და სააკაშვილის ურთიერთობას, დელიკატური საკითხების რიცხვს მიეკუთვნება.

სააკაშვილის არაფორმალური ვი-

ების მთაში ერთად გატარება უფრო ადვილად წარმოსადგენია, ვიდრე ვიქტორ იანუკოვიჩთან ერთად.

ასევე, ცხადია, რომ საქართველოსა და უკრაინას შორის ორმხრივი დიალოგის მუდმივ ტონუსში შენარჩუნების ინიციატივა ქართულ მხარეს ეკუთვნის. სწორედ ქართული მხარე გახლავთ მოცემულ ეტაპზე ამ ურთიერთობების გენერატორი და იგი არ დაუშვებს, რომ ეს ენერგეტიკული კავშირი თუნდაც მოკლე დროით გაწყდეს. და რამდენიც უნდა წერონ საქართველოს პრეზიდენტის პრესრელიზებში, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრა „უკრაინული მხარის ინიციატივა იყო“, თბილისის მხრიდან დიპლომატიური ზეწოლის გარეშე ის ვერ შედგებოდა.

გარდა ამისა, უკრაინის ახალი ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი ჯერ თბილისში არ ჩასულა. არსებული ინფორმაციით, საქართველოს მხარე აქტიურად მუშაობს იმა-

წამდაუნუმ ხელის ჩამორთმევა დივიდენდებს არ მოუტანს იანუკოვიჩს არც რუსეთთან მისთვის ასე მნიშვნელოვანი „გადატვირთვის“ საკითხში და არც უკრაინის შიგნით (უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში უკრაინის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა მათი რიცხვი, ვინც საქართველოს ლიდერისადმი სიმპათიითაა განწყობილი).

როგორც ჩანს, ეს საქართველოშიც ესმით: ქართული მხარე ადვილად დათანხმდა არაფორმალურ ვიზიტგაცნობას, ნაცვლად საქართველოს პრეზიდენტის კიევში სრულფასოვანი, ოფიციალური ვიზიტისა.

უკრაინელ კოლეგას კი თბილისში მხოლოდ მაშინ ელოდებიან, როცა ის ამისთვის მზად იქნება. ეს შეიძლება მომავალ წელსაც მოხდეს, რადგან უკრაინის დედაქალაქში აშკარად არ იზიარებენ რუსი კოლეგების ლოგიკას, რომ ვიდრე საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია,

■ უკრაინის პრეზიდენტის მიერ ქართველი კოლეგისთვის წამდაუნუმ ხელის ჩამორთმევა იანუკოვიჩს დივიდენდებს არ მოუტანს არც რუსეთთან მისთვის ასე მნიშვნელოვანი „გადატვირთვის“ საკითხში და არც უკრაინის შიგნით.

ზიტი პირველ რიგში იმაზე მეტყველებს, რომ უკრაინის ახლანდელი ხელისუფლება, ყველანაირი პესიმიზმის პროგნოზის საპირისპიროდ, საქართველოსთან აქტიური დიალოგის გასამართად გახსნილია.

დიალოგი შედგება. თუმცა, სრულიად ცალსახაა, რომ ეს დიალოგი განსხვავებულ ნიუანსებს შეიძენს.

ყველანაირი საფუძველი არსებობს ვივარაუდოთ, რომ უკრაინასა და საქართველოს შორის ურთიერთობა ნაკლებად პერსონალიზებული და იდეოლოგიურად დატვირთული იქნება, ვიდრე ეს ორი ქვეყნის დამოუკიდებლობის მანძილზე ყოფილა. ამჯერად მიხეილ სააკაშვილისა და ალექსანდრ ლუკაშენკოს მიერ უქმე-

ზე, რომ წლის ბოლომდე უკრაინის მხრიდანაც შედგეს რამდენიმე მნიშვნელოვანი ვიზიტი საქართველოში. კერძოდ, ლაპარაკია საგარეო საქმეთა მინისტრისა და პრემიერ-მინისტრის სტუმრობაზე.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ თბილისში კარგად ესმით სად არის ამ ურთიერთობების მტკივნეული წერტილები და ყველანაირად ცდილობენ, მათ არ შეეხონ.

ასეთ დელიკატურ თემას წარმოადგენს ორი ქვეყნის პრეზიდენტთა შორის პირადი შეხვედრები. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ლაპარაკია „სააკაშვილის ფაქტორზე“. კიევში მიაჩნიათ, რომ უკრაინის პრეზიდენტის მიერ ქართველი კოლეგისთვის

საქართველოსთან სალაპარაკო არაფერია.

არნახულ აკურატულობას ავლენს ქართული მხარე ისეთ თემებთან დაკავშირებით, როგორცაა ორ ქვეყანას შორის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის საკითხი – რაც კიდევ ერთ სერიოზულ გამაღიზიანებელ ფაქტორს წარმოადგენს უკრაინისა და რუსეთის ურთიერთობაში. ეს თემა შეგნებულად ამოვარდა უკრაინულ-ქართული დღის წესრიგიდან, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ვიქტორ იანუკოვიჩი მოვიდა. როგორც ახლახან „უკრსპეცექსპორტის“ ექს-ხელმძღვანელმა სერგეი ბონდარჩუკმა ყოველკვირეულ გამოცემა „ზერკალო ნედელის“ განუცხადა, ბოლო

ნელინად-ნახევრის განმავლობაში უკრაინა ისედაც არ დებდა მსხვილ კონტრაქტებს საქართველოსთან და მხოლოდ ადრე ხელმოწერილი მცირე ხელშეკრულებებით შემოიფარგლებოდა.

სავარაუდოდ, უკრაინის ხელისუფლება საქართველოსთან დიალოგისას აქცენტს პოლიტიკიდან ბიზნესზე გადაიტანს. უკრაინელი ექსპერტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ კიევის მხრიდან პოლიტიკური დიალოგი მხოლოდ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერით შემოიფარგლება.

ამ თემას უკრაინაში იანუკოვიჩის პრეზიდენტობის პირველ თვეებში დიდი ხმაური მოჰყვა, რადგან მისი წინასაარჩევნო კამპანიის დროს არცთუ ცალსახა შეფასებები გაისმოდა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების თაობაზე. საბოლოოდ უკრაინის პრეზიდენტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა მკაფიო განცხადება გააკეთეს, რომ ოფიციალური კიევის მხრიდან მსგავსი ნაბიჯები არც ერთ შემთხვევაში არ გადაიდგმება.

რაც შეეხება ეკონომიკურ კავშირებს, წინაპირობა აქაც არსებობს. ვიქტორ იუშჩენკოს პრეზიდენტობის დროს კიევში ისმოდა უკმაყოფილება, რომ ორი პრეზიდენტის პირად ურთიერთობას ზურგს უმაგრებდა უკრაინის მხრიდან საქართველოში ჩადებული სერიოზული ინვესტიციები.

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინა ბოლო ოთხი წლის მანძილზე საქართველოს სამ მთავარ სავაჭრო პარტნიორს შორის ერთ-ერთია, გასულ წელს საქართველოს ეკონომიკაში უკრაინიდან შესული პირდაპირი უკრაინული ინვესტიციები სულ 27 მილიონ დოლარს შეადგენდა. ისიც უპირატესად საფინანსო-საბანკო სექტორში.

უკრაინის ახალი ხელისუფლება, რომელიც ნებისმიერ ორმხრივ ურთიერთობაში ყველანაირად ცდილო-

ბს, პრავმატულობა შეინარჩუნოს, შეეცდება, რომ დაკარგული აინაზღაუროს.

და ბოლოს. ექვქევმ დადგა უკრაინისა და საქართველოს ტრადიციული ერთობის აღქმა დასავლეთის (განსაკუთრებით ნატო-ს) თვალში. დასავლეთი ასე თუ ისე აქეზებდა ორივე სახელმწიფოს საერთაშორისო არენაზე ერთგვარი დუეტის სახით ემოქმედათ – ეს სქემა, როგორც ჩანს, ამჯერად დროებით თუ სამუდამოდ გაქრა, რადგან უკრაინის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგიდან ნატო, როგორც ასეთი, სრულიად ამოღებულია.

რამდენიმე კვირის წინათ უკრაინის პარლამენტის მიერ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საფუძვლებთან დაკავშირებით მიღებულ კანონში ფიგურირებს იდუმალი „ბლოკმიღმა სტატუსი“ – ანუ ერთგვარი ვალდებულება, არ შეუერთდნენ არც ერთ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს.

შესაძლებელია თუ არა უკრაინისა და საქართველოს ამგვარი ერთობის შენარჩუნება მომავალში ამ ორივე ქვეყნის ევროკავშირის წევრობისკენ სწრაფვის ხარჯზე? ნაკლებსავარაუდოა. როგორც ჩანს, ევროკავშირმა დღეს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისადმი უფრო ფართო მიდგომა აირჩია, რაც „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ გეგმაშია გადმოცემული. და, შესაძლოა, არამხოლოდ – ევროკავშირმა. ამ რეგიონში ჰილარი კლინტონის ბოლო ტურნე, ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის წინა მოგზაურობისგან განსხვავებით, მხოლოდ უკრაინით და საქართველოთი არ შემოფარგლულა. მან „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ექვსი წევრიდან ოთხი მოიცვა.

ასეა თუ ისე, დღეს არ არსებობს განსაკუთრებული საფუძველი იმის სათქმელად, რომ უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობა განწირულია. უბრალოდ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობები სხვა ფაზაში ინაცვლებს. რამდენად ეფექტური იქნება ეს ფაზა, ამას დრო გვიჩვენებს. □

საქართველო-ბელორუსი

საახაშვილი-ლუკაშენკოს პასუხი ხეიმს

ლუკაშენკომ ახალი კოზირი მოიფიქრა მოსკოვთან ურთიერთობისთვის – „სააკაშვილის ფაქტორი“.

ირინა ხალიპი, მინსკი



რუსულ სატელევიზიო არხ HTB-ზე საგამოძიებო ფილმის Крестный батька-ს ჩვენების შემდეგ მთელი ბელორუსი ინტერესით ელოდა, რით უპასუხებდა ფილმის მთავარი გმირი ლუკაშენკო რუსეთის ამ საინფორმაციო შეტევას.

ფილმი ბელორუსის პრეზიდენტს – ლუკაშენკოს ამხელდა 1999-2000 წლებში მისი პოლიტიკური ოპონენტების გატაცებასა და მკვლელობის თანამონაწილეობაში.

ლუკაშენკოს რეაქციამაც არ დააყოვნა: ოთხშაბათს საღამოს ბელორუსის პირველ არხზე, „პრაიმ-თაიმში“ მიხილ სააკაშვილთან ექსკლუზიური ინტერვიუ დაანონსდა.

რუსეთთან საინფორმაციო და ეკონომიკურ ომამდე მიხილ სააკაშვილის ბელორუსის საინფორმაციო სივრცეში

გამოჩენაზეც კი ლაპარაკი ზედმეტი იყო.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილი ბელორუსის სახელმწიფო პროპაგანდისტულ საშუალებებში „კონსტიტუციური წყობის მომშლელად“ და „სახელმწიფოს გადამტრიალებლად“ განიხილებოდა.

ლუკაშენკოს, რომელსაც რევოლუციების ძალიან ეშინია, საქართველოს პრეზიდენტი ძლიერ აღიზიანებდა. მას მუდმივად აქვს შიში, რომ ვინმე ოპოზიციონერი მის კაბინეტში შევარდება და გამოუცხადებს, – „შენი დრო ამოიწურაო“, ისე, როგორც ეს სააკაშვილმა გააკეთა.

თუმცა, სააკაშვილის მიმართ დამოკიდებულება უცაბედად შეიცვალა. ამუშავდა პრინციპი „მეგობრობა რუსეთის წინააღმდეგ“.

ბელორუსის მოსახლეობა ინტერესით ელოდა სააკაშვილის გამოჩენას

საკუთარ შვილს რუსული ენის სწავლას აძალეებს, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვს არ ესმის, სად შეიძლება რუსული ენა გამოადგეს.

ინტერვიუს დროს საქართველოს პრეზიდენტი საუბრობდა იმის შესახებ, რომ ზედმეტი ნონა მას ხაჭაპურის ჭამის საშუალებას არ აძლევს და გულწრფელ სიხარულს გამოხატავდა საქართველოსა და ბელორუსს შორის აქტიური საჭაერო მიმოსვლის გამო. სააკაშვილმა ასევე მადლიერება გამოთქვა, რომ ბელორუსის მთავრობამ არ აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა.

საკაშვილს არაფერი უთქვამს იმაზე, რომ 2008 წლის აგვისტოში ლუკაშენკო შეხვედრებს მართავდა კოკოთისთან და ბლაჟთან, ასევე მიესალმებოდა რუსეთის სამხედრო მოქმედებებს. „მე კატეგორიულად ვენინააღმდეგები მოსაზრებას, რომ აგვისტოში რუსეთი

ლუკაშენკოს ხმამაღლა გამართლება მისთვის აშკარად არაკომფორტული აღმოჩნდა. ამიტომ, საქართველოს პრეზიდენტი აფორიზმებით ალაპარაკდა.

„ბრალდებები, ლამის კანიბალიზმს უტოლდება. უცებ აღმოაჩინეს, რომ ოთხმოცდაათიან წლებში, მისსკვი კაციჭამიები გამოჩნდნენ. რა თქმა უნდა, ეს სამწუხაროა და ყოველივე ამას ერთმნიშვნელოვნად შურისძიების ელფერი დაკრავს, საინფორმაციო ომის ელფერი“, – თქვა სააკაშვილმა.

რა თქმა უნდა, ფილმს პროპაგანდისტული ელფერი დაკრავს. მაშინ, როცა სააკაშვილს, კანიბალიზმი აოცებდა, HTB -ზე განუწყვეტლივ ტრიალებდა ფილმის მეორე ნაწილის ანონსი: „Крестный батька-2 – ყველაფერი, რაც გასურდათ გაგეგოთ ლუკაშენკოზე და გეშინოდეთ მისთვის გეკითხათ“.

ბელორუსის ოპოზიციამ უკვე შეაფასა სააკაშვილის ბელორუსულ ტელევიზიაში

■ ბელორუსის ოპოზიციამ სააკაშვილის მხრიდან ლუკაშენკოს დასაცავად გამოსვლა, დემოკრატიული ღირებულებების ღალატად შეაფასა. საქართველოს პრეზიდენტს შეახსენეს, რომ მან ავტორიტარი მმართველი დაიცვა, რომლის პრეზიდენტობის დროს ბელორუსში ყველა ფეხის ნაბიჯზე ირღვევა ადამიანის უფლებები.

ადგილობრივი არხის ეთერში. ყველას ეგონა, რომ სააკაშვილი რუსეთზე საუბარს დაიწყებდა – თუმცა, მოსახლეობის მოლოდინი არ გამართლდა.

საკაშვილი ინტერვიუში გასაკვირად დიპლომატიური და თავშეკავებული იყო, არ გამოუთქვამს არც ერთი პრინციპულად მნიშვნელოვანი პრეტენზია. „ძნელი გასარკვევია, რა სურთ მათ?! – ამბობს სააკაშვილი, – ჩვენ გვსურს ურთიერთობების განახლება და შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა. ჩვენ მათ შესაძლებლობას ვაძლევთ, არ დადგენენ დილემის წინაშე და არ გააკეთონ არჩევანი ცუდასა და უარესს შორის“.

საქართველოს პრეზიდენტი დამტკბარი ენით საუბრობდა რუსეთის დიდი კულტურის და რუსი მაღალჩინოსნების მიერ ქართული ღვინის სიყვარულის შესახებ. სააკაშვილმა განაცხადა, რომ

საქართველოს ეომებოდა. ეს იყო მშვენიერი ოპერაცია რუსეთის და ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობით. ხალხი საკუთარ მინას იცავდა, ხოლო სამშვიდობოები ასრულებდნენ საკუთარ მისიას“, – ამბობდა მაშინ ლუკაშენკო. აგვისტოში ლუკაშენკომ თქვა, რომ ორივე რეგიონს აღიარებს – სამხრეთ ოსეთსაც და აფხაზეთსაც.

ბელორუსის პრეზიდენტი ძალიან მალე მიხვდა, რომ აფხაზეთისა და ოსეთის თემა არაჩვეულებრივი კოზირია, რომლის გათამაშება, საჭიროებისამებრ, შესაძლებელია რუსეთთან მიმართებაში.

გადაცემის ბოლოს კი სააკაშვილმა ფილმის *Крестный батька*-ს განხილვაც გადაწყვიტა. მან სცადა თავისი ახალი მეგობარი ლუკაშენკო ფილმში გაჟღერებული პოლიტიკური მკვლევობების ბრალდებისაგან დაეცვა. თუმცა,

გამოჩენა. მათი აზრით, ეს სხვა არაფერი იყო, გარდა იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტი რუსეთ-ბელორუსის ომში ჩართეს. სააკაშვილის მხრიდან ლუკაშენკოს დასაცავად გამოსვლა დემოკრატიული ღირებულებების ღალატად შეფასდა. საქართველოს პრეზიდენტს შეახსენებენ, რომ მან ავტორიტარი მმართველი დაიცვა, რომლის პრეზიდენტობის დროს ბელორუსში ყველა ფეხის ნაბიჯზე ირღვევა ადამიანის უფლებები.

ლუკაშენკოს მხრიდან სააკაშვილთან დამეგობრების მცდელობა მოსკოვისთვის გზავნილია, რომ სათანადო პასუხის გაცემა მასაც შეუძლია. იმედია, საქართველოში ესმით, რომ ბელორუსი საქართველოსთან ახალი ურთიერთობების აწყობას არ ცდილობს. ეს მხოლოდ კრემლის წინააღმდეგ მიმართული ინფორმაციული ზალპია. **■**

თვალსაზრისი

ახალი საბაზო პოლიტიკა

საქართველოს განახლებული საგარეო პოლიტიკა სჭირდება. აქცენტები კონფლიქტების მოგვარების ახალ სტრატეგიაზე და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე უნდა გაკეთდეს.

ივანე მაჭავარიანი



ფოტო: ჯორჯი აბულაძე

ჰილარი კლინტონი, თბილისი, ივლისი 2010

2008 წლიდან მოყოლებული, აგვისტოს ომისა და მსოფლიოში შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური და ეკონომიკური რეალობებიდან გამომდინარე, საგარეო ურთიერთობების კუთხით საქართველოში გარკვეული პაუზა წარმოიქმნა. ჩვენმა მთავარმა მოკავშირეებმა – აშშ-მ და ევროპამ საქართველოსთან მიმართებაში ტაიმაუტი აიღეს. ეს პაუზა მიმდინარე წლის ივლისამდე – აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონისა და მაღალი რანგის ევროპელი დიპლომატების თბილისში ვიზიტამდე გაგრძელდა.

ამ პაუზას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. პირველ რიგში, ეს იყო მსოფლიოს

ეკონომიკური და ფინანსური კრიზისი, რომელმაც აშშ-ს და ევროპის მთავრობები სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა.

ასევე, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთი დასავლეთის თვალში გლობალური და რეგიონული მნიშვნელობის ანგარიშგასანევ ძალად იქცა, რომლის ინტერესების იგნორირება შეუძლებელი და სახიფათო გახდა. არ შეიძლება გამოგვრჩეს რეგიონის კიდე ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშის – თურქეთის რადიკალური სახეცვლილება და მისი საგარეო პოლიტიკის რუსეთთან დაახლოება.

2009 წელს აშშ-ს სათავეში მოსულმა ახალმა დემოკრატიულმა ადმინისტრაციამ, ზემოთ აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოსთან და ზოგადად რეგიონთან მიმართებაში სახელმწიფო პოლიტიკის გადახედვა დაიწყო.

ამერიკის ახალი ადმინისტრაციის დღის წესრიგში ერთ-ერთ მთავარ პუნქტად რუსეთთან მიმართებაში პოლიტიკის გადახედვა ჩაენერა. ობამას ადმინისტრაციამ მიზნად დაისახა ყველა იმ საკითხის მოგვარება, რომელთა გადაწყვეტა ბუშის მმართველობის წლებში ვერ მოხერხდა. მათ შორის ორმხრივი

ამერიკულ-რუსული ურთიერთობები, ბირთვული განიარაღება, ირანი, ჩრდილოეთ კორეა და სხვა. რუსეთსა და დასავლეთს შორის დაიწყო ე.წ. „გადატვირთვის“ პოლიტიკა, რომლის წარმატებით განვითარებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აშშ-ც და ევროპაც.

გადატვირთვის პოლიტიკის ერთ-ერთი შედეგია ის, რომ ამერიკის ახალი ადმინისტრაცია, საქართველოსთან ურთიერთობას სტრატეგიული უსაფრთხოებისა და რეგიონში რუსეთთან კონკურენციის ჭრილში აღარ განიხილავს, როგორც ეს ბუშის ადმინისტრაციის პერიოდში იყო.

ამის ნათელი მაგალითია 2009 წელს საქართველო-აშშ-ს შორის დადებული ქართლის ფარგლებში ჩატარებული შეხვედრები. კერძოდ, ამ დოკუმენტმა უსაფრთხოების მიმართულებით ჩვენთვის საჭირო განვითარება ჯერჯერობით ვერ მიიღო და აშშ-ს მხრიდან ძირითადი აქცენტი კვლავ ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ საკითხებზე კეთდება.

ივლისში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის პილარი კლინტონის და მაღალი რანგის ევროპელი დიპლომატების თბილისში ვიზიტებმა და მათ მიერ გაკეთებულმა საჯარო განცხადებებმა აღნიშნული პაუზა დაასრულა და დაისახა კონკრეტული მიმართულებები საქართველოსთან შემდგომი თანამშრომლობისთვის.

სხვა პოლიტიკურ გზავნილებთან ერთად ივლისის ვიზიტებმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოსთან უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის გაღრმავების მთავარ წინააღმდეგობად კვლავ რჩება რუსეთი.

ჩვენი ამერიკელი თუ ევროპელი პარტნიორები ღიად მიგვანიშნებენ იმაზე, რომ ქართულ პოლიტიკაში სამხედრო რიტორიკა მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს და რუსეთთან კონფრონტაციის განმუხტვის გზები გამოინახოს, რათა ეს ურთიერთობები მეტად პროგნოზირებადი გახდეს. მხოლოდ ამის შემდგომ არის შესაძლებელი წინსვლა ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, როგორც არის ეროვნული უსაფრთხოება, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გააქტიურება.

აშშ-მ და ევროპელმა პარტნიორებმა გამოთქვეს მზადყოფნა ხელი შეუწყონ საქართველოს და რუსეთის მთავრობების წარმომადგენლების პირდაპირი დიალოგის განახლებას (ჟენევის მოლაპარაკებების ჩარჩოს გარეთ).

საქართველოს მეგობრებს კარგად ესმით, რომ არის საკითხები, სადაც თბილისისა და მოსკოვის ხედვა ერთმანეთს ვერასოდეს დაემთხვევა. პირველ რიგში ეს არის ოკუპირებული ტერიტორიები და სეპარატისტული რეგიონები. თუმცა, დასავლელ პარტნიორებს მიაჩნიათ, რომ რუსეთისგან მომავალი საფრთხის დეესკალაცია სწორედ ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებზე დიალოგის დაწყებით უნდა მოხდეს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო რუსეთთან პრინციპულ დათმობებზე უნდა წავიდეს და მისი უპირობო მეგობარი გახდეს. საუბარია გარკვეულ გარანტიებზე, რაც მშვიდად ცხოვრებისა და ეკონომიკის განვითარების საშუალებას მოგვცემდა.

შესაბამისად, თუ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის წარმმართველი გუნდი აღნიშნულ ვიზიტებს სათანადოდ და ზედმეტი ეიფორიის გარეშე შეაფასებს, შედეგად ქვეყნის არსებულმა საგარეო პოლიტიკამ საჭირო კორექტირებები უნდა განიცადოს.

კერძოდ, ამ ეტაპზე ქვეყნის პოლიტიკური და უსაფრთხოების საკითხების მოგვარებისას, საქართველოს საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი აქცენტები რუსეთთან ურთიერთობის დეესკალაციის გზების მოძიებასა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებაზე უნდა გაკეთდეს.

ამ მიმართულებით პირველი სწორად გადადგმული ნაბიჯია, ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება. ეს სტრატეგია გულისხმობს კონფლიქტის ტრანსფორმაციას ძალისმიერი ფაზიდან ეკონომიკური და ჰუმანიტარული რესურსის ამუშავებისკენ.

აღნიშნულ სტრატეგიას მხარი დაუჭირა აშშ-მ და ევროპის ქვეყნებმა. ამ მხარდაჭერის იგნორირებას ვერც რუსეთი მოახერხებს.

აღნიშნული სტრატეგიის წარმატებით

განხორციელება ქვეყანაში უსაფრთხო, სტაბილური გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს და შიდა და საგარეო ეკონომიკურ საქმიანობას გამოაცოცხლებს.

პარალელურად, ჩვენს უცხოელ პარტნიორებთან ერთად საქართველოს საერთაშორისო და რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა უნდა შემუშავდეს (უნდა ვიპოვოთ ჩვენი ქვეყნის ნიშა მსოფლიოს ეკონომიკაში). კერძოდ, დაისახოს კონკრეტული გზები იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა სამხრეთ კავკასიის, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საერთაშორისო ვაჭრობის ერთ-ერთი საკვანძო ნერტილი გახდეს. საქართველომ საბოლოოდ უნდა გაიფორმოს რეგიონში მთავარი სატრანზიტო ენერჯეტიკული კორიდორის სტატუსი.

თუ ჩვენი საგარეო პოლიტიკა ამ კუთხით წარმართება, ეს ჩვენს პარტნიორ ქვეყნებს საშუალებას მისცემს საქართველო-რუსეთის ურთიერთობების განმუხტვის პროცესში უფრო მეტად ჩაერთონ. ასევე ეს ხელს შეუწყობს უსაფრთხოების ქმედითი მექანიზმების შექმნას, კონფლიქტებთან მიმართებაში შემუშავებული ახალი სტრატეგიის ამოქმედებას და საქართველოსთვის აუცილებელი ეკონომიკური და საინვესტიციო პროექტების განხორციელებას.

ჩვენი პარტნიორების აზრით, მხოლოდ ამ გზით შეუძლია საქართველოს რუსეთის მხრიდან შესაძლო სამხედრო აგრესიის თავიდან აცილება და ქვეყნის შიგნით სტაბილურობის შენარჩუნება. აღნიშნული რეკომენდაციების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში კი საქართველო მარტო დარჩება იმ საერთაშორისო, რეგიონული და ეკონომიკური საფრთხეების წინაშე, რომლებთან გამკლავებაც ქვეყანას მარტო ძალიან გაუჭირდება. ამან შეიძლება გასული საუკუნის 90-იანი წლების ქაოსში დაგვაბრუნოს. **□**

ივანე მაჭაპარიანი – საქართველოს ყოფილი ელჩი იაპონიაში. დამთავრებული აქვს ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო სწავლების უმაღლესი სკოლის სამაგისტრო პროგრამა (აშშ), ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ევროპული და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტი (ჩეხეთი); არის რიგი სამეცნიერო და ანალიტიკური სტატიების ავტორი

თვალსაზრისი

ჩხსუდი მოღეჩნოზასია

რუსეთში ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოღერნიზაციებს შორის არსებულ კავშირს იაზრებენ, მაგრამ პრობლემა კორუმპირებული ელიტის „ღამარცხებაა“.

გიორგი ცხაღაია

2010 წლის 1 ივნისის ღონის როსტოვში ევროკავშირისა და რუსეთის ერთობლივი სამიტი დასრულღა, რის შემდგომ რუსეთის, ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიის პრეზიდენტებმა საერთო განცხადება წარმოადგინეს, რომელშიც ვკითხულობთ: „მსოფლიოში, საღაც ხალხები და ეკონომიკები უფრო მეტად ხღება ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებული, ჩვენი ეკონომიკების და საზოგადოებების მოღერნიზება უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ნაბიჯია“. ივნისშივე გაიმართა სამიტი აშშ-ს პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და დმიტრი მეღვეღევეს შორის, რომელშიც გაღაცირთვის პოლიტიკის მთავარ მიღწევებზე იმსჯელეს. სამიტამღე რამღენიმე ხნით აღრე მეღვეღევეი კალიფორნიაში მღებარე მალღლი ტექნოლოგიების ცენტრს, ე.წ. „სილიკონის ველს“ ეწვია. ამ სტუმრობას წინ უღლოღა ჯერ კიღვე 2010 წლის იანვარში მეღვეღევის ადმინისტრაციის წარმომადგენლების და ეკონომიკური მრჩეველების შეხვეღღრა ამერიკელ ეკონომისტებთან და თანამეღროვე ტექნოლოგიების სპეციალისტებთან მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. თავის მხრივ, მოგვიანებით, ამერიკელებიცი ესტუმრენ მოსკოვს, ინოვაციასა და თანამეღროვე ტექნოლოგიებზე სასაუბროღ. მეღვეღევემა უკვე სპეციალური აღგილიცი კი აირჩია მოსკოვის მიღამოებში – სოფელი სკოლკოვო, რომელიცი რუსულ „სილიკონის ველად“ არის ჩაღვიქრებული.

ამერიკაში დაინყეს იმაზე მსჯელობა, დაეხმარონ თუ არა მოსკოვს მოღერნიზაციაში. მთავარი კითხვა რუსეთში კანონის უზენაესობასა და მოღერნიზაციის ცნების განმარტებას უკავშირღება. სიტყვა „მოღერნიზაციით“ რუსეთში



დმიტრი მეღვეღევეი და არნოლდ შვარცნეღერი, კალიფორნია, სან ხოსე, 23 ივნისი 2010

■ რუსეთის გარკვეულ წრეებში კარგად ესმით: თუ კანონის უზენაესობა დაცული არ იქნება, კორუფცია საგრძნობლად არ შემცირღება და დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას ხელი არ შეენყობა, მოღერნიზაცია თავის რეალურ მნიშვნელობას დაკარგავს.



აღნიშნავენ თანამეღროვე ტექნოლოგიების და ეკონომიკური ინსტიტუტების დაწერგვას, რომლებიცი ინოვაციას და სოციოეკონომიკურ პროგრესს შეუწყობენ ხელს. მოღერნიზაცია რუსეთში

ტრადიციულად „ზემოღან ქვემოთ“ ხღებოღა – მაგალითად, პეტრე პირველისა და მეოციე საუკუნეში სტალინის მიერ წარმოებული მოღერნიზაციის კამპანიები, რომლებიცი ძირითადად ავტორიტა-

რული ძალაუფლების და ცენტრალიზაციის განმტკიცებისკენ იყო მიმართული.

რუსეთის ეკონომიკის საშიში დამოკიდებულება ბუნებრივი რესურსების ექსპორტზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს განსაკუთრებული სიმძაფრით გამოჩნდა. გასულ წელს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტი 8%-ით შემცირდა. მართალია, ბუნებრივი რესურსების ფასები კრიზისამდელ მაჩვენებელს არ დაბრუნებია, მაგრამ რუსეთის ეკონომიკამ აღმასვლა დაიწყო. ამ პირობებში, უკვე ყველას კარგად ესმის, რომ ეკონომიკის დივერსიფიკაცია, ანუ ეკონომიკის სხვა დარგების განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის განვითარებისთვის. სიტყვა „მოდერნიზაცია“ რუსეთის პრეზიდენ-

საკუთარი თავი ასეთად წარმოადგინოს, სავარაუდოდ, რუსეთის შედარებითი ეკონომიკური აღმასვლა, პუტინის მიერ შიდა სტაბილურობის და ნესრიგის განმტკიცება და თავად პუტინთან ორთაბრძოლაა. 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამოჩნდება, თუ რამდენად გაუძლებს ნაციონალისტურ შემოტევებს მედვედევის ლიბერალური იმიჯი და რამდენად შეძლებს პუტინი თავისი კლანის – „კაგებეს“ ყოფილი ოფიცრებისა და მეგობარი ოლიგარქების წარმატებით გამოყენებას ავტორიტარიზმისა და ცენტრალიზაციის შესანარჩუნებლად.

მოდერნიზაციის გზაზე მეორე მთავარი პრობლემა რუსეთში ბიზნესისთვის ადეკვატური ლეგალური და პოლიტი-

მიხედვითაც, ობამა „მოხარულია“, რომ მედვედევი ეწვევა „სილიკონის ველს“ და „ექნება შესაძლებლობა, იმ უნიკალურ ფაქტორებს გაეცნოს, რომლებმაც ხელი შეუწყო აღნიშნული ცენტრის ტექნოლოგიურ განვითარებასა და ინოვაციურ წარმოებას“.

რუსეთის გარკვეულ წრეებში კარგად ესმით პოლიტიკურ განვითარებასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის კავშირის არსებობა: თუ კანონის უზენაესობა დაცული არ იქნება, კორუფცია საგრძნობლად არ შემცირდება და დემოკრატიული და დამოუკიდებელი ინსტიტუტების განვითარებას (თუნდაც ისეთების, როგორც დასავლეთში უნივერსიტეტებია) ხელი არ შეეწყობა, მოდერნიზაცია თავის რეალურ მნიშვნელობას დაკარგავს. ინოვაცია და ტექნოლოგიური ნოუჰაუები სწორედ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თავისუფალი კონკურენცია და კანონის მმართველობა არსებობს. რუსეთის შემთხვევაში, მედვედევის ამბიცია პოსტინდუსტრიული ეკონომიკის შექმნაა, რომელიც დასავლეთში დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის პირობებში აღმოცენდა, რაც ნიშნავს იმას, რომ რუსული მოდერნიზაცია ვერ იქნება ჩინური მოდერნიზაციის მსგავსი, რომლის ძირითადი აქცენტი ინდუსტრიული სექტორის განვითარებაზე იყო მიმართული.

პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოდერნიზაციებს შორის კავშირი რუსული ეკონომიკის რეფორმატორებისთვის ცნობილია, მაგრამ მთავარი პრობლემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პუტინის ცენტრალიზებული აპარატის კორუმპირებულ ბიუროკრატებს და ოლიგარქებს უკავშირდებათ. მიუხედავად ჩვენი მტკიცებისა, რომ ეკონომიკური მოდერნიზაცია პოლიტიკური მოდერნიზაციისა და დემოკრატიის გარეშე რუსეთში შეუძლებელი იქნება, ჯერ კიდევ უპასუხოდ რჩება კითხვა – თუ როგორ ჩამოყალიბდება რუსული მოდერნიზაციის მოდელი 2012 წლისთვის, როდესაც „კლეპტომან“ და რეფორმატორ ელიტას შორის საბოლოო დაპირისპირების მომსწრენი გავხდებით. □

■ ამერიკაში დაიწყეს იმაზე მსჯელობა, დაეხმარონ თუ არა მოსკოვს მოდერნიზაციაში. მთავარი კითხვა რუსეთში კანონის უზენაესობასა და მოდერნიზაციის ცნების განმარტებას უკავშირდება.

ტის დმიტრი მედვედევის საფირმო სიტყვად იქცა, თუმცა პუტინის ეკონომიკური მრჩეველებიც, მაგალითად მისი პირველი მოადგილე, იგორ შუვალოვი ამ კამპანიის აქტიურ ლობისტად ითვლება. თავად პუტინს დუმის წინაშე თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, 2010 წლის აპრილში, ეს სიტყვა საერთოდ არ უხსენებია. მედვედევმა კი 2009 წლის სექტემბერში ცნობილი ესეიც კი გამოაქვეყნა სათაურით „წინ, რუსეთო!“, სადაც განაცხადა, რომ რუსეთის ეკონომიკის გაძლიერების ერთადერთი გზა ტექნოლოგიური „ნოუჰაუ“-ს და ინოვაციების წახალისებაა.

აქამდე და ახლაც რუსეთში დასავლეთთან ასოცირებული მოდერნიზაციის (დასავლური მოდელის და მიღწევების გადმოღების) საჯაროდ ლობირება ლიბერალურ იმიჯთან ასოცირდება. ნაციონალისტურად განწყობილ პოლიტიკოსებს და ამომრჩეველს კი ზედმეტად „ლიბერალური“ პოლიტიკოსები არ მოსწონთ. მიზეზი, რის გამოც მედვედევს უკვე აღარ ეშინია

კური გარემოს შექმნას უკავშირდება. ყველამ იცის მიხაილ ხოდორკოვსკისა და სერგეი მაგნიცკის შემთხვევები. ეს უკანასკნელი მსხვილი ინვესტორის უილიამ ბროუდერის ადვოკატი იყო, რომელიც ციხეში (როგორც ჩანს, ცემით) გარდაიცვალა. კანონის უზენაესობის საკითხი არა მხოლოდ უცხოელ ინვესტორებს, არამედ თავად რუს ბიზნესმენებსაც უნდა აღელვებდეთ, რადგან კორუფცია და საყოველთაო უკანონობა ბიზნესის შემაფრნებელი სერიოზული ფაქტორებია. არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ინდექსის მიხედვით, რუსეთი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე კორუმპირებულ ქვეყნად ითვლება (146-ე 180 ქვეყნიდან). „გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში“ (Global Competitiveness Report) მიხედვით კი, რუსეთი 63-ეა 137 ქვეყნიდან. სავარაუდოდ, სწორედ ეს პრობლემები იგულისხმობამას ადმინისტრაციამ, როდესაც თავისი კომენტარი გამოაქვეყნა მედვედევის ვიზიტზე კალიფორნიაში, რომლის

სვლილებები საბადასახადო კოდექსში

დამოხაზიანი გადასახადები თუ იძულების მქანობი?

საგადასახადო კოდექსი, ერთი მხრივ, თანაბრად უნდა პასუხობდეს სამართლიანობის და ეფექტიანობის პრინციპებს, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლიანობა და ეფექტიანობა თანაბრად სასარგებლო უნდა იყოს სახელმწიფოსა და გადამხდელისათვის. იქნება თუ არა საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი სამართლიანიც და ეფექტურიც?

გიორგი აბაშიშვილი

„ცხოვრებაში არაფერია უეჭველი სიკვდილისა და გადასახადების გარდა“, – აშშ-ს დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთი ავტორის, ბენჯამინ ფრანკლინის ეს უკვდავი ფრაზა საოცრად ლაკონურად და ზუსტად განმარტავს გადასახადების მნიშვნელობას.

ყოველთვის აქტუალურია საკითხი, თუ რატომ, ვინ და როგორ ანებს გადასახადებს. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს შიგნით გადასახადების ექსკლუზიური შემომღები თვითონ სახელმწიფოა. სწორედ სახელმწიფო განსაზღვრავს, მაგალითად, გადასახადების ოდენობას და გადახდის წესს, რათა უზრუნველყოს თავისი ფუნქციები – სახელმწიფო თავდაცვა, რიგი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოში არავის არასოდეს დაუსვამს საკითხი გადასახადების დემოკრატიულობისა თუ ავტორიტარულობის შესახებ. თუმცა, თუ იმ ლოგიკას დავეყრდნობით, რომ გადასახადები ყველა მოქალაქისათვის სავალდებულოა და არა არჩევითი, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ გადასახადები არის ავტორიტარული. თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ ვიღებთ სარგებელს პენსიის, სოციალური დახმარების თუ სხვა სახით, ასე რომ, ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადები, გარკვეულწილად, ავალდებულებს სახელმწიფოს, უკან დაგვიბრუნოს ეკვივალენტური სერვისი, აქედან გამომდინარე, ურთიერთვალდებულების პრინციპი

თითქოს უფრო დემოკრატიულია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანხმად, გადასახადებს საკმაოდ ავტორიტარული განმარტება აქვს. კერძოდ, გადასახადი განმარტება, როგორც ბიუჯეტებში (სახელმწიფო, ავტონომიურ, ადგილობრივ) სავალდებულო, უპირობო ფულადი შენატანი, რომელსაც იხდის გადასახადის გადამხდელი გადახდის აუცილებელი, არაეკვივალენტური და უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე.

გადასახადის ეს განმარტება ხშირად გამხდარა კამათის საგანი. ფრაზა „არაეკვივალენტური და უსასყიდლო“ ეკონომისტთა დიდ ნაწილს მაინცდამაინც სწორ განმარტებად არ მიაჩნია. მართალია, გადასახადი, ერთი მხრივ, ნიშნავს გადამხდელის ფულადი საკუთრების უპირობოდ გადასვლას სახელმწიფოს საკუთრებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, სწორედ გადასახადების სანაცვლოდ ვიღებთ უსაფრთხოებას, მონესრიგებულ ინფრასტრუქტურას და ა.შ.

თუმცა, გადასახადები ერთგვარი აბსტრაქტული შენატანებია, ვინაიდან ჩვენ ზუსტად ვერ განვსაზღვრავთ, კონკრეტულად რა მიმართულებით გამოიყენებს სახელმწიფო უშუალოდ ჩვენ მიერ გადახდილ თანხას. ჩვენ გარკვეულწილად განვსაზღვრავთ გადასახადის ზოგად დანიშნულებას, და არც ერთ შემთხვევაში – ბიუჯეტის კონკრეტულ ხარჯვით მუხლებს.

ახლა, როდესაც ხელისუფლება თითქმის სრულად ცვლის საგადასახადო კო-

დექსს, ამ თემაზე პოლემიკა, როგორც წესი, არ სცდება მარტივ პოლემიკას, არავინ ცდილობს, ისაუბროს გადასახადების მნიშვნელობაზე უფრო სიღრმისეულად, ვიდრე ეს ტექნიკური ციფრებით მანიპულირებაა.

დილეტანტობა გადასახადებზე მსჯელობისას მხოლოდ პროცენტებზე დაყრდნობით გაკეთდეს დასკვნები, ვინაიდან სხვა მრავალი მნიშვნელოვანი დეტალი არსებობს, რომელთა გათვალისწინება და ანალიზი მნიშვნელოვანია.

მაგალითად, ბევრი მოსაზრება მოვისმინეთ, თუ როგორ იმოქმედებს ბიზნესზე ახალი საგადასახადო კოდექსი, მაგრამ სხვა მიმართულებით დისკუსია მაინცდამაინც ფართოდ არ გაშლილა. არავის დაუსვამს შეკითხვა, არის თუ არა ახალი საგადასახადო კოდექსი დემოკრატიის ხელშემწყობი?

საგადასახადო სისტემების შედარებისას ის საგადასახადო სისტემა ითვლება ეფექტიანად, რომელშიც ადმინისტრაციული ზენოლა მსუბუქია, ხოლო გადასახადებით გამოწვეული დანაკარგები ნაკლები. სამართლიანად კი ის საგადასახადო სისტემა ითვლება, რომელიც უზრუნველყოფს ყველა გადამხდელის აქტიურ ჩართულობას სახელმწიფო ხარჯების დაფინანსებაში საკუთარი შემოსავლებისა და შესაძლებლობების ფარგლებში, თუმცა სარგებლიანობის შესაბამისად.

სასურველია, საგადასახადო კოდექსი ერთი მხრივ, თანაბრად პასუხობდეს სამართლიანობის და ეფექტიანობის პრინ-


ციკლებს, ხოლო, მეორე მხრივ, სამართლიანობა და ეფექტიანობა თანაბრად სასარგებლო იყოს სახელმწიფოსა და გადამხდელისათვის.

საქართველოში, ბევრ ქვეყანასთან შედარებით, საკმაოდ ლიბერალური გარემო არსებობს, თუმცა ხშირია პრობლემები, რომლებიც საგადასახადო სასახურების გადასახადის გადამხდელებზე ზემოქმედებას უკავშირდება. არცთუ იშვიათია საუბრები თუ სამართლებრივი დავა გადასახადების გადამხდელებსა და სახელმწიფოს შორის. სამართლებრივი დავა ამ შემთხვევაში სავსებით ნორმალური იქნებოდა, თუ აღნიშნული დავის დასაწყისში აბსოლუტური უპირატესობა სახელმწიფოს არ ექნებოდა, არადა კანონმდებლობით მტკიცების ტვირთი არა სახელმწიფოზე, არამედ გადასახადის გადამხდელზეა. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს შეუძლია ნებისმიერი ტიპის საგადასახადო ბრალეულობა გადასახადის გადამხდელს სასამართლოს გარეშე დააკისროს. სახელმწიფო და გადასახადის გადამხდელი საფუძველშივე არათანაბარ პოზიციაში არიან. ამჟამად, საგადასახადო კოდექსში ინიცირებული ცვლილებებით, ეს საკითხები კვლავ მოუგვარებელი რჩება.

არის თუ არა საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებები ხელშემწყობი სამოქალაქო ინსტიტუტებისათვის? ამ კითხვის პასუხად შეგვიძლია გამოვიყენოთ თემა, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების დაბეგვრას შეეხება.

მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად, 2011 წლის 1 იანვრამდე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გრანტის სახით მიღებული შემოსავალი, რომლის ფარგლებშიც გაიცემოდა ხელფასები თუ ჰონორარები, იბეგრებოდა 12 პროცენტით. ამჟამად ინიცირებული ცვლილებების თანახმად, არასამთავრობო ორგანიზაციათა შემოსავალი 2011 წლიდან დაიბეგრება 20 პროცენტით, ანუ იგივე პროცენტული განაკვეთით, როგორც იბეგრებიან, მაგალითად, სხვადასხვა ბიზნეს-სტრუქტურები.

უმთავრესი პრობლემა, რომელიც ამ შემთხვევაში იკვეთება, არასამთავრობო ორგანიზაციებში მოქმედი გრძელვადიანი



ნი პროექტებია, რომლებიც დაგეგმილი იყო მოქმედი საგადასახადო კოდექსის თანახმად. ანუ, თუ რომელიმე ორგანიზაციას ჰქონდა რამდენიმე წელზე გათვლილი პროექტი, ამ წლების განმავლობაში თანამშრომელთა ხელფასი განსაზღვრული იყო, ვთქვათ, 300 ლარის ოდენობით, მისი თანამშრომელი გადასახადების გადახდის შემდგომ იღებდა ხელფასს 264 ლარის ოდენობით. 2011 წლიდან, ცვლილებების თანახმად კი, ორგანიზაციის აღნიშნული თანამშრომელი გადასახადების გადახდის შემდეგ მიიღებს 240 ლარს. მარტივად რომ ვთქვათ, აღნიშნული ცვლილებები ნიშნავს იმას, რომ ყველა იმ პერსონის მდგომარეობა გაუარესდება, რომელიც არასამთავრობო სექტორშია დასაქმებული.

საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა ხე-

ლისუფლებამ, გაეზარდა საგადასახადო განაკვეთები არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და შეემცირებინა მცირე ბიზნესისათვის? თუ ვინმე იტყვის, რომ ამ მხრივ სახელმწიფო ელოდება ბიუჯეტში მნიშვნელოვანი შემოსავლების ზრდას ანუ ამ იდეას რაიმე ფისკალური ეფექტი აქვს, ეს არასერიოზულია, ვინაიდან საქართველოს არასამთავრობო სექტორს არ გააჩნია იმხელა ფინანსური შესაძლებლობები, რომ გაზრდილი გადასახადების პირობებში ბიუჯეტში შენატანი მნიშვნელოვნად გაიზარდოს; უფრო მეტიც, მაღალი გადასახადის პირობებში, არასამთავრობო ორგანიზაციები იძულებულნი იქნებიან, შეამცირონ თანამშრომელთა ოდენობა.

უფრო ლოგიკური იქნებოდა ხელისუფლებას მეტი შეღავათი გაეკეთებინა არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის. ამ ლოგიკას ორი ეფექტი ამყარებს: პირველი ის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა სიძლიერე დემოკრატიის ხელშემწყობის წინაპირობაა, და მეორე, წმინდა ეკონომიკური ფაქტორი – არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობა გარკვეულწილად უზრუნველყოფს ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას, რაც უცხოურ სავალუტო რეზერვებზე დამოკიდებული ქვეყნისათვის არცთუ უსარგებლო საკითხია.

ძალიან ბევრი კრიტიკოსი ეყოლება ლოგიკას, რომ საგადასახადო შეღავათები არ განაპირობებს დემოკრატიას და ეს მართალიცაა, ოღონდ, მართალი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ უკვე ვცხოვრობთ დემოკრატიულ სახელმწიფოში და ვითხოვთ მეტ დემოკრატიას და არა, ზოგადად, დემოკრატიას. თუმცა, იმ ვითარებაში, როდესაც საქართველოში დემოკრატიას ძნელი და გრძელი გზა აქვს გასავლელი, დემოკრატიული ინსტიტუტების მეტი ხელშემწყობა, ან მინიმუმ, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება, ძალიან მნიშვნელოვანია. **■**

გიორგი ავაშივილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი და დოქტორანტი ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით; ასევე, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდული რესპუბლიკური ინსტიტუტის" თავმჯდომარე

მინჯის პრივატიზაცია

უბნოდ დაჩენილი ხელთუბნელები

ხელთუბნელები სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მიწის ნაკვეთების დაბრუნებას ითხოვენ. მიწების ნაწილი ტენდერის საფუძველზე გაიყიდა, ხოლო დარჩენილი ნაწილი ოთხმა პირმა მიითვისა. დღეს მოსახლეობა ამ ტერიტორიას საძოვრადაც ვეღარ იყენებს.

გიორგი ჭიჭილაძე

1992 წელს ხელისუფლებამ გორის რაიონის სოფელ ხელთუბნის მოსახლეობისთვის მიწების გაცემა დაიწყო. თითოეულ კომლს 1 ჰექტარი და 25 მეასედი შეხვდა. პირველი ეტაპის – ანუ ოჯახების მიწით უზრუნველყოფის შემდეგ, სოფლის გამგეობამ 400 ჰექტარი მიწის რეზერვი შექმნა, რომელიც მოსახლეობის გამრავლების შემდგომ, ახლადშექმნილ ოჯახებზე უნდა განაწილებულიყო.

სოფლის კრებაზე გადაწყდა, რომ თითოეულ მოსახლეს კუთვნილი ტერიტორიიდან 25 მეასედი მიწის ნაკვეთი დაეთმო და მთელი ეს ფართობი საერთო საძოვრად გამოეყენებინათ. საჭიროების შემთხვევაში, მიწა აზომვის შემდეგ მფლობელს დაუბრუნდებოდა.

დღეისათვის საზიარო საძოვარზე ნახირის შეყვანის უფლება სოფლის მოსახლეობას არ აქვს. მათი კუთვნილება ან იჯარით არის გაცემული, ან გაყიდულია.

ვითარებას ართულებს ის გარემოება, რომ მოსახლეობას მიწების ფლობის დამადასტურებელი არანაირი საბუთი არ აქვს.

ადგილობრივებმა არ იციან, ვინ გაყიდა მათი ქონება; ბერბუკის საკრებულომ, რომელიც ხელთუბანსა და რამდენიმე სოფელს აერთიანებს, ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველგვარი პასუხისმგებლობა მოიხსნა.

მოსახლეობამ დახმარებისათვის გორის მუნიციპალიტეტსაც მიმართა.

ვარდო ტერტელაშვილი – „ნაკვეთები ბერბუკის საბჭოს თავმჯდომარის გაყიდულია, მაგრამ ვერ გავიგეთ რომლის; ადგილობრივების ნაწილმა თავისი მიწები გაყიდა, ხოლო სხვების კუთვნილი უკანონოდ მიითვისა. მთელი სოფელი შევთანხმდით, საძოვრისათვის ფართობი იჯარით აგველო, მაგრამ უარი გვითხრეს.“

საბჭოში რამდენიმე თავმჯდომარე გა-

მოიცვალა. ისინი ტერიტორიის გაყიდვას ერთმანეთს აბრალებენ.

1992-1996 წლებში სოფლის გამგებლად სულიკო კოჩუაშვილი მუშაობდა. მან გვითხრა – „ნაკვეთები არც იჯარით გამიცია და არც გამიყიდა. 1996 წელს დაეასრულე მიწის გაცემის პირველი ეტაპი და წამოვედი საკრებულოდან. ჩემ შემდეგ ბეჟან ბეჟანიშვილი იყო საკრებულოს თავმჯდომარე, რომელსაც მიწების გაყიდვა მთავრობამ აიძულა. ქეთევან მარკოზაშვილი გამგებლის თანამდებობაზე ნათესავის, სამხარეო პოლიციის უფროს – ალექო სუხიტაშვილის დახმარებით მოხვდა“.

ის ამტკიცებს, რომ სოფლის ადმინისტრაციამ მიწები უკანონოდ გასცა. 1150 კომლიანი სია, მეორე ეტაპის დასაწყისისათვის ხელოვნურად – 1400 კომლიამდე გაზარდეს:

„ზოგმა ბებია-ბაბუაზე გააფორმა ნაკვეთები, ზოგმაც ხელთუბანში დაბადებულ და საცხოვრებლად სხვაგან წასულ ნათესავებზე; ამ ხალხმა არ იცის, რომ მათ სახელზე ნაკვეთია დარეგისტრირებული. მათ, ვისაც მიწა უფასოდ ეკუთვნოდა, ფული გადაადევიწეს“.

„მიწებზე ამბობდნენ აუქციონით იყიდებო, მაგრამ სოფლის მოსახლეობამ არაფერი იცის. არგუმენტი რომ ჰქონოდათ, რამდენიმე გაზეთი დაბეჭდეს, სადაც ეწერა – ნაკვეთი იყიდებო, მაგრამ მთელი ტირაჟი დამალეს, შესაბამისად აუქციონის შესახებ ხალხმა ვერაფერი გაიგო“.

სულიკო კოჩუაშვილის თქმით, ყველაზე მეტი ტერიტორია ქეთინო მარკოზაშვილის გამგებლობის დროს გაიყიდა.

„ქეთინომ გაყიდა ყველაზე მეტი, უფრო სწორად თვითონ იყიდა. კაკლების ნაკვეთის ერთი ნაწილი მარკოზაშვილს ეკუთვნის, ხოლო დანარჩენი საგადასახლო ინს-

პექციის ორ ინსპექტორს, რომელთაგანაც ერთ-ერთი, გიორგიძე, საგადასახლოში უფროსის მოადგილედ მუშაობდა. არცერთი არ არის ხელთუბნელი“.

ნოე ფალელაშვილი – „მარკოზაშვილმა კაკლები ჩუმად გაიფორმა, მე მეუბნებოდა, ნაკვეთი საბჭოს ეკუთვნის, მოუარე და „პატივს გცემო“. ეგ კაკლები ჩვენი პაპების გამყენებულია, რა უფლება ჰქონდა, რომ მიითვისა?!“

„ლიბერალი“ ქეთევან მარკოზაშვილსაც ესაუბრა. მისი გამგებლობის დროს, კანონის თანახმად გამგებლებს შეეძლოთ პრივატიზაციის ჩატარება. მანამდე ეს საკითხი გორის გამგეობის პრეროგატივას წარმოადგენდა.

ქეთევან მარკოზაშვილი ამბობს, რომ მას გასაყიდი ობიექტების აღრიცხვა და სახნავი ფართობების რაოდენობის დადგენა დაევალა. გასაყიდი ობიექტების ნუსხის შედგენის შემდგომ, ინფორმაცია ქონების სამმართველოსა და ეკონომიკის სამინისტროს მიანოდა.

მარკოზაშვილი პირად საუბარში გვეუბნება, რომ მისი გამგებლობის პერიოდში დაახლოებით ათ ჰექტრამდე ტერიტორია სოფლის მოსახლეებმა შეიძინეს, ხოლო მანამდე, დიდი რაოდენობით მიწა გამგეობამ გაყიდა.

მისივე თქმით, სოფლის სარეზერვო მიწა შეიძინეს არა ამ სოფლის მოსახლეებმა, არამედ გარეშე პირებმა. ტენდერის შესახებ გაზეთ „გამარჯვებაში“ დაიწერა, ხოლო საკრებულოსა და სოფლის მალაზიებში განცხადება იყო გამოკრული.

სოფლის მოსახლეობა ამტკიცებს, რომ მათ ტენდერის შესახებ არაფერი იცოდნენ და არც მარკოზაშვილს გამოუკრავს სადმე განცხადება.

გორის მუნიციპალიტეტის აპარატის უფროსი – კახა თოლიაშვილი განმარტავს,



ვარდო ტერტელაშვილი სადავო ნაკვეთზე, გორის რაიონის სოფელი ხელთუბანი, ივნისი 2010

რომ მიწები ქონების მართვისა და ეკონომიკის სამინისტრომ 1993, 2000 და 2006 წლებში აუქციონის წესით გაყიდა, ნაკვეთების ნაწილი კი 49-წლიანი იჯარით გასცა. მისი თქმით, ტენდერის გასაჩივრების ვადა გასულია, ერთადერთი გამოსავალი – სასამართლოში ჩივილია.

„ლიბერალმა“ ინფორმაციისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართა, რომელმაც ჩვენი წერილი შიდა ქართლის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსახურე სამმართველოში გადაამისამართა.

საპასუხო წერილში „ლიბერალის“ ექვსი კითხვიდან მხოლოდ ორს უპასუხეს.

მიღებული დოკუმენტის მიხედვით, ბერბუკის საკრებულოს შემავალ სოფლებში აუქციონი 2006 წელს, ადგილობრივმა გამგეობამ ჩაატარა. 1.40 ჰექტარი მიწის ნაკვეთი თამაზ მარლიშვილმა შეიძინა, ხოლო 5.86 ჰექტარი – ივანე კოჩუაშვილმა.

თამაზ მარლიშვილი – „ინტურისტების სკოლის ქუჩაზე, სადაც მანქანები იყიდებოდა, გაზეთი იყო გამოკრული. ეწერა, ხელთუბანში მიწა იყიდებო. გამგეობაში მივედი, მითხრეს მიწა აუქციონით იყიდება და მონაწილეობა ყველას შეუძლიაო. ამ ნაკვეთზე ვილაგას ჰქონდა განცხადება შეტანილი, მაგრამ არ გამოცხადდა და მიწა მე ვიყიდე. აუქციონის სოფლიდან ჩემ გარდა არავინ დასწრებია“.

სოფლის მოსახლეობას მიაჩნია, რომ ივანე კოჩუაშვილზე, შეძენილი მიწა ფიქტიურადაა გაფორმებული, მისი ნამდვილი მფლობელი კი ქეთევან მარკოზაშვილია.

ტარიელ ფალელაშვილი – „ივანე კოჩუაშვილი და ქეთინო მარკოზაშვილი, ბიძაშვილ-მამიდაშვილები არიან. ქეთინო ბევრ ნაკვეთს ვერ გაიფორმებდა და ამიტომ გააფორმა კოჩუაშვილზე. მე რომ ჭაობიანი მიწა შემესყიდა, 3000 ლარამდე დამიჯდებოდა, როცა მარკოზაშვილმა 700 ლარად უმაღლესი ხარისხის ნაკვეთი იყიდა.“

კომისიის თავმჯდომარე, ქეთევან მარკოზაშვილი ამბობს, რომ თამაზ მარლიშვილი ფაქტიურად ფლობდა ამ მიწას და აუქციონის წესით დაიკანონა, ხოლო ივანე კოჩუაშვილმა, უმაღლესი კატეგორიის სახნავი მიწა შეიძინა.

ხელთუბნელები მათი ტერიტორიის თვითნებურად მითვისებაში, რამდენიმე ადამიანს ადანაშაულებენ. მათი თქმით, საძოვრად დატოვებული ნაკვეთები ვალერი ტერმელაშვილმა, თამაზ მარლიშვილმა, მალხაზ ბაშინჯაყელმა და ვინმე გ. გიორგაძემ მითვისეს და გაყიდეს.

გურამ კოჩუაშვილი – „ვალერი ტერმელაშვილმა სოფლის ნაკვეთების უმეტესობა ჯერ მისაკუთრა და შემდეგ ყოველგვარი საბუთის გარეშე გაყიდა; ცოლის ძმა ჰყავს „ნაციონალურ მოძრაობაში“ და ამიტომ არაფერს უკრძალავენ“.

ვალერი ტერმელაშვილი უარყოფს თანასოფლელების ბრალდებას და აცხადებს, რომ ის ნაკვეთებს არც უკანონოდ ითვისებს და არც ყიდის, ტენდერების გამოცხადების შემდეგ კი ყიდულობს; მისი თქმით მიწა 3-4 წლის წინ ემზარ კიტრიაშვილისგან, გივი ჯაყელისა და გივი კოჩუაშვილისაგან შეიძინა.

ხელთუბნელთა განცხადებას უპასუხა გორის მუნიციპალიტეტმა. მათ მიმართვაში წერია, რომ მუნიციპალიტეტმა მოიძია აუქციონის ჩატარების დოკუმენტები და ადასტურებს, რომ ტენდერი კანონის სრული დაცვით ჩატარდა.

ბერბუკის თემის რწმუნებული – იოსებ ბეჟანიშვილი ადასტურებს, რომ მოსახლეობამ 25 მესახელები დაიკლო და საერთო საძოვრად აქცია, მაგრამ მაშინდელი აგროფირმის დამლის შემდეგ, ყველა მიწა, რომელიც უპატრონო იყო, ეკონომიკის სამინისტროს გადაეცა.

სოფელ ხელთუბანში საძოვრის არარსებობის გამო შინაური პირუტყვის მოშენება და შენახვა უჭირთ, რაც სოფლის ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს. ხელთუბნელთა პრობლემით არცერთი სახელისუფლებო ორგანო არ დაინტერესებულა და არც ბუნდოვანი სიტუაციის ადგილზე გარკვევას ცდილობს ვინმე. მოსახლეობას გორის მუნიციპალიტეტის დახმარების იმედი აქვს, თუმცა, მუნიციპალიტეტი მოსახლეობას სასამართლოში ჩივილს ურჩევს. [\[1\]](#)

B | S | T The Black Sea Trust
for Regional Cooperation

A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.



განათლება

მანდატუხის მანდატი

ზოგადი განათლების კანონში მორიგი შემოთავაზებული ცვლილების მიხედვით, მანდატურები სპეციალური დანიშნულების რაზმს დაემსგავსებიან. ახალი პროგრამა არა მხოლოდ არაეფექტურია, არამედ საზიანოც.

სიმონ ჯანაშია

ილუსტრაცია თათო ვალერიანაძე / ნიჟინა საბლუსონი

ოთხი წელია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სკოლაში უსაფრთხოების პრობლემაზე ინტენსიურად მუშაობს. საერთაშორისო ექსპერტების დახმარებით ამ წლებში შემუშავდა მრავალი ახალი მიდგომა და დოკუმენტი, რომლებიც ეხებოდა მოსწავლეების ქცევის რეგულირებას, სკოლის ფსიქოლოგების მომზადებას, სკოლაში ევაკუაციისა და ზოგადად უსაფრთხოების გეგმების შემუშავებას. იყო ინიციატივები სკოლების ვიდეომეთვალყურეობისა და სხვა აღჭურვილობის შესახებ.

სკოლებში მანდატურების მივლინება ამ ინიციატივებიდან ყველაზე ახალია. თუმცა, როგორც კეთილშობილური მიზნებიც უნდა ამოძრავებდეს სამინისტროს, ეს პროგრამა თავისი შინაარსით, განხორციელების გზით და ეკონომიკური გათვლებით არა მხოლოდ არაფექტურია, არამედ – საგანმანათლებლო სისტემისთვის საზიანოც.

ახალი პროექტის მიხედვით, მანდატურები მთლიანად განათლების მინისტრს ექვემდებარებიან. მათ მინისტრი სპეციალური სააგენტოს საშუალებით მართავს, რომელსაც დაევალება, სკოლებში მისავლენად მანდატურები იქირაოს.

ცვლილებების მიხედვით, მანდატურებს იგივე ტიპის უფლებები და მოვალეობები აქვთ, როგორც სასჯელალსრულების დაწესებულების დაცვის თანამშრომელს, საალმსრულებლო პოლიციელს ანდა სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომელს.

მეტიც, კანონპროექტი ზოგ შემთხვევაში ერთი-ერთზე იმეორებს მუხლებს სახელმწიფო დაცვის სამსახურის, სასამართლო აღსრულებისა და პატიმრობის შესახებ კანონებიდან და ასევე მუხლებს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის დებულებებიდან. მაგალითად, მანდატურები ისევე, როგორც ადამიანები, რომელთაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნორმატიული აქტი ეხებათ, თავიანთ სამსახურში სახელმწიფოს წარმოადგენენ და მათი მოთხოვნების შესრულება სავალდებულო ხდება ყველა ფიზიკური პირისთვის. როგორც ჩანს, მანდატურების პროგრამა

მაზე ამ მუხლების მორგებისას, კანონპროექტის ავტორებმა ის გარემოება გაითვალისწინეს, რომ მანდატურები, სასამართლო აღმასრულებლის, სახელმწიფო დაცვისა და საპატიმროს თანამშრომლის მსგავსად, განსაკუთრებულ რეჟიმში და ტერიტორიაზე მუშაობენ.

სკოლის მანდატურის უფლებების აღწერა სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლის აღწერას ემთხვევა იმ მხრივაც, რომ მისთვის ხელის შემშლად და ნინაღმდეგობის განევა დასჯადი ქმედებაა. მანდატურს ექნება ფიზიკური ძალისა და „სპეციალური საშუალებების“ გამოყენების უფლება. იმ მუხლების წაკითხვისას კი, რომლებიც მანდატურების სოციალურ დაცვას ეხება, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, მათ მუშაობა ძალიან მაღალი რისკის ჯგუფებთან უწევთ და ამიტომ განსაკუთრებული დაცვაც სჭირდებათ. ამ მუხლებში საუბარია სამსახურებრივი მოვალეობის დროს დასახიჩრების, დაინვალიდებისა და გარდაცვალების შემთხვევებზე.

ასე სარისკო მართლაც არის ზოგიერთ ამერიკულ სკოლაში მუშაობა, სადაც პრობლემა მოსწავლეებს შორის ცეცხლსასროლი იარაღის ტარება, განგსტერების მრავალრიცხოვანი დაჯგუფებები, ნარკოტიკების მასობრივი რეალიზაცია, მაგრამ ამ სასკოლო პრობლემებთან საქართველოს ყველაზე პრობლემატური სკოლებიც კი ახლოს ვერ მივა. ამიტომ ამერიკული გამოცდილება ქართულ სკოლებთან მიმართებაში არარელევანტურია. ამერიკაში ბევრია ქალაქის სკოლაც, სადაც მე-9-მე-12-ე კლასებში 5 000-მდე მოსწავლე სწავლობს. ჩვენთან კი ქალაქის დიდ სკოლებში საშუალოდ, იმავე ასაკის დაახლოებით 300 მოსწავლეა.

ამიტომ მანდატურების ქართული პროგრამის მსგავს ამერიკულ ინსტიტუტთან შედარება მცდარია. თანაც, ამერიკაში უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები მხოლოდ განსაკუთრებულად პრობლემურ სკოლებში გვხვდება და არა ყველა სკოლაში, როგორც – ჩვენთან.

მანდატურების სისტემა არაფექტური იქნება იმ პრობლემების გამოსავლენად, რაც საქართველოში არსებობს მოზარდების ძალადობასთან დაკავშირებით. 2007-08 წლებში გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სკოლებში ხშირია ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევები, როგორცაა ბავშვის გარიყვა, შეურაცხყოფის მიყენება, ყვირილი. ძალადობის შემთხვევები დიდწილად ხდება სკოლისკენ ან სკოლიდან მიმავალ გზაზე და სკოლის შემდეგაც. ვიცით ისიც, რომ თბილისში ძალადობის პროცენტული გამოვლინება ნაკლებია, ვიდრე – თბილისის გარეთ. მანდატურების ეს სისტემა კი ვერ პასუხობს კვლევით გამოვლენილ ამ პრობლემებს.

ამ ფორმით მანდატურების ინსტიტუტი საზიანო იქნება მთლიანად განათლების სისტემისთვისაც. სკოლაში გაჩნდება ადამიანი, რომელიც არ ექვემდებარება სკოლას და წარმოადგენს სხვა დაწესებულებას. დღეს სკოლის პერსონალის შერჩევაზე სკოლის დირექტორია პასუხისმგებელი, ის არის მათი დამქირავებელი და სამუშაოს ეფექტურობისა და კეთილსინდისიერების შემფასებელიც. თუ ის ხედავს, რომ თანამშრომელი სათანადოდ არ მუშაობს, მისი გათავისუფლება შეუძლია. რა შეიძლება გააკეთოს დირექტორმა მანდატურის არაკეთილსინდისიერების შემთხვევაში? დირექტორს მხოლოდ ის შეეძლება, რომ დაუკავშირდეს სამინისტროს სპეციალურ სააგენტოს და სთხოვოს სკოლაში მომუშავე ადამიანის საქმის განხილვა.

მანდატურების სისტემა ისე რომ დაინერგოს, როგორც ეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების ინტერვიუებშია (ანუ სამი მანდატური საშუალოდ სკოლაზე), მხოლოდ თბილისში ამ სააგენტოს სკოლებისთვის დაახლოებით 600 თანამშრომელი ეყოლება გამოყოფილი. ამ რაოდენობის თანამშრომლის ეფექტურად მართვა კი ცენტრალიზებულად შეუძლებელია. როგორც წესი, არაეფექტურია სისტემები, როდესაც თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკი-

თხი ზემდგომ ინსტანციებში წყდება. დღევანდელ სისტემაში კი სამინისტრო თავს სწორედ სკოლების ზემდგომად მიიჩნევს და არა ზოგადად განათლების პოლიტიკის გამტარებლად.

სკოლა მანდატურებზე კონტროლის არარსებობასთან ერთად, არა მხოლოდ ავტონომიას კარგავს, არამედ პასუხისმგებლობასაც. მასწავლებლები ისედაც ხშირად ცდილობენ საკუთარი პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბარებას, როდესაც ამის შესაძლებლობა არის. ასეა არა მხოლოდ ქართულ კულტურაში, არამედ ბევრ სხვა სისტემაშიც. თუ მასწავლებელს აქვს იმის შანსი, რომ მოსწავლეების ქცევის რეგულირებისას განცდილი წარუმატებლობა ადმინისტრაციის წევრს გადააბრალოს, ის ამ შანსს ხშირად იყენებს. მანდატურების ჩაცმულობას თუ დავაკვირდებით, შევამჩნევთ, რომ მანდატური კონკრეტულ სკოლას სიმბოლურადაც კი არ ეკუთვნის. მის ფორმაზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ლოგოა გამოსახული და არა იმ სკოლის, რომელშიც ის მსახურობს. ამგვარ ვითარებაში ცდუნება, რომ მოსწავლის ქცევის რეგულირებაზე პასუხისმგებლობა მთლიანად სახელმწიფოს დაანვეს, დიდი იქნება.

თავისთავად ცხადია, რომ არსებული პრობლემების გათვალისწინებით, სკოლის უსაფრთხოების გაუმჯობესებაში ფულის გადახდა ღირს. თუმცა მნიშვნელოვანია, თუ როგორ დავხარჯავთ და რამდენს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, მანდატურის ხელფასი თვეში 400 ლარია. ითქვა ისიც, რომ სკოლებში საშუალოდ სამი მანდატური იქნება. მარტო ქალაქის სკოლებში მანდატურის ხელფასებს თუ დავიანგარიშებთ, წელიწადში დაახლოებით 7 მილიონი ლარს მივიღებთ. ეს კი იმაზე სამჯერ მეტია, რაც სახელმწიფომ 2009 წელს დახარჯა, მაგალითად, საქართველოს ყველა მასწავლებლის პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებაზე. დავამატოთ ამას ბიუროკრატიის შენახვის ხარჯები, რაც ახალი სააგენტოსა და მანდატურების მართვას უნდა მოხმარდეს და გავითვალისწინოთ ის თანხაც, რაც მანდატურების მომზადებას, აღჭურვასა და დაზღვევას სჭირდება. და დავსვათ კითხვა: ბევრია თუ არა ათამდე მილიონი ლარი განათლების სისტემის ამ ახალი ცვლილებებისთვის? შეადარეთ ამ ინიციატივის ბიუჯეტი განათლების სფეროში დახარჯულ სხვა თანხებს და მიხვდებით, რომ სამწუხაროდ, განათლების სისტემის მცირე ბიუჯეტისთვის ეს თანხა საკმაოდ დიდია.

მაშინ რა უნდა იყოს სახელმწიფოს მიდგომა? სახელმწიფომ ეს პროგრამა უნდა განახორციელოს მხოლოდ ისეთ სკოლებში, სადაც პრობლემის მოგვარება დამხმარე პერსონალის გარეშე რთულია. დამხმარე პერსონალი სკოლამ უნდა იქირაოს სახელმწიფოს ფინანსებითა და ინსტრუქციების მიხედ-

ვით. პერსონალი უნდა განიხილებოდეს არა როგორც პრობლემის მოგვარების მთავარი ინსტრუმენტი, არამედ როგორც ექსპერტი, რომელიც სკოლას პრობლემების მოსაგვარებლად ძალეების მობილიზებაში ეხმარება. უსაფრთხოების ექსპერტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც პოლიციელი, დაცვის სამსახურის თანამშრომელი, ან აღმასრულებელი. მისი მუშაობა უნდა იყოს დროებითი და მისი წარმატება უნდა იზომებოდეს იმით, რამდენად მოემზადა სკოლა ძალადობის შესამცირებლად. ამ პრინციპების გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ მანდატურების არსებობას მართლა ექნება მნიშვნელოვანი გრძელვადიანი, მდგრადი და ეკონომიკურად მიზანშეწონილი ეფექტი მოსწავლეების უსაფრთხოებისთვის. **■**

ბამოსანა: ვინ ხის ჯეჟიანი-X?

გთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი კანონპროექტიდან, რომელიც საქართველოს პარლამენტში განსახილველად სულ ახლახან შევიდა. კანონპროექტის მთავარი მოქმედი პირის სახელი შეცვლილია X-ით. წაიკითხეთ და გამოიცანით, ვინ არის ის. ვინ არის ის ადამიანი, რომლის კანონიერი მოთხოვნების შესრულება აუცილებელია ნებისმიერი თქვენგანისთვის და ვისაც ასეთი სარისკო სამსახური აქვს?

“მუხლი 48/4 X – ის სამართლებრივი დაცვა

1. X სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მას იცავს სახელმწიფო. მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური პირისათვის.
2. არავის არა აქვს უფლება, ჩაერიოს X-ის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. X-ის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მუქარა, მისთვის წინააღმდეგობის განწევა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა, იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას...

მუხლი 48/5 X-ის სოციალური დაცვა

1. X ექვემდებარება სავალდებულო დაზღვევას სახელმწიფოს მიერ.
2. ზიანი, რომელიც X-ს მიადგა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მას სრულად უნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან...
3. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას X-ის დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 000 ლარისა. X-ის დაკრძალვის ხარჯებს აანაზღაურებს სახელმწიფო.
4. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას X-ის დასახიჩრების ან/და დაინვალიდების შემთხვევაში მას სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ერთჯერადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა...”

საქართველოს კანონმდებლობით



თელავი, ყვარელი, ლაგოდეხი
გორი, ქარელი, ხაშური
ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია
ურაკი, ქობულეთი, ბათუმი
ფოთი, სენაკი, ზუგდიდი

FM 105.5

FM 103.0

FM 104.5

FM 101.0

FM 101.9

"შენ ხარ პენალი" ჰიოფილი

ნინია კაკაბაძე

ეს ერთ-ერთი ან კი ყველაზე მაღალ რეიტინგული გადაცემაა. აქ ჩვენ ძირითადად პროფილში (როგორც ჩანს, გვერდიდან) სხვადასხვა ცნობილი ადამიანის ინტიმურ ისტორიებს ვისმენთ. გადაცემის სინოფისისშიც ასე წერია: „ყველაზე რეიტინგული არაპოლიტიკური ტოქშოუ ქართულ ტელესივრცეში. ჩვენ პოლიტიკაზე არ ვსაუბრობთ, ჩვენ კონკრეტული ადამიანების ისტორიას გვიამბობთ. საკუთარი ცხოვრების შესახებ ტოქშოუს სტუმრები თავად ჰყვებიან. ქართული მენტალიტეტისთვის უჩვეულო გულახდილობა, ყველაზე პირადულს გადაცემის გმირები „პროფილს“ ანდობენ. მათი რთული ცხოვრება კი გადაცემის ეთერში გასვლის შემდეგ იცვლება. ცნობილი ადამიანები ახალი რაკურსით და რეალური ამბების უცნობი გმირები, მათი ტკივილითა და სიხარულით. „პროფილში“ ნებისმიერი ასაკის მაცურებელი იპოვის მხოლოდ მისთვის განკუთვნილ ამბავს. ჩვენ თქვენთან ერთად ვცვლით „პროფილის“ სტუმრების ბედს. შემოგვიერთდით!“

როგორც ხედავთ, გადაცემა „პროფილს“ არა მხოლოდ ადამიანების გართობის, არამედ მათი ცხოვრების შეცვლის ამბიციაც აქვს. მაგრამ ამ სურვილსა და ამბიციას სერიოზულად ნუ ჩავეძიებთ. „შემოგვიერთდით“, – ასე სრულდება გადაცემის ანოტაცია. ეს ის გადაცემაა, რომლის შესახებ ვერ მოისმენთ ამგვარ შეფასებას: – „ძალიან საინტერესო“, ან „ძალიან კარგი“, მაგრამ ეს ის გადაცემაა, რომელსაც ყველა უყურებს, ყველა „უერთდება“. შემდეგ ზოგი მძაფრ კრიტიკას არ იშურებს, ზოგი კი უბრალოდ ქილიკობს. „ჩვენ კონკრეტული ადამიანების ისტორიას გვიამბობთ. საკუთარი ცხოვრების შესახებ ტოქშოუს სტუმრები თავად ჰყვებიან“ – მარტივი დიაგნოზია, ვუაიერიზმისა (მაცურებელი) თუ ექსპიზიციონიზმის (მონაწილე) მოთხოვნილება გარკვეულწილად ყველა ჩვენ-



■ „პროფილი“ მოყვითალო პრესის ტელევიზიონით, სადაც ყველა სტერეოტიპი თუ ცრურწმენა, სნობიზმი თუ იაფფასიანი გემოვნება კულტივირდება.

განში დევს და ამის მძაფრი სურვილი გადაცემის წამყვანსაც აქვს. სხვას რას უნდა დავაბრალოთ მათა ასათიანის მიერ საკუთარ გადაცემაში არაერთხელ მოყოლილი პირადი ისტორია ან კი ინტერვიუ საკუთარ თავთან (იხილეთ 15 აპრილის გადაცემა, სახელწოდებით „ოცნების ქალაქი“). მათა საკუთარ თავს ეკითხება და შემდეგ მათს მონტაჟური ორეული პასუხობს: „მე (პაუზა) შემეყვარდა (პაუზა და მზერა დაბლა) ჩემი ოპერატორი“... ორი მათა სტუდიაში ბევრს არ საუბრობს, მაგრამ ეს ხანმოკლე დიალოგი სულისშემძვრელ ემოციას და ჰორორის ეფექტს ქმნის.

ერთი სიტყვით, ეს არის ტელესერიალი განსხვავებული ისტორიებით,

რომელიც ვუაიერიზმით შეპყრობილ მაცურებელსა და გამიშვლების მოსურნე სტუმრებს აკმაყოფილებს. სერიალებისგან განსხვავებით, ეს ხომ „ნამდვილი“ ადამიანების კონსტრუირებული „ნამდვილი“ ამბებია. ამ ისტორიებს გადაცემის წამყვანიც და ჟურნალისტებიც მოკანკალე, მთრთოლვარე ხმით გვიამბობენ. და ამ გადაცემას საქართველოს მოსახლეობის 25-30 პროცენტი უყურებს. ალოგიკურია, რატომ მეტოქეობს რეიტინგებში „პროფილი“ და „შუა ქალაქი“? მხატვრული სერიალი, რომელიც გაცილებით უფრო ნამდვილი და დამაჯერებელია, ვიდრე დოკუმენტური თოქშოუ, სადაც ყველა და ყველაფერი ნამდვილი ყალბია?!

მეორე ადგილს მათა ასათიანის გადაცემაში, პირობითად, თემა „თანამედროვე მართლმადიდებლური ისტორიები“ (ასეთი იყო მართლაც ერთ-ერთი გადაცემის სახელწოდება) იკავებს. მღვდლები, მონაზვნები, მორჩილები, სტიქაროსნები, მორწმუნენი... ხშირად ჰყვებიან ამბებს, რომელიც მართლმადიდებლურ სასწაულს უკავშირდება. „შენ ხარ ვენახის“ ხატმა განკურნა სნეული, დააფხმძიმა უშვილო ქალი, უსინათლოს თვალი აუხილა, შეუხედავი გაალამაზა, უჭკუო დააჭკვიანა.

ერთი გადაცემა „მამა გაბრიელის“ სასწაულებსაც მიეძღვნა. გაბრიელმაც დააორსულა უშვილო ქალი, დამბლადაცემული ფეხზე დააყენა... ერთი სტუმარი მას ასე ახასიათებდა: „მამა გაბრიელი უნიკალური ადამიანი იყო, ბავშვს ბავშვურად ელაპარაკებოდა, ქურდს ქურდულად“... რა ჯობს მოძღვარს, რომელიც ქურდს ქურდულ ენაზე ელაპარაკება?! ისიც გავიგეთ, რომ მისი საფლავიდან ზეთი გადმოდის, რომელსაც დედა პარასკევა (რობინზონის მეგობარი არ გეგონოთ) პატარა ქილებით ყიდის და უკურნებელნი ამ ზეთით იკურნებიან.

ასეთ ისტორიებს ნებისმიერი ქვეყ-

ნის ნებისმიერ ტელეეთერში მოისმენთ. ერთ-ერთ ესპანურ არხზე, პირდაპირ ეთერში გარდაცვლილთა სულელებსაც ესაუბრებიან, ამიტომ აქ შემამოფოთებელი არაფერია. მხოლოდ ერთი უნდა გავითვალისწინოთ, ამგვარი გადაცემები, სადაც ამ „სასწაულების“ ტირაჟირება, რეკლამირება ხდება, ქართულ მედიაში პრაქტიკულად უაღვრესად ტიპიურია და ის პირდაპირ ენიშნაღმდეგება მრავალფეროვანი, ღია საზოგადოების შექმნის პროცესს.

ხელოვნებათმცოდნე თეო ხატიაშვილი გადაცემა „პროფილზე“ ამბობს: „პროფილი“ მოყვითალო პრესის, მათ შორის, რელიგიურის (როგორცაა „სამრეკლო“ და მსგავსი გამოცემები) ტელევიზიონური, სადაც საზოგადოებაში არსებული ყველა სტერეოტიპი თუ ცრურწმენა, სნობიზმი თუ იაფფასიანი გემოვნება კულტივირდება, თანაც განსხვავებით პრესის არცთუ იშვიათად აგრესიული ტონისა და განწყობისგან, აქ ყველაფერი „მშვიდობის მტრედის“ მიერ სიკეთის, სიყვარულის, ჩახუტების სახელით კეთდება, რის გამოც, არის კიდევაც ეს გადაცემა და მისი ავტორი პოპულარული.

გადაცემა, რომელიც მთლიანად შეიძლება დაეთმოს ხატიდან მომდინარე ზეთის ცხოველმყოფელ ძალას ან ომის დამთავრებიდან სულ რაღაც ერთ თვეში ომით ტრავმირებული ბავშვებისგან შოუ მოაწყოს, ვერანაირად ვერ შეასრულებს დადებით როლს, რაც უნდა უზომო სიყვარულით იყოს კომუფლირებული; უფრო მეტიც, ამორალურიც კია“.

და აი, დანაშაულსაც მივადევით, რომელსაც გადაცემა „პროფილი“ ჩადის. ამას ვერ დავარქმევთ მავნებლობას, ეს დანაშაულია. დანაშაულებრივი იყო გადაცემა, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ მომზადდა და რომელზეც თეო ხატიაშვილი საუბრობს, მაგრამ უფრო ახლო წარსულში რომ გადმოვიწვლოთ, მოკლედ მოგახსენებთ 2010 წლის, 27 მაისის გადაცემაზე, რომელიც არასრულწლოვან პატიმრებს მიეძღვნა.

1. არასრულწლოვანთა კოლონიაში შესვლა კამერით პრაქტიკულად შეუძ-

ლებელია, მაგრამ „რუსთავი 2“-ის კამერისათვის შესაძლებელი.

2. გადაცემაში დასმული კითხვები, გადაცემის სტრუქტურა, შიგთავსი სარეკლამო „ფილმს“ უფრო ჰგავს, ვიდრე არასრულწლოვან პატიმართა ბედით შეწუხებული ავტორის მიერ მომზადებულ გადაცემას. ის, რასაც მაია ასათიანი წარმოგვიდგენს, არსებული სურათის მხოლოდ ერთი მხარეა, პროფილში დანახული სახე. პროკურორი და პროკურატურა, რომელიც მართლა ცდილობს არასრულწლოვანების დასაქმებასა და საზოგადოებაში ინტეგრაციას, მოძღვარი, რომელიც, სავარაუდოდ, მართლაც ეხმარება ბავშვებს დანაშაულის გააზრებასა და მონანიებაში, და მართლაც შესანიშნავი ფსიქოლოგი მაია ცირამუა, რომელიც არასრულწლოვან პატიმრებზე ისე ზრუნავს, როგორც საკუთარ შვილებზე. კადრები, სადაც ჩანს, როგორ ერთობიან, მუშაობენ და სწავლობენ პატიმრები. ეს ყველაფერი პროფილში დანახული რეალობაა. არსებობს მეორე მხარე, რომელიც მაია ასათიანს არ აინტერესებს. ამიტომ არ სვამს კითხვას: „რა პრობლემები გაქვთ კოლონიაში? რას ისურვებდით და არ გაქვთ? როგორია სისტემა შიგნით? ასათიანის გადაცემაში ხომ ცხოვრება სასწაულმოქმედებით, ბედნიერებით, სილამაზით არის სავსე?! ამგვარი სარეკლამო გადაცემის მომზადება მას კიდევ ერთხელ ათქმევინებს აკანკალებული ხმით, – „ჩვენ თქვენთან ვართ“, როგორც ეს ომში დაზარალებულ პატარა გოგონას უთხრა, იმ ვიზუალური ტერორის შემდეგ, რაც სტუდიაში მოუწყო.

3. არხმა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს აკადემიურობაზე, უნდა იცოდეს, რომ: „როდესაც რეალურ ფაქტებზე აგებული პროგრამები აშუქებენ ფაქტებს არასრულწლოვანთა კანონსა-წინააღმდეგო და ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩართვასთან დაკავშირებით, მათი ვინაობის გამჟღავნებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ეთიკური ხასიათის საკითხების წამოჭრა. მიუხედავად საზოგადოებრივი ინტერესისა, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანონი-

მურობის დაცვა უფრო ზნეობრივია. მშობლის თანხმობა ბავშვის ვინაობის გამჟღავნების თაობაზე არ წარმოადგენს საკმარის საფუძველს, რადგან ბავშვს ამასთან დაკავშირებით მომავალში შეიძლება პრობლემები შეექმნას.“ (BBC-ს ღირებულებები და სტანდარტები. მე-14 თავი „ბავშვები და პროგრამები“)

ეს ეთიკური ნორმა თუ სტანდარტი არამხოლოდ მაღალპროფესიონალურ BBC-ზე მუშაობს, მას ნებისმიერი, ნაწილობრივ აკადემიური, სერიოზული ტელეარხიც ითვალისწინებს. ეს კანონი, რომ არ შეიძლება მოძალადე, დამნაშავე თუ ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვანის სახის ჩვენება, მომავალში მისი იდენტიფიცირების საშიშროებით – ჟურნალისტიკის დაწერილი და დაუნერვლი კანონია. მაია ასათიანმა კი არა ერთი არასრულწლოვანი პატიმარი, არამედ 20-მდე ყოფილი თუ ამჟამინდელი პატიმარი მიიყვანა სტუდიაში და შოუ შექმნა, დანაშაულებრივი სურვილს გადაცემის ავტორთა დახმარებაზე. ამავდროულად, მათ შეიძლება ვერ შეძლონ თავიანთი გრძელვადიანი ვალდებულებების გააზრება“, – წერია BBC-ს სახელმძღვანელოს იმავე ქვეთავში. მაგრამ რთულია, მოვითხოვოთ ამ სტანდარტების ცოდნა და გააზრება გადაცემის ნამყვანისგან, რომელიც თვალზე ცრემლმომდგარი და გულაჩუყებული ისმენს ისტორიას, როგორ დააფხმძიმა სასწაულმოქმედმა ხატმა ქალი და შემდეგ სვამს კითხვას: „ჩვენს ახლა სკეპტიკოსებიც გვიყურებენ, როგორ უნდა დავაჯეროთ ამ სასწაულის ჭეშმარიტებაში?“

საგანგამო მხოლოდ ერთია, ამ ფაქტს – არასრულწლოვანი პატიმრების ეკრანზე ჩვენებას – სამწუხაროდ, არც გადაცემაში მონაწილე პროკურორი, მოძღვარი თუ ფსიქოლოგი აპროტესტებენ, არც ბავშვთა ან ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციები რეაგირებენ. არავინ არაფერს ამბობს, ამიტომ ისლა დაგვრჩენია, დახმარებისთვის „შენ ხარ ვენახის“ სასწაულმოქმედ ხატს მივმართოთ: „შენ დაგვიფარე მაია ასათიანისგან!“

თეთრი აბაჯანები, შავი ჰოცბები, იისფერი ჩუსები

ამჯერად ნანუკას ჯაზში მხოლოდ მიშა და თეთრი ვარსკვლავები არიან.

დავით ბუხრიკიძე



თითქოს ახალი და განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. ჩვენ ვნახეთ ოდნავ სენტიმენტალური, ღია ცის ქვეშ დადგმული ეპიკურ-სატელევიზიო „თეთრი ოპერეტა“ შავი ზღვის პირას, რომელიც დიზაინერმა დათუნა სირბილაძემ ვიწრო, აქრომატული ფანტაზიით შემოსა.

გადათეთრებული ქართული ესტრადა ნანუკა ჟორჯოლიანს დამქანცველი სეზონის შემდეგ ბათუმში ეწვია. გამოსამშვიდობებელი შოუ საზაფხულო არდადეგების წინ – თეთრი როიალით, საქანელებითა და ღია ესტრადით, თვალისთვის ისევე საამო იყო, როგორც – 70-იან წლებში ჩვენში პოპულარული არაბული მელოდრამა „თეთრი კაბა“.

ზღვისპირა გადაცემაში გამოკრთა გარდაცვლილი სატელევიზიო აჩრდილი

– ზაზა შენგელია, რომელმაც ავტორს სითამამე და გულწრფელობა შეუქო. თითქოს იხუმრეს „ღამის შოუს“ ბიჭებმაც (რომელთა დაბლაგვებულ იუმორს გრადუსი, სტუდიაში დამზადებულ „ნომრებთან“ შედარებით, აშკარად აკლდა), რიზინ-რიზინით გაიღვეს გაზეთ „პრაიმ-ტაიმის“ ლოგოთი შემოსილმა ჟურნალისტებმა, წაიცეკვეს ოდნავ გადაღლილმა ცნობილმა ტელეჟურნალისტებმა, იმლერა მთლად ვერცხლისფერში გამოწყობილმა ლელა წურწუშიამ, ოდნავ უკეთესად – მივინყებულმა თიკა ჯამბურამ, მოგებული იურმალა შეგვასხენა დუეტმა „ჯორჯიამ“, შთამბეჭდავი ხუთწუთიანი ჯაზი გვიძღვნა ნორჩმა გენიოსმა ბექა გოჩიაშვილმა... ფინალში კი ცაში გაზით გაბერილი ბუშტები გაუშვეს.

■ „ჩემი შოუ, ჩემ შოუში, ჩემმა შოუმ“ – ყველაზე ხშირად სწორედ ეს სიტყვები ისმოდა ოთხსაათიან გადაცემაში. გეგონებათ, ნანუკამ პენსიაში გასული ლარი კინგი უნდა შეცვალოს.

და მაინც, ყველაზე მრავლისმეტყველი აღმოჩნდა რეკლამირებული ინტერვიუ პრეზიდენტ სააკაშვილთან, რესტორანში ზღვის პირას, აჭარის ტელევიზიისა და ახალგაზრდული დეპარტამენტის თანამშრომლებით „გადაჭედო“ ვერანდაზე. მაგრამ ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით.

შოუ სახელწოდებით „ხალხი თეთრე-ბში“, ანუ საზაფხულოდ შეკრებილი

ქართული ბომონდი, რაღაც მსუბუქად მელანქოლიურ და მწკარტედ სასიამოვნო „გერლენის“ ბურჟუაზიულ სურნელს გამოსცემდა. თუმცა, სინამდვილეში ეს ახლახან ჩამოგდებული სტალინის ძეგლის შურისმაძიებელ, ოდნავ მძაღე და ნეოკლასიციკლურ სურნელს უფრო ჰგავდა. მსუბუქი მუსიკით სასიამოვნოდ

ნებათ, ნანუკამ პენსიაში გასული ლარი კინგი უნდა შეცვალოს. და ეს ყველაფერი მითან აჭარაში მცხოვრებ მოხუცებთან ინტერვიუს ფონზე, რომელთაც თურმე ოცნებად გადაქცევიათ, ოდესმე ცხოვრებაში შეხვდნენ ნანუკას!

ასე მარტივად და „თეთრად“ ქმნის ტელევიზია მითებს, რომ მის გარეშე

ექსკლუზიურად მონაწილე, ფერადოვანი ფანტაზიის მქონე პრეზიდენტს არ ჰქონია ჩუსტები – არც შავი და არც იისფერი! უფრო მეტიც, მას არც საშინაო ხალატი აქვს, ესიზმრება სოხუმში და უსაქმურობას ვერ იტანს. ამიტომ ხშირად და დახვეწილად ანიოკებს მაღალხელფასიან მინისტრებს. სხვათა შორის, ისინი ჩვენ



გადაღლილი სახეები ერთდროულად 70-იანი წლების უშფოთველი სოციალიზმის ეპოქასა და 50-იანი წლების საბჭოთა ფილმებს (ფსევდოკლასიკური კოლონიებით, თეთრი ტილოს სამოსითა და ექსკლუზიური შლაპებით) გვახსენებდა. და ამ სახეებზე იკითხებოდა, რომ დღევანდელ არტ-პარტ-ელიტას ერთი ცხადი სურვილი აქვს – იცხოვროს ისე, რომ მას ხელი არავინ და ვერავინ შეუშალოს.

დაახლოებით ასე იყო 70-80-იან წლებშიც. შესაბამისად, ჩინოვნიკების მთავარ ოცნებას წარმოადგენდა აგარაკი ზღვის პირას (დაბა ლესელიძედან ბათუმამდე) და შავი ვოლგა (დღევანდელი ეკვივალენტით ჯიბი) საიმედოდ დაცულ ფარეხში.

„ჩემი შოუ, ჩემ შოუში, ჩემმა შოუმ“ – ყველაზე ხშირად სწორედ ეს სიტყვები ისმოდა ოთხსაათიან გადაცემაში. გეგო-

ცხოვრება მოსაწყენი და პროზაულია, და რომ არა „მოდელირებული“ სატელევიზიო თამაშები და შიდა კლანური გართობა, იგი მთლად „ხატების ბოროტ დემონს“ (ყან ბოდრიარის ტერმინია, რომელიც მან პირველად გამოიყენა ტელევიზიის მისამართით) დაემსგავსებოდა.

გახსოვთ გურამ დოჩანაშვილის „სამოსელში“ მამიდა არიანდას რეაქცია, სუფრასთან მჯდომი კუმეო ხორცის ნაჭრებს ჯიბეში რომ ჩაიდებს?! „უზრდელი“, – ამბობს მამიდა არიანდა. „უზრდელი კი არა უშუალოა“, – არბილებს კონჩენტინა.

დაახლოებით ასე არბილებდა ატმოსფეროს ნანუკა ჟორჯოლიანიც, რომლის ინტერესი, აქვს თუ არა ჩუსტები და ხალატი პრეზიდენტს, ამ უკანასკნელმა ოდნავ უხალისოდ, მაგრამ მაინც ბოლომდე დააკმაყოფილა: „თეთრ შოუში“

აღარ გვერჩიან. უბრალოდ, მშვიდი სინდისით, მოქალაქეობრივი შეგნებით და მაღალფარდოვანი პროზაულობით ნთქავენ ყველაფერს არჩევნებიდან არჩევნებამდე. და, რაც მთავარია, არც გუშინდელი თეთრი აგარაკები აკლიათ, არც დღევანდელი შავი „ვოლგები“ და არც ხვალინდელი იისფერი ჩუსტები.

სინამდვილეში პრობლემა სხვა რამეშია: არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, პრეზიდენტი მოგვატყუებს მშენებარე ცათამბჯენზე გამართული მინისტრთა კაბინეტის სხდომებით, თუ ნანუკა ჟორჯოლიანი პლენერზე დადგმული ქათქათა და მუსიკალური წვეულებით.

ისე, რესტორან „იალქანის“ ვერანდაზე შემთხვევით დავარდნილი ჩანგალი „შემთხვევით“ შეკრებილი პუბლიკის ფონზე რას ნიშნავდა, ვერ გავიგე...



რადიო „ნასრონი“ გეგატიშვებით კლუბში „ნასრონი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა



ბენდუიძის საშიშროება



რატი ამალლობელი

შევარდნაძის 30-წლიანი მმართველობის პერიოდში, მრავალ უცნაურობასთან ერთად, ერთი თვალშისაცემი რამ მოვლენა დამამახსოვრდა – როგორც თავად ბატონი „ედვარდი“ უნოდებდა მათ, მისი ეპოქის დროინდელი „ხელმძღვანელი მუშაკები“ უკლებლივ ყველა, თავად შევარდნაძეს ემგვანებოდა: საუბრის მანერით, პაუზებით, აზრების დალაგების, ხშირად მათი დაულაგებლობისა და აბსტრაქტულად მეტყველების სტილით, მიმიკებითაც კი.

მსგავსი უცნაური ხდომილება არა მარტო „ხელმძღვანელი მუშაკების“ „ასტრალურ სხეულს“, არამედ იმდროინდელ მეცნიერთა, ხელოვანთა, „ინტელიგენტთა“ ფსიქო-სომატურ სივრცეებსაც მოიცავდა. საჯარო საუბრებისას თუ გამოსვლებისას „წარმატებული“ ქართველი „ხელმძღვანელი პოეტები“, ბლომად რეჟისორები, მუსიკოსები, დირიჟორები, რექტორები, აკადემიკოსები და სხვანი და სხვანი საკუთარ მიმართებებში გულისხმობდნენ პირველყოვლისა შევარდნაძეს, ნებისმიერ თემაზე საუბრისას ესაუბრებოდნენ მას და მხოლოდ მას და რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, მათი ბაგეებით საყოველთაო შევარდნაძეს მიმართავდა რომელიმე სუბიექტში განკერძოებული შევარდნაძე. იგი თითქოს საბჭოთა საქართველოს „კოლექტიური მე“ იყო,

ან პირიქით – „კოლექტიური უ-მე-ობა“.

მე-20 საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან შევარდნაძისა და შევარდნაძეების სახით საქმე გვაქვს პროვინციალურად გამარტივებულ, ადაპტირებულ სტალინთან, რომელიც ყველგან არის და ყველაა, მას არ ახასიათებს როგორც პოლიტიკურ აბსოლუტს სივრცული დასაზღვრულობა – „პატარა გორი დიდა!“

გამოხდა ხანი, ვარდების რევოლუციის მერე დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა, „რეფორმებისა“ და „პროექტების“ საუკუნე“, მოხუცებული შევარდნაძის წიაღიდანვე გამოჩნდნენ ახალი „ხელმძღვანელი მუშაკები“ ახალი რიტორიკით, ახალი პოლიტიკური ლექსიკით, სიტყვები – „ახალი“ და „თანამედროვე“ უფრო ხშირად იხსენიება „ახალი ხელმძღვანელობის“ მიერ წარმოთქმულ გზავ-

ნილებში, ვიდრე გრამატიკული „და“ კავშირი ან „საქართველო“. მოკლედ ბევრი რამ მართლაც შეიცვალა. განსხვავებით საბჭოეთისაგან, სოციალური წარმატების მოპოვების სანაცვლოდ „ახალი ხელისუფლება“ თითქოს აღარ ავალდებულებს საზოგადოების წევრებს საკუთარ პოლიტიკურ პარტიაში განწევრიანებას, მაგრამ „ახალი ჩინოვნიკებისა“ და ძალაუფლების მხურვალე კოცონით გამთბარი პერსონების მეტყველებაში თითქოს ვიღაცამ დაიბუდა, ვიღაც ახალი ჩასახლდა, სოციალური კასტრაცი, ამბიციური და ცინიკური, რაციონალური მონსტრი, მთელი აღუნუსხველი და უსასრულო სამყაროს საკუთარ თითებზე აღმუნუსხველი, დამთვლელი კაცი, რომლის უმთავრესი საზრუნავი საკუთარი ძალაუფლების, ბიზნესისა და გავლენის შენარჩუნება-გაფართოებაა.

ის მუდამ ცდილობს იყოს „ახალი და თანამედროვე“, ზედაპირული, უხეში და თვითკმარი. თუმცა მთავარი სოციალური მამოძრავებელი ძალა პირადი კაპიტალის უსაფრთხოებაა. ის ეტრფის უსაფრთხოებას და ამიტომაც საკუთარ თავს ყველაზე უკეთ არა პოლიტიკურ პარტიაში, არამედ ე.წ. „სახელისუფლებო პროექტებში“ გრძნობს. იგი შეიძლება გაექცეს ერთი ქვეყნის ავტორიტარიზმს და მეორეს შეაფაროს თავი. მისი გავრცელების არეალი ხსენებული პროექტებია, ძალაუფლებისა და ბიზნესის ინცესტის შედეგად რომ იზადებიან, საერთოდ საქართველოში მსგავსმა კავშირებმა მრავალი უკანონო მონსტრი შვა, ყველაზე თვალსაჩინონი ქართული მედია-მონსტრებია, რომლის ხელოვნურ კვებასაც მრავალი ათეული მილიონი ესაჭიროება.

მოკლედ ამ სოციალური ინკარნაციის ხმას უამრავი განმასხვავებელი ნიშნითა და პარამეტრით ამოიცნობთ, უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ იგი ვერ ძლებს ხელისუფლებასთან სახლოვის გარეშე, თუმცა ყოველთვის საპირისპიროს ქადაგებს.

თუ გსურთ კარგად დაგეგმოთ საკუთარი ცხოვრება, საქართველოში და არამც და არამც სხვაგან –

იგრძნოთ ძალისა და პატივის ხიბლი – მოუსმინეთ ამ ხმას, ეს ბენდუქიძის „ლიბერტარიანული“ ხმაა! იგი მრავალი ადამიანის გამჭოლ ისმის. ეს ხმა არ უნდა აგერიოთ სხვა არანაკლებ სპეციფიკურ ხმაში, რომელიც გამორჩეულად პარტიულია და რომელიც სრულიად ახალგაზრდა, ყრმა პოლიტიკოსების, ძველი და ახალი მონვევის მონინავე პარლამენტარებისგან, უნივერსიტეტების თვითმმართველობის ლიდერებისგან მოისმის, იგი დაახლოებით ასე ჟღერს, აგრესიულად და მჭახელ: „უკაცრავად, უკაცრავად! ძალიან დიდი ბოდიში, ძალიან დიდი ბოდიში, კი მაგრამ.....!“



ილუსტრაცია ბილა სუხიაძის

სტალინის ლაშა



ლაშა ბულაძე, მწერალი



სტალინის ძეგლის რესტავრაცია, გორი ივნისი 2010

ფოტო: შალვა მორჯანიანი

არსებობენ ლამის დიქტატორები და დღის დიქტატორები. ერთნი ღამღამობით ფხიზლობენ ვამპირებივით, მეორენი მამლის ყვილთან ერთად იღვიძებენ და უკვე მოსალამოვებულზე ერევათ თვლემა.

სტალინი პირველთა კატეგორიას, ლამის დიქტატორების რიგს განეკუთვნება.

ის, რაც მნიშვნელოვანია და მასთან არის დაკავშირებული, ყველაფერი ღამით ხდება.

სტალინი ღამღამობით ცოცხლობს. დღისით – უფუნქციოა.

ჰიტლერი პირიქით – ძილ-ღვიძილის განრიგი წესიერი გერმანელი მშრომელივით აქვს მოგვარებული. ბუნეკერშიც კი, ბოლო დღეებში, ლამის თერთმეტ საათს არაფრით გადააცილებს – ამ დროისთვის უკვე ლოგინშია.

დღის დიქტატორია ესპანელთა კაუ-დილიო ფრანკოც. მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ კვირებში უნევს ღამეების თენება – როცა სისხლს ანთხევს შეუჩერებლად. სწორედ მაშინ დასცდა ეს სიტყვებიც: „თურმე, რა რთული ყოფილა სიკვდილი“.

დღის დიქტატორები არიან მუსოლინი, პერონი, პინოჩეტი და კასტრო.

აი, მაო კი – ღამის. როგორც სტალინი. ყველაფერში ამას არ ბაძავს?

მოდ, სხვებს თავი ვანებოთ და სტალინის ღამეულ ბიოგრაფიას მივყვეთ.

ცხადია, ღამით ჩაისახა... ოღონდ ზუსტად არავინ იცის, ვისგან! კანდიდატები: ლოთი ბესო, გორელი მღვდელი, პატიოსანი მოჭიდავე...

უძილობას ბავშვობიდან დაეჩვია: ოფი-

ციალური მამა (ბესარიონ ჯულაშვილი) არ აძინებდა ხოლმე. ჯერ ცოლს სცემდა, მერე მასაც. ისეთი ძალით ანარცხებდა მიწას, „სისხლით შარდავდა თვეების განმავლობაში“.

ლეგენდა ჰყვება: თავისი შედეგრი – „ვარდს გაეფურჩქნა კოკორიც“ ღამით შეუქმნია. თავზე დაათენდა სწორება-გადანერაშიო.

დღისით სემინარისტი იყო, ღამღამობით კი ძმაკაც სეიდ დევედარიანთან ერთად კითხულობდა აკრძალულ წიგნებს.

ღამით დაიჭირეს პირველად.

ღამით მოვიდა კუბოში მწოლი ახალგაზრდა ცოლის შუბლზე საკოცნელად. და თქვა – ბოლო ადამიანია, ვინც მიყვარდაო.

ბოლშევიკური გადატრიალების ღამეს პეტროგრადის მახლობლად, პატარა ქოხ-

ში იმალებოდა. თუმცა მერე სხვანაირად ჩანერეს ისტორიის სახელმძღვანელოებში.

მაშინაც ღამე არ იყო, მომაკვდავი ლენინის თანამებრძოლ-თანამეცხედრემ რომ უთხრა: ლენინს შხამი უნდა დავაღვივოთ, იტანჯებაო.

ღამით ეკურთხა გენერალურ მდივანად.

ღამე გაათენა იმ ქვეყნის სახელწოდების მოფიქრებაში, რომელსაც მართავდა. და ბოლოს, მოიფიქრა: „სსრკ“.

ღამე იყო მაშინაც, იმ უცნაურ მატარებელში, თავისი მომავალი ცოლი რომ გააუპატიურა. ხოლო წლების მერე, 6-იდან 7 ნოემბრის ღამეს, ლიმონი ესროლა – ოღონდ არავინ იცის, რამ გააბრუნა.

ამ ქალმა იმ ღამეს მოიკლა თავი.

ღამელაშობით ისმენდა დახვრეტილი თანაპარტიელების ისტორიებს.

იაგოდას პაროდირების ნიჭი ჰქონდა, სტალინის თხოვნით მუხლებზე დგებოდა და კამენევს (ან რომელიმე სხვა „ტროცკისტს“) ბაძავდა – აი, ასე გთხოვდათ შეწყალებასო. სტალინი ათვერ, ოცჯერ, ოცდაათვერ ამეორებინებდა ამ მიზანსცენას. ამაზე მეტად არაფერი ახალისებდა. ასე გულიანად იშვიათად იცინოდაო.

ღამით უყვარდა ტელეფონზე რეკვა.

აი, მისი ყველაზე ცნობილი, ღამეული სატელეფონო ზარები:

1. ბულგაკოვთან:

„– თავის მოკვლას აპირებთ?“

– შეუძლოდ ვარ, ამხანაგო სტალინ, ძალიან ბევრი მაქვს თქვენთვის მოსათხორობი.

– მოგვიანებით დაგირეკავთ“.

ბულგაკოვი 10 წელიწადი ელოდა სტალინის „გადმორეკვას“. დარჩენილი ცხოვრება მან სტალინთან ვერშემდგარი სატელეფონო საუბრის შეთხზვა-კონსტრუირებაში გალია.

2. შოსტაკოვიჩთან:

„– როგორ ხართ, ამხანაგო შოსტაკოვიჩი?“

– (მცირე პაუზის შემდეგ) გული მერევა.

– (პაუზა) ასე არ მოგწონთ ჩვენთან?

– არა, მონამოლული ვარ.

– გასაგებია“.

20 წუთში შოსტაკოვიჩს კრემლის ექიმები ადგებინა ბინაში.

3. პასტერნაკთან:

„– როგორი პოეტია მანდელშტამი?“

– ასე ნაუცბათევედ ვერ გაგცემთ პასუხს ამ შეკითხვაზე. უნდა შეგხვდეთ, ამხანაგო სტალინ.

– მარტივად მიპასუხეთ: კარგი პოეტია თუ ცუდი?

– უნდა შეგხვდეთ...“

სტალინი ყურმილს კიდებს. ამბობს: „ეს ვინ ყოფილა, კოლეგის დაცვა ვერ შეძლო“. მანდელშტამი გადასახლებაში კვდება. პასტერნაკს კომპლექსები ტანჯავს – „რომ მეთქვა, კარგი პოეტიაო, გადარჩებოდა?“.

ჰიტლერი 22 ივნისს, ღამით ესხმის თავს სტალინის მიწებს.

არავინ იცის, სადაა ამ დროს სტალინი. აგარაკზე თუ კრემლში. თუ აქაც და იქაც (ლეგენდა სტალინის ორეულებზე).

გონებადაკარგულ სტალინს დილით პოულობენ კუნცევოს აგარაკზე (ღამე გამოსულა საძინებლიდან, „ბორჯომის“ დალევვა განუზრახავს და დაცემულა). ბერიას ბრძანებით, შუალაშემდე არავინ ეკარება. სიკვდილს აცლიან.

სტალინი შუალაშისას მოდის გონს. თითს იშვერს კედელზე გაკრული ფოტოებისკენ (ბოლო წლებში დასჩემდა – ჟურნალებიდან ბავშვების ფოტოსურათებს ჭრიდა და კედელზე აკრავდა). ფოტოზე ცხვარია, რომელსაც რძეს ასმევს სკოლის მოსწავლე გოგონა. სტალინის შესტს ორნაირად კითხულობენ. ხრუშჩოვი: „სტალინმა თვალები გაახილა და ხელი ასწია – თითქოს დაგვემუქრა“. ქალიშვილი სვეტლანა: „მამამ თვალები გაახილა და ხელი ასწია – ფოტოზე მიუთითა; ალბათ, უნდოდა ეთქვა, მეც ამ ცხვარივით უმწეო ვარ ახლაო“.

იმ ღამეს კვდება.

სავარაუდოდ, იმ ღამესვე კლავენ კრემლში მის ორეულსაც.

მის გვამს ღამით ასვენებენ ლენინის მუმიის გვერდით, მავზოლეუმში.

1961 წლის 31 ოქტომბერს, ხრუშჩოვის ბრძანებით, ღამით გამოაქვთ მავზოლეუმიდან და იქვე, კრემლის კედელთან მარხავენ. მიწას სწრაფ-სწრაფად აყრიან. წითელი მოედანი გადაკეტილია.

სტალინის დაბადების ქალაქში, გორშიც ღამე ხსნიან მის ვეება ქანდაკებას.

ნეტავ კიდევ რამდენი ღამე აქვს სტალინს დარჩენილი? □



ლიბერალი

იკითხეთ
ლიბერალის
პორტალზე

www.liberali.ge

პლომი: ნინო გოგუა

ისევ გადასახადის გარეშე

„მიღებული 100-მდე რეკომენდაციიდან ყველაზე პრინციპული საკითხები დაკმაყოფილდა!“ განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილე ირაკლი სირაძემ 15 ივლისს პარლამენტში საკომიტეტო განხილვაზე.

პლომი: რუსუდან ფანოზიშვილი
რატომ გაამაგდეს სკოლიდან

მე-14 საჯარო სკოლის დირექტორის გადადგომის საკითხი სკოლის სამეურვეო საბჭომ უკვე მესამედ განიხილა.



მულტიმედია:

ზაზუნა, შხინა და მათი ანტიშხინი

ივნისის ბოლოს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ და ფრანგმა მოქანდაკემ ელისაბედ დენიმ დმანისის მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას გოგონას რეკონსტრუირებული მულიაჟი წარუდგინეს.

ჩა აჩის ფეხბურთი



გიორგი ახველდანი, ლონდონი



ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონობას ზეიმობს, 12 ივლისი 2010

მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა და ახლა მთავარი სალაპარაკო ისევ ტრანსფერებია. იხლართება ძალიან ძვირანებიც და საერთოდ უფასოებიც არანაკლებ საინტერესო. თუმცა, რაღა არის ხოლმე საინტერესო ამ ფეხბურთში, ხეირიანად ვეღარ გავიგე. დავიბენი მოწინააღმდეგის დაცვასავით.

ის ნამდვილად კარგია, რომ მსოფლიოს ახალი ჩემპიონი ჰყავს, ბარე 12 ნელინა-დია, ასეთი რამ არ მომხდარა. ამბავი სულ სამ გუნდში ტრიალებს ხოლმე, რომლებიც ვარგა, თუ არა სულაც არა აქვს მნიშვნელობა, ისინი ყოველთვის იქ არიან, სადაც უნდა იყვნენ. თასის შორიახლოს.

ხდება ხოლმე გამონაკლისებიც, მაგრამ

გამონაკლისი, როგორც მოგეხსენებათ...

ერთი ცამეტი წლის წინათ ჯანფრანკო ძოლას წამოსცდა, იტალიაში ფეხბურთზე მნიშვნელოვანი ფეხბურთის ტელერეპორტაჟი. სამწუხაროდ, ამ ამბავში წამოსაცდენი აღარც რამე დარჩენილა: კარგა ხანია, რაც ტელერეპორტაჟი მთავარია. აბა, ფეხბურთზე მთავარი როგორ იქნებაო? იკითხავთ და მართალიც იქნებით. უფეხბურთოდ, რაღა ტელერეპორტაჟი იქნება. თუმცა, საინტერესოა, როგორი იქნებოდა ფეხბურთი, ტელერეპორტაჟებს რომ ასეთი გაქანებისთვის არ მიეღწიათ.

ასე ახლოს, მსოფლიო ჩემპიონატი არასდროს მდგარა ნბა-სთან და ნჰლ-სთან. ნუ, პრემიერლიგა რომ დგას და მიექანება,

აქამდეც ვიცოდით, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატიც იქითკენ წასულა. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატს ერთი თვისება კი აქვს, რომ ახერხებს, ყოველ ჯერზე სხვანაირი იყოს და თანაც, შემდეგი ბრაზილიაში იქნება, რაც თავისთავად ძალიან საინტერესოა. იმის შემდეგი ალბათ რუსეთში იქნება და ესეც ძალიან საინტერესოა. ასე ეტყობა, რომ ფიფას უფროსობას უფრო რუსეთისკენ მიუწევს გული, ვიდრე ინგლისისკენ. თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, გერმანია იქაც და იქაც ოთხეულში იქნება. ესეც ძალიან საინტერესოა. ფენომენია პირდაპირ. თუმცა, მე რატომღაც საინტერესო რამეების ჩამოთვლა დავინწყე, თავიდან კი ვამბობდი, საინტერესო რაღა არის

ვერ გავივით-თქო.

არა, მე უბრალოდ იმ ამბავში, რომ ესპანეთის ჩემპიონობა მართლა კარგი იყო და ესპანეთი მართლა ყველაზე კარგი გუნდია მსოფლიოში. სამწუხაროდ, როცა პოლანდია იყო მსოფლიოში ყველაზე კარგი გუნდი, მსოფლიო ჩემპიონი ვერ გახდა. ეგეთები ხდება ხოლმე. 1978-ს არ ვგულისხმობ რა თქმა უნდა, მაშინ პოლანდია ნამდვილად არ იყო მსოფლიოს საუკეთესო გუნდი. ახლა პოლანდიელები ჯოუტად იმეორებდნენ ყველა ინტერვიუში, გინდა მოგვკალით და კარგ ფეხბურთს არ ვითამაშებთო. შეგვიძლია, მაგრამ არაო. ჩვენ მოგება გვინდაო და ამიტომ, ისე ვითამაშებთ, რომ მოვიგოთო. ანუ, ე.წ. beautiful game, მათ ფეხბურთს რომ ერქვა ოდესღაც. ოდესღაც კი არა, სანამ ეს თეორიამიანი კაცი ჩაუდგებოდათ სათავეში, არ გვინდაო, ბოლოს და ბოლოს მსოფლიო ჩემპიონობა გვინდაო, გეგონება, კარგი ფეხბურთით ჩემპიონობის ცდა არ შეიძლებოდა. მაგალითი გვაქვსო, ამბობდნენ, 1974 წელი, თვით კრუიფი, კროლი და ნეესკენსი ვერ გახდნენ ჩემპიონები ამ შენი beautiful game-ითო. ჰოდა, ახლა ესენიც ვერ გახდნენ, ურტყეს ესპანელებს ნიხლები გულის ფიცარში, იომეს, ოფლი ღვარეს და ბოლოს მანც წააგეს.

საერთოდ, ამ ჩემპიონატზე ეგეთი თამაში საკმაოდ ბევრი იყო, ერთი გუნდი გაძლებით ცდილობდა მეორის დამარცხებას და როგორც წესი არ გამოსდიოდათ. პოლანდიელების მწვრთნელმა ისიც კი თქვა, რა გინდათ, თითქმის პენალტებამდე ვიყავით მისულებიო.


ხალხი სად არი და ჩვენ რას ველოდებით.

ვახტანგ ნინუას პერსონაჟი დამცინავად რომ იწყებს მოყოლას ფილმში „ბურთი და მოედანი“ და მერე რომ გიჟდება: რა არის ფეხბურთი? იამანიძემ გადაანოდა მესხს... მესხმა მოატყუა ერთი, მოატყუა მეორე, მოატყუა მესამე... მეოთხე, მეკარევეე!....

ჰო, ფეხბურთი კარგა ხანია ეს აღარ არის. ასეთები ხდება ხოლმე, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ არის.

ჰოდა, თანაც, ფეხბურთელებიც ძალიან გვანან ერთმანეთს, ისევე როგორც ჰოკეისტები და თქვენ წარმოიდგინეთ კალათბურთელები. **■**

ბიზნისში შეხვედრით



ვისაც უნდა მოეგო, იმან მოიგო და ესპანეთი ისეთი გუნდი იყო, რომელიც შედეგს და სიამოვნებას ერთად აკეთებდა.

სანდრო ნავერიანი

ერთ-ერთ წინა წერილში ვივარაუდე, რომ ესპანელები მუხდიალს ვერ მოიგებდნენ იმის გამო, რომ ძალიან ძიმე სეზონი ჰქონდათ, გადალლილები იყვნენ და ერთ თვეში შვიდი თამაშის უმაღლეს დონეზე ჩატარებას ვერ შეძლებდნენ. ძალიან მაგრად შევეცი, ამის დასტურად ინიესტას მიერ ფინალში დაფარული თითქმის 20 კილომეტრიც კმარა.

ის, რაც ესპანელებმა გააკეთეს და პოლანდიელებმაც და გერმანელებმაც, უბრალოდ არაადამიანური შრომის შედეგია. ალბათ, 20-30 წლის წინ მსგავსი რამ წარმოუდგენელი იქნებოდა, თან თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ფეხბურთელი თამაშში საშუალოდ 6-7 კილომეტრს დარბოდა, პლუს დამატებითი დროის მაქსიმუმ 3 კილომეტრს. მაშინ არც შიდა და საერთაშორისო საკლუბო ტურნირები იყო ისეთი დატვირთული, როგორც – დღეს.

ჰოდა, კიდევ ერთ წერილში ვთქვი, რომ დღევანდელი ფეხბურთი მირჩევნია ძველმეთქი. მირჩევნია იმიტომ, რომ ასეთ ვითარებაში, როცა ფეხბურთი იმაზე მეტად არის დამოკიდებული ფიზიკურ მონაცემებზე, ვიდრე ოდესმე იყო, ფეხბურთელებს მანც შეუძლიათ ლამაზი ფეხბურთის ჩვენება. გადის ბევრად ლამაზი გოლები, იხვენება ფინტები, სწრაფდება დრიბლინგები და ამ სისწრაფეში უფრო ეფექტური სანახავი ხდება თამაშიც. როცა ბურთიც სწრაფია და თან ამ ბურთს ესპანელი ნახევარმცველები მინდორზე აგორავენ, ერთი სანტიმეტრითაც კი არ წევენ ჰაერში და გადაცემებს ერთი შეხებით აკეთებენ – არ ვიცი, ამაზე ლამაზი სანახავი, რა უნდა ყოფილიყო!

ეს მუხდიალი ყველაზე ლოგიკურად დასრულდა. ოთხი წლის წინ იტალიის ტრიუმფს ძალიან ცოტა თუ იწინასწარმე-

ტყველებდა, 2002-ში კი საერთოდ – ფრანგებს ფეხის ერთი მოქნევით უნდა მოეგოთ მუხდიალი და ამ დროს ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ. 98-ში, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგები მასპინძლები იყვნენ, არავინ არ ფიქრობდა, რომ თასს აწვედნენ.

მეტ-ნაკლებად ლოგიკურად დასრულდა 1994-ის მუხდიალი – ფავორიტები არგენტინელები და ბრაზილიელები იყვნენ, მარადონას ეფედრინის მიმართ მიდრეკილებამ კი ბრაზილიელებს გზა გაუხსნა. წლევანდელ მუხდიალს კი ორი გამოკვეთილი ფავორიტი ჰყავდა – არგენტინა და ესპანეთი. არგენტინას ისევე მარადონამ უმტყუნა, 1994-ის მსგავსად, ოღონდ აქ კაიფი არაფერ შუაში არ ყოფილა – დონ დიეგომ უბრალოდ არ იცოდა, რა ცვლილება გაეკეთებინა გუნდში. ისე, არგენტინელების ფავორიტობაც მარადონას დამსახურება იყო და, რა თქმა უნდა – ლეო მესის. თორემ, გუნდი რომ არაფრად ვარგოდა, ყველამ ვნახეთ – პირველივე ძლიერ გუნდთან უსუსური თამაში აჩვენა. აი, ესპანელები კი ფავორიტთა სიაში სამართლიანად ლიდერობდნენ, რაც შედეგზეც აისახა.

ურუგვაის „ელიტაში“ დაბრუნებაზეც მინდა, ვთქვა. არ ვფიქრობ, რომ ეს სწორი შეფასებაა. წლევანდელ ურუგვაის შევადარებდი 98 წლის ხორვატიას, ან 94 წლის ბულგარეთს ან შვედეთს, ან 92-ის დანიას და 2004-ის საბერძნეთს. ერთი სიტყვით, ეჭვი მეპარება, ურუგვაული ფეხბურთი ოდესმე ყოფილიყო ელიტური ან ანი იყოს.

ავვისტოდან ევროპაში მორიგი ჩემპიონატები იწყება და როგორც ყოველთვის, პირველი დიდი თამაში ინგლისში გაიმართება, „ენფილდზე“ „არსენალი“ ჩადის, ჰოდა 2014-მდე იმ იმედით გემშვიდობებით, რომ ოთხ ძალიან მაგარ სეზონს ვნახავთ კუნძულზეც და მატერიკზეც. **■**

ჩვეულებივი ქანაქუხი ამბავი



ვიდეკით და უსიტყვოდ ვუყურებდით ერთმანეთს. არ ვიცი, ის რაზე ფიქრობდა, მე კი მისმა სიტყვებმა თომას დვორჟაკი გამახსენა, ჩემი კეთილი მეგობარი, სულ რომ მეუბნება, საქართველოს ქართველების გიჟური საქციელი დააკლდა, მალე ბელგიელებად იქცევითო.

კახა თოლორდავა

იმ დღეს ტაქსი დამჭირდა. კოვოში უნდა ავსულიყავი და ორი ველოსიპედი წამელო თან. საშინლად ცხელიდა. პირველივე ფართო-საბარგულიანი დანჯღრეული „ვოლვო“ გაეჩერე და მძღოლს დაველაპარაკე. ოცი ლარი მომთხოვა. შევეთანხმდით. აუფხსენი, სადაც ვცხოვრობდი და ვთხოვე, ერთ საათში მოსულიყო. ყოველი შემთხვევისათვის ტელეფონის ნომერი გამომართვა. დროებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ის კლიენტის საქებრად გაბღულიდა, მე ჩემს საქმეებზე. ზუსტად ერთ საათში ჩემი სახლის წინ ვიდექი ორ ველოსიპედზე ჩამოყრდნობილი და იმ კაცს ველოდებოდი. შეთანხმებულ დროს წუთი აკლდა, ეზოში რომ შემოდრიგინდა. სანამ ის საბარგულს ამზადებდა, მე ველოსიპედებთან ვჯახირობდი. „მორჩა, მზადაა! – მითხრა მან მცირეოდენ ხანში, – ჩავდით“. პირველი, რაც საბარგულთან მისულმა დავინახე გაზის ბალონები იყო; ორი მოზრდილი გაზის ბალონი, ერთიმეორეზე დამონტაჟებული. მაინც საკმარისი ადგილი იყო ველოსიპედების დასაწყობად. ის-ის იყო, პირველი ველოსიპედის საბარგულში მოსათავსებლად მოვემზადე, რომ რაღაც უცნაური ხმაური შემომესმა, შიშინის, აი ისეთი, ბავშვობაში ცხრამანეთიანი ყვითელი ბურთები რომ გამოსცემდნენ, „კამერის“ დაზიანებისას. „იქიდან, იქიდან მოუარე, მე აქედან ვიჩალიჩებ!“ – რაღაც უცნაურად აუწია ხმას მძღოლმა და ველოსიპედს დავეჯავგურა. „დაიცა, – შევაჩერე მე, – ეს რა ხმაა?“ „რა ხმაა?“ – გაიკვირვა და ყური მიუგდო. ის რაღაც თუ ვიღაც შიშინს აგრძელებდა, ჩვენ ვუსმენდით. ველოსიპედი იქვე ბოძზე, ხეზე მივყუდე და ყურადღებით მივათვალეირ-მოვათვალეირე საბარგული. ჰო, რაც მეგონა, ის იყო. ერთ-ერთ გაზის ბალონს გასდიოდა. „ამას გაზი გასდის!“ – მიუწინაშე ბალონზე.

„სად გასდის, კაცო?“ – შემეკითხა მძღოლი. მხოლოდ ახლავა შევამჩნიე, რომ ცუდად გამოიყურებოდა, ძალიან ფერმკრთალი და თვალეზრანებული იყო. „აი, ყური დაუგდე!“ – ვუთხარი მე. „ეჰ, თუ ძმა ხარ, – გამოიღმა მან, – ამან შეგაშინა? სულ ასე დავედივარ და ხომ ხედავ, ხომიანადაც ვარ!“ „რას ამბობ, კაცო, – აღვშოთიდი მე, – გაზი გაგდის მანქანაში! არ გესმის რა ხმაა?“ „მაიცა, რა, ძმაო, – შეიცხადა მან, – ორი წელია, ასე დავდივარ, ვენევი, მაგზვრებიც ენევიან და არაფერი მომხდარა. მიდი, მიდი, ჩააგდე ეგ შენი ვალასაპედი. ქიშიაში ხუთიანი მყავდა.“ გაზის ხმაური ახლა უფრო ხმამაღლა მესმოდა. „ქიშია რა შუაშია? – გაგვრაზდი, – სად უნდა ჩავვდე, კაცო, ამხელა გზა გვაქვს გასავლელი!“



„თუ ძმა ხარ, დამიჯერე, არ აფეთქდებით, – გამეღრიჯა ის, – თბილისელი კაცი ვარ, რუსებმა ვერაფერი გვიქნეს და ამ ბალონმა რა უნდა გვიქნას?“

საკუთარი არგუმენტი ისე მოეწონა, რომ გაელიმა კიდეც. მერე კი, რომ მიხვდა ამ არგუმენტით ვერაფერს დამაკლებდა, განწირულმა შემომხედა და გამეღრიჯა: „თუ ძმა ხარ, ჩავდექი რა, კაცი არა ხარ? ქართველები არა ვართ?“

ახლა უკვე ოდნავი გამონვევით მიყურებდა. ვიდეკით და უსიტყვოდ ვუყურებდით ერთმანეთს. არ ვიცი, ის რაზე ფიქრობდა, მე კი მისმა სიტყვებმა თომას დვორჟაკი გამახსენა, ჩემი კეთილი მეგობარი, სულ რომ მეუბნება, საქართველოს ქართველების გიჟური საქციელი დააკლდა, მალე ბელგიელებად იქცევითო. იმ ადამიანებზეც გავიფიქრე ყოველდღე ამ მანქანას რომ აჩერებენ და ჩემგან განსხვავებით არ იციან, საბარგულში რა ხდება.

„ჰა, მივდივართ? – შემეკითხა მძღოლი. ბაგებს რომ გავცდით, ოდნავ აგრილდა. მანქანა წინ მიინედა, უკან, საბარგულში გაზის ბალონი შიშინებდა, ჩვენ შვილებზე ვსაუბრობდით, მათ მომავალზე, მათი აღზრდის სირთულეებზე. ის თავის ორ ქალიშვილზე მიყვებოდა, მე კი ჩემს ვაჟიშვილზე, მალა, კოვოში რომ მელოდებოდა. ჩვენ ერთად უნდა დავშვებულყავით ველოსიპედებით იქიდან. ტრასით. გაზის შიშინის ხმამ კიდე ერთხელ გამახსენა, რომ ვერა და ვერ მოვაბი თავი დამცველი „შლემების“ ყიდვას. ჩემ წინ, „ბარდაჩოკის“ თავზე პატარა ხატი იყო მიკრული, ხატის ქვემოთ კი წარწერა: „დამიფარე და შემინყალე“. ჩვენ, ორივენი, იმ დღეს ნამდვილი ქართველები ვიყავით. [



ჰასნიკო
ოდიშვილისგან

ყოველდღიური
ჯეები

გაესტრო



ორშაბათი-პარასკევი

23:00



WWW.LIBERALI.GE

